პრეზიდენტთან გამართული ორსაათიანი შეხვედრის შემდეგ "მრავალთა" ფრაქციის ლიდერები სხარულით აღნიშნავენ, რომ ელვარდ შევარდნაძე ახალ საგადასახადო კოდექსს მხარს უჭერს. კოდექსის ყველაზე საკამათო მუხლიდან დაკავშირებითაც კი, რაც დამატებითი ღირებულების გადასახადის შემცირებას ითვალისწინებს, ქვეყნის პირველმა პირმა დადებითი პოზიცია დაიკავა. სამაგიეროდ, ფინანსთა სამინისტრო კატეგორიული წინააღმდეგობა აღადგინა 20-პროცენტული განაკვეთის 15-მდე შემცირებისა. ცნობილია აგრეთვე საგადასახადო ფონდის პოზიციაც ახალ კოდექსთან დაკავშირებით. ფონდი გადასახადების შემცირების პრინციპს არ იზიარებს, ამიტომ იგი "მრავალთა" საგადასახადო კოდექსის პირველი მოსმე-

ნით პარლამენტში გასვლას უარყოფითად შეხვდა. საგადასახადო ფონდისთვის მისაღებია არსებული საგადასახადო კოდექსის ცვლილებათა ის პაკეტი, რომელიც ფინანსთა სამინისტრომ მოამზადა. პრეზიდენტთან გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც სახელმწიფო მინისტრი, ეკონომიკური ბლოკის მინისტრები და "მრავალთა" ესრეზიდენტი, სწორედ კოდექსების ამ ორი ვარიანტის შეჯერებაზე იყო საუბარი. შეხვედრიდან გამოსული მთავრობის წევრები დიდ ოპტიმიზმს გამოთქამდნენ, რომ პარლამენტში მეორე მოსმენაზე უკვე შეჯერებული ვარიანტი იქნება წარდგენილი. შეხვედრის შემდეგ "მრავალთა" ფრაქციის წევრმა ზურაბ ტყეშელაშვილმა განაცხადა, რომ პრეზიდენტმა დაფიქსირა მისცა ფინანსთა სამინისტროს, დაარწმუნოს საგადასახადო ფონდი გადასახადების ლიბერალიზაციის აუცილებლობაში.

"მრავალთა" და მთავრობა ახლი კოდექსის კიდევ ერთ მუხლზე ვერ

თანხმდებიან, რომელიც სოციალური გადასახადის გაუქმებას ითვალისწინებს. როგორც ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა ამირან გამყრელიძემ აღნიშნა, ამ გადასახადის გაუქმებას მთავრობა მხარს ვერანერად ვერ დაუჭერს. გამყრელიძის განცხადებით, კოდექსის ავტორებთან გაგრძელებდა კონსულტაციები სოციალური გადასახადის ტვირთის ეტაპობრივი შემცირების გრაფიკზე. "ჩვენი ვარიანტის მიხედვით, დამქირაველებს თანდათან უნდა შეუმცირდეს სოციალური გადასახადი და იგი ნაწილობრივ დაქირაველებზე გადავიდეს," - აცხადებს ამირან გამყრელიძე.

მხარეები კონსულტაციებს კონკრეტულ მუხლებზე კვლავ გააგრძელებენ. საგარეო დიპლომატიის პარლამენტში წარდგენილი იქნება 10 მაისის შემდეგ, მეორე მოსმენაზე. "ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საგადასახადო კოდექსი ერთ ვარიანტად გავა

პარლამენტში," - აცხადებს ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიანიძე. "მრავალთა" ლიდერის გოგი თოფაძის განცხადებით, თუ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ შედგა, ფრაქცია კვლავ დამოუკიდებლად წარადგენს საგადასახადო კოდექსს პარლამენტში. თოფაძე კატეგორიულად გამოირიცხავს კოდექსთან დაკავშირებულ პოლიტიკურ ვაჭრობას და აცხადებს, რომ მთავრობის მხრიდან არანაირი პოლიტიკური შემთავაზებები არ ყოფილა. "ჩვენ არ ვაპირებთ ახალ სამარევი ბლოკში გაერთიანებას. საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად მივიღებთ მონაწილეობას. რაც შეეხება საგადასახადო კოდექსს, ჩვენი პარტიის ხელისუფლებაში მოსვლის ერთ-ერთი მიზანი გახლავთ სწორედ ის, რომ ლიბერალური საგადასახადო სისტემის შექმნაზე გვერძობა," - განაცხადა გოგი თოფაძემ.

კონტროლის პალატა აქტაისის ბიუჯეტში სერიოზული დარღვევები აღმოაჩინა

ინერ ნარკაძე

საქართველოს კონტროლის პალატის პრეზიდენტმა გუმის ქუთაისის ადგილობრივი ბიუჯეტის კომპლექსური რევიზიის შედეგები განიხილა. რევიზია 2000 წლის 1 იანვრიდან 2002 წლის 1 აპრილამდე პერიოდს მოიცავს. კონტროლის პალატის დასავლეთ საქართველოს დეპარტამენტის სამმართველოს უფროსის ირაკლი ყენისა განცხადებით, შემოწმების შედეგად სერიოზული დარღვევა-ნაკლოვანებებია გამოვლენილი. კერძოდ, საბიუჯეტო სახსრების არადანიშნულებით ხარჯვა, რის გამოც 2002 წლის პირველ კვარტალში ბიუჯეტის მთლიანმა შემოსავალმა დაგეგმილ პარამეტრებზე ოთხი პროცენტით ნაკლები შეადგინა; აბსოლუტურად დაფინანსდა სხვადასხვა დარგები. ფინანსური სახსრების უკმარისობის მიმიზნულებით ვერ იქნა უზრუნველყოფილი საბიუჯეტო ორგანიზაციების მოთხოვნები. ამავე დროს არასაბიუჯეტო სფეროს სხვადასხვა ორგანიზაცია 2001 წელს 180 ათასი ლარით, ხოლო 2002 წელს 366 ათასი ლარით დაფინანსდა. ქალაქის საკრებულოს დადგენილებითა და მერიის განკარგულებით, საკრებულოს ყველა წევრზე განეულებია 30 ათასი ლარის ოდენობის მატერიალური დახმარება მაშინ, როცა საკრებულოს წევრები, არსებული კანონმდებლობით, თავიანთ საქმიანობას უსასყიდლოდ ახორციელებენ. ქალაქის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, 2001 წელს 50 ათასი ლარით შემცირდა მუნიციპალური და სოციალური განვითარების პროგრამების ხარჯები; სამაგიეროდ, მერიის ხარჯი 114 ათასი ლარით

რით გაიზარდა. ქუთაისის საგადასახადო სამსახური ვერ ახდენს გადასახადების ამოღებას და მობილიზებას. სარევიზიო პერიოდში ეკონომიკური საქმიანობისათვის გადასახადების სახით დარიცხული 659,5 ათასი ლარიდან მხოლოდ 328,2 ათასი ლარი ანუ 49,8 პროცენტია ამოღებული. ნაკლოვანებები აღინიშნა მინისტრის სამმართველოს საქმიანობაშიც.

პრეზიდენტმა უკვე განხილული ფაქტებიდან აღსანიშნავია კიდევ ერთი პარადოქსი - პოლიციის მიერ ბანდიტური ჯგუფისათვის ჩამორთმეული "მერსედეს ბენც 600" მარკის ავტომობილი უსასყიდლოდ გადაეცა ქუთაისის მერიას. მერიამ აღნიშნული ავტომობილი ფიზიკურ პირზე 5 ათას ლარად გაყიდა, ერთი წლის შემდეგ კი კერძო მფლობელისგან უკვე 15 ათას ლარად შეიძინა.

კონტროლის პალატის კომპლექსური შემოწმების შედეგად თანამდებობიდან გათავისუფლდნენ ქუთაისის მინისტრის სამმართველოსა და ადგილობრივი მოსაკრებლების სამმართველოს უფროსები. ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი შოთა სანდუხაძე კი აცხადებს, რომ საქართველოს კონტროლის პალატას ორმუხათს ოფიციალურად მიმართავს თხოვნით, შემოწმდეს ქალაქის კომუნალურ ხარჯებში დღევანდელი არსებული მდგომარეობა, რადგან აღნიშნული ხარჯები, მის ხელთ არსებული მონაცემებით, მთლიანად კერძო პირების ჯიბეში მიდის. დეპუტატის განცხადებით, კონტროლის პალატის შემოწმების შედეგად უკვე ოფიციალურად დადასტურდება მისი მონაცემები და შესაძლებელი გახდება კანონმდებლობით განსაზღვრული ღონისძიებების გატარება.

ბიორბი ბახალაძე

სულ რაღაც ორ კვირაში "თბილწყალკანალის" 10-წლიან მართვას ევროპაში ხელმომჭირნეობით ცნობილი ფრანგები შეუდგებიან. 1853 წელს ნაპოლონ მესამის ბრძანებით, პარიზის წყალმომარაგებისათვის შექმნილი კომპანია "ქენერალ დე ზო" თბილისელებს ყიარათიანობასა და წყალმომარაგებთან შეუდგება ახლავე ურჩევს. ამასთან, "თბილწყალკანალის" თავკაცთან ერთად, მოსახლეობას პირდება, რომ სამომხმარებლო ტარიფი მათი მიზნებით არ შეიცვლება, როგორც ეს ელექტროენერჯის შემთხვევაში ხდება: "ტარიფის დადგენის უფლება მხოლოდ თბილისის მთავრობასა და საკრებულოს აქვს."



თბილწყალკანალის ძველი და ახალი სახეები: იუზა ცარციძე და ტერი პლეზანი

ნილი პაკეტია შესასწავლი. არსებითა, რომ ამჯერად მთელი ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მუხრეობა მუნიციპალურ საკუთრებაში რჩება და ე.წ. საიჯარო კონტრაქტი გამაგრდება მხოლოდ მართვის უფლებას ანიჭებს. ამასთან, ახალ ოპერატორ კომპანიას სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მოზიდული ინვესტიციების განკარგვაზე."

საქართველო პირობები ითვალისწინებს 10-წლიან კონტრაქტს ოპერატორთან, რაც მსოფლიო ბანკისგან 25 მილიონ აშშ დოლარის 5-წლიანი კრედიტით გაიმდგინა. ამ თანხიდან 20 მილიონი დოლარი თბილისის წყალმომარაგების სისტემის და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას უნდა


მოხმარდეს. სწორედ, "თბილწყალკანალის" ქსელების 10-წლიან ტრეტალურ ურემონტობაში ხედავენ ფრანგები, სანარმოს თავკაცი იუზა ცარციძეცა და მსოფლიო ბანკის პროექტის ბიუროც მეურნეობის კრიტიკული მდგომარეობის მიზეზს. ამ ვითარებაში ძალიან დიდი ტექნიკური და კომერციული დანაკარგები აღარავისთვის უცხო არ არის. მსოფლიოს 100 ქვეყნის საქალაქო წყალმომარაგებში ხანგრძლივად მოქმედი ფრანგები, თბილისში ამ ყველაფრის გამოსწორებას თავის ცოდნასა და გამოცდილებაზე დაფუძნებული მართვით აპირებენ. თავად კომპანია 5 წლის განმავლობაში 6 მილიონ აშშ დოლარის ინვესტიციას განახორციელებს.

"პირველ ეტაპზე ჩამოვა მენეჯერთა გუნდი, რომელიც 10 წელი აქ იმუშავებს. მათ სხვადასხვა ტექნიკური ექსპერტების მისიები სისტემატურად დახმარებია. მთელი ძალისხმევა სისტემის ფიზიკურ განახლებაზე, წყლის დანაკარგების შემცირებასა და მომხმარებლის აღრიცხვაზე იქნება მიმართული," - განაცხადა "ქენერალ დე ზო"-ს წარმომადგენელმა ბლეს გარიმანა. ახლა წყლის საფასურის ამოღება 30 პროცენტზე მეტი არ არის. "არადა, ინკასატორების საკუთარი ქსელის ჩამოშორებამ რამდენიმე საექსპერტო უზანძრ თანხების ამოღება 80 პროცენტამდე უმტკივნეულოდ აგვაყვანინა," - არგუმენტი შეამფლა იუზა ცარციძემ. საქმისადმი საკუთარი მიდგომები მისმა კოლეგამ ტერი პლეზანმა შედარებით წარმოადგინა: "მართალია, წყალი ღვიის საჩუქარია, მაგრამ ინკანამდე მას ფასი ედება. ენერგეტიკისა და საქართველოს ეკონომიკის დონეების შედარების კვალობაზეც კი, აქ წყალი ბევრად იაფია. მაგრამ, დღემო სულზე 800 ლიტრის მოხმარება წარმოდგენილი ფუფუნებაა. დასავლეთ ევროპაში საშუალოდ 150 ლიტრს მოიხმარენ." ფრანგებმა ისურვეს, რომ თბილისში მათი მუშაობა სამაგალითო აღმოჩნდეს: "ვის იცის, იქნებ საქართველოს სხვა ქალაქებშიც გადაწყვიტოთ წლის პრობლემა?"

მართალია, ფრანგები თბილისელ კოლეგებს ურემონტობაში სხირეობიდან უჭედდნენ და "თბილწყალკანალის" თანამშრომელთა შემცირებას პირველი წლის განმავლობაში არ აპირებენ, მაგრამ "მართალია და აღრიცხვის გაუმჯობესება საკადრო ცვლილებებსაც რომ გამოიწვევს, ეს ნათელია."

მონიტორინგი სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

| დასახელება | პირველი კვარტლის პროგნოზი | შესრულება | % | 11 აპრილი |
|---|---------------------------|-----------|-----|-----------|
| სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები | 1127.40 | 237.55 | 21% | 1.66 |
| ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები | 833.70 | 170.50 | 20% | 1.15 |
| საგადასახადო შემოსავლები | 659.90 | 138.71 | 21% | 1.13 |
| სოციალური ფონდი | 244.20 | 57.29 | 23% | 0.48 |
| სავაჭარო ფონდი | 49.50 | 9.04 | 18% | 0.04 |
| დეფიციტის დაფინანსება | 239.8 | 60.78 | 25% | 2.66 |



ეროვნული ბანკი კომერციონალს საჭარბო სანქციონის დანაკლებს უპირებს

საქართველოს ეროვნული ბანკი ნორმატიული აქტების დამრღვევი კომერციული ბანკების მიმართ საჯარიმო სანქციებს ანებს. საჯარიმო სანქციების განსაზღვრისა და დაკისრების წესის პროექტი უკვე მომზადებულია. სეხ-ი დაინტერესებულ მხარეებს სთხოვს თავიანთი მოსაზრებების წარმოდგენას.

სეხ-ის ნებართვის გარეშე ბანკი ან მილიონობის საბანკო და საკასო ოპერაციებს აწარმოებს. 10.000 ლარის ოდენობის ჯარიმა წესდება იმ შემთხვევაში, თუ კომერციული ბანკი სეხ-ის მიერ დადგენილ ვადაში არ ჩაატარებს ყოველწლიურ აუდიტორულ შემოწმებას და დასკვნას არ წარუდგენს ეროვნულ ბანკს. 1000-ლარიანი სანქცია წესდება ეროვნულ ბანკში წარდგენილი დადგენილი ეკონომიკური ნორმატივებისა და ლიმიტების აკრძალვად ვანგარიშების შემთხვევაში (დარღვევის თითოეული ფაქტზე), საღაროს ოპერაციების წარმოების წესების დარღვევის შემთხვევაში, ბანკში შემოწმების ჩა-

ტარების დროს სეხ-ის თანამშრომელთათვის დოკუმენტაციის წარუდგენილობის და სხვა. გარდა ამისა, სანქციები გათვალისწინებულია ერთ პირზე გასაცემი სესხებისა და ვალდებულებების მაქსიმალურ ოდენობაზე დადგენილი ლიმიტების დარღვევის შემთხვევაშიც. სანქცია განისაზღვრება ლიმიტს გადაჭარბებული თანხის 10 პროცენტის ოდენობით. ეროვნული ბანკის მიერ კომერციულ ბანკზე დაკისრებული ფულადი ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის სააქციო კაპიტალს. ამასთან, სეხ-ი კომერციულ ბანკს ათავისუფლებს უკვე დაკისრებული

და გადაუხდეელი ფულადი ჯარიმისაგან, ასევე ახალი ფულადი ჯარიმის დაკისრებისა და გადახდისაგან, თუ ბანკში მოქმედებს დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმი ან ბანკს გაუფუქმდა საბანკო საქმიანობის ლიცენზია. ბანკი ასევე თავისუფლდება გადასახადისაგან იმ შემთხვევაში, თუ საფრთხის წინაშე დადგება მისი მომავალი ფუნქციონირება და გადახდისუნარიანობა, თუ იგი არაალიკვიდური გახდება და ვეღარ განახორციელებს კლიენტთა ეკონომიკის მომსახურებას და სხვა. კომერციული ბანკის უფლება აქვს, გაასაჩივროს სეხ-ის ადმინისტრაციული აქტი ფულადი ჯარიმის დაკისრების შესახებ. მედია-ნიუსი

სისასტიკით გამოჩენილი ჯგუფის წევრები აღიარებით ჩვენებას იძლევიან



მალხაზ გიორგაძე, გრიგოლ გიორგაძე, დავით გაბაიძე, შოთა გაბაიძე

სამართალდამცველებმა დააკავეს თბილისში მოქმედი ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრები: ზესტაფონიელი ძმები – ადრე ნასამართლეთი მალხაზ და გრიგოლ გიორგაძეები და მარნეულის ძმები - დავით და შოთა გაბაიძეები, რომელთაც ბრალი ედებათ თბილისში მოქალაქეებზე განხორციელებულ თავდასხმებში.

ქარცვაულს. პოლიციის ინფორმაციით, დაკავებულები შვიარაღებული იყვნენ "კასტრეტებით" და ბლაგვი საგნებით, რომელთაც თავდასხმის ობიექტებს უსწორდებოდნენ.

ჯგუფის წევრები წერეთლის გამზირზე, სტადიონ „დინამოს“ მიმდებარე ტერიტორიაზე თავს დაესხნენ ნიკოლოზ ნარიშკინს, რომელსაც ასევე ფიზიკური შეურაცხყოფა მიაცემეს და 100 აშშ დოლარი, 320 ლარი და მობილური ტელეფონი წაართვეს.

ასევე დაუდგინეს 2 მამაკაცი. კანონდაცველთა განცხადებით, მალხაზ გიორგაძის ჯგუფი სისასტიკით გამოირჩევა და მსხვერპლს სერიოზულ ტრავმებს აყენებდა – თითქმის ყველა დაზარალებულს ნეკნების მოტეხილობა აქვს. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის განცხადებით, დაკავებულებმა აღიარებთი ჩვენებები უკვე დასრულდეს.

საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები კორუმპირებული მთავრობის ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს

პირველი გავრცობა "გასული წლებისგან განსხვავებით არ ყოფილა შეტყობინება სამართალდამცველი ორგანოების მხრიდან რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლების ცემისა და დარბევის შესახებ"; - თითქმის სულ ეს არის ის დადებითი მომენტები, რომლებიც ამერიკელმა, სხვა წლებისგან განსხვავებით, ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით საქართველოს სამართალდამცველ ორგანოთა მუშაობაში აღმოაჩინეს.

სამაგიეროდ, 2002 წლის მიმოხილვაში, რომელიც უცხოელ და ქართველ მიმომხილველთა ანალიზზე დაყრდნობით მოხდა, ნათქვამია, რომ 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნების, ანუ ელვარდ შევარდნაძის მეორე ვადით საქართველოს პრეზიდენტად არჩევის შემდეგ სამართალდამცველთა მხრიდან მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევები მასშტაბურია.

საპატიმრო ადგილებში 34 პატიმრის სიკვდილის ფაქტია დაფიქსირებულია, ამერიკელთა მონაცემების თანახმად, ამაში გარკვეული წვლილი სამართალდამცველ ორგანოებსაც მიუძღვის. აქვე აღნიშნული ისიც, რომ უმბროტების სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან განსხვავებით, უკეთ უძღვება გამოძიების პროცესს და პატიმრებზე ფიზიკური ზეწოლა უმბროტების თანამშრომელთა მხრიდან იშვიათად.

საპატიმრო ადგილებში 34 პატიმრის სიკვდილის ფაქტია დაფიქსირებულია, ამერიკელთა მონაცემების თანახმად, ამაში გარკვეული წვლილი სამართალდამცველ ორგანოებსაც მიუძღვის. აქვე აღნიშნული ისიც, რომ უმბროტების სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან განსხვავებით, უკეთ უძღვება გამოძიების პროცესს და პატიმრებზე ფიზიკური ზეწოლა უმბროტების თანამშრომელთა მხრიდან იშვიათად.

ამნისტია პატიმართა ბარკვეულ კატეგორიას შეხება - შეწყალა ლეონის კანონპროექტი მზადაა

საქართველოში მყოფი ყოფილი მემორები კვლავ ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციების დაწყებით იმუქრებიან. "როგორც ყოველთვის, ხელისუფლებამ ამჯერადაც მოგვაცუა, ამიტომაც ახლა სერიოზულ აქციებს დავიწყებთ, რაც ციხის ბუნებრივ დაფარვებას და არ დავასრულებთ მანამ, სანამ ჩვენს მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებენ", - აცხადებენ პატიმრები. გუშინ ხონის კოლონიაში მათ მშრალი შიმშილობა დაიწყეს.

ნაშაულები მსჯავრდებულებისთვის ამ დედაგათს არ ითვლისწინებს. ერთადერთი გზა მოშიშლიეთა მოთხოვნების შესასრულებლად ამნისტია, რომლის კანონპროექტი პარლამენტარმა გაიყარაშეიღო. უკვე მომზადა.

რამდენიმე თვის წინ პატიმრებსა და ექსთავდაცვის მინისტრს გაიყარაშეიღო შორის დადებული პირობის თანახმად, პარლამენტის თავდაცვისა და უმბროტების კომისიას უნდა მოემზადებინა და პარლამენტისთვის განსახილველად წარედგინა პროექტი ამნისტიის შესახებ. დათქმული ვადის თანახმად, მეომარ პატიმართა ამნისტიის საკითხი თებერვლის ბოლოს უნდა გადაწყვეტილიყო. მართალია, დაგვიანებით, მაგ-

რამ თავდაცვისა და უმბროტების კომიტეტის ჯგუფმა კანონპროექტზე მუშაობა დაასრულა და მას მომავალ კვირას პარლამენტი განიხილავს.

დაწყებულ საპროტესტო აქციას უკვე გვევთის კოლონიისა და ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს ასამდე ყოფილი მეომარი პატიმარი შეუერთდა.

ამნისტიის აქცია გუშინ რუსეთის კოლონიებშიც უნდა დაწყებულიყო, მაგრამ საპატიმროების ადმინისტრაციამ კოლონიების არაოფიციალურ ზედამხედველთა – კანონიერი ქედრების" დახმარებით დაწყებული აქცია ჩაშალა.

ექსთავდაცვის მინისტრის განცხადებით, დეკლარაცია ჯგუფის მიერ მომზადებული კანონპროექტის მიხედვით, ამნისტია შეეხება იმ მეომარ პატიმრებს, რომლებიც ომებში გამორჩეული გმირობისთვის განსჯად გირაგასლის ორდენით დაჯილდოვდნენ; საბრძოლო მოქმედებებში დაინვალიდებულ პატიმრებს კი, მათ, რომლებიც მძიმე მუშაობით არ არიან დასამართლებულნი, უნდა მოეხსნათ

სასჯელის დარჩენილი ნაწილი, ხოლო მათ, ვისაც სასჯელის 2/3 მოხდილი აქვთ, ამნისტია პირდაპირ უნდა შეეხება. შედაგათების გავრცელებისას მხედველობაში მიიღებენ პატიმრის ჯანმრთელობას და ოჯახურ მდგომარეობას, საპატიმროს ადმინისტრაციის დახასიათებას. შეწყალაზე არ შეეხება იმ პატიმრებს, რომლებიც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის არიან განამართლებულნი. "თუ კანონის მიღება ვერ შეძელით, აქციის მონაწილე ვეტერანებს ჩვენი სული მხარდაჭერა ექნებათ", - ასეთია გაიყარაშეიღოს პოზიცია. ექსთავდაცვის მინისტრი აცხადებს, რომ დღეს, რეალურად, 300 ყოფილი მეომარი იხდის სასჯელს და არა 800.

ყარალ სკუთარმა დაწაბულმა იმსვერკლა

წყალტუბოს რაიონის სოფელ ჯიმასტაროში მცხოვრები გიორგი ჩაკეტაძე ძნელად თუ წარმოიდგენდა, რომ ხარების 900 ლარად გაყიდა მის ოჯახს ტრაველიად შემოუბრუნდებოდა.

ყუმბარის აფეთქების შედეგად ვენერა ბაზაზიანი ავღილზე გარდაიცვალა, ხოლო გიორგი ჩაკეტაძეს მარჯვენა ფეხი მოკვეთეს. "24 საათი", თავის დროზე, მომხდარი ტრავედიის შესახებ იუწყებოდა. რამდენიმე დღის წინ საქმეში ახალი გარემოებები გამოჩნდა.

თავი და ერთი კიდური მთლიანად განადგურებული ჰქონდა, ხოლო გულ-მკერდის არემი სპიო ოვალური ფორმის ჭრილობა აღმოაჩნდა. გარდაცვლილს სამხედრო ფორმის მარჯვენა იცევა, რომლის ჯიბეშიც აღმოაჩნდა ზურაბ დემეტრაძის სახლზე გაცემული იმერეთის სამხარეო პოლიციის სპეცდანიშნულების ჯგუფის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. მოგვიანებით გარკვეა, რომ დემეტრაძემ პოლიციის სპეცგვალთა თებერვლის შუა რიცხვებში დატოვა საკუთარი განცხადების საფუძველზე. 7 მარტს მან ოჯახში განაცხადა, რომ თბილისში მიდიოდა, სადაც "კონმანდოს" პატრონი უნდა იყოს რიცხულიყო. თუმცა, იმავე საღამოს ზურაბ დემეტრაძე ჩაკეტაძეების ოჯახში საყარად მივიდა.

ბის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე იხოვეს, იქ, სადაც რაინი წყალმარჩისა და ფეხით გასვლაზე შეიძლება ვარაუდობენ, რომ დაჭრილმა დემეტრაძემ სწორედ ამ გზით აფეთიონა გატყევა და შემდეგ ტყეს შეაფარა თავი, სადაც ხელუშვარის აფეთქების შედეგად მიღებული ჭრილობებიც გაანადგურდა, ხოლო შემდეგ ნადირმა მოაჭამა კიდურები.

ბაქა სისარაი ათათი

7 მარტს ჩაკეტაძეების ოჯახს სამი ნიღბიანი, შეიარაღებული ყარალი დაესხა თავს. ჯემალ ჩაკეტაძემ მათ ნინალმდეგობა გაუწია, რის გამოც იგი დანით ზურგში დაჭრეს, ხოლო ერთ-ერთმა თავდასხმელმა ხელყუმბარა ააფეთქა. სისხლიანი ინციდენტი სამზარეულოში მოხდა, სადაც, ჯემალ ჩაკეტაძესთან ერთად, მისი შვილი - 15 წლის გიორგი ჩაკეტაძე და სვერდად მყოფი ნათესავი - 13 წლის გენერა ზაზაზიანი ტელევიზორს უყურებდნენ. ხელ-

დემეტრაძის გავიშ ჩაკეტაძე-

ბის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე იხოვეს, იქ, სადაც რაინი წყალმარჩისა და ფეხით გასვლაზე შეიძლება ვარაუდობენ, რომ დაჭრილმა დემეტრაძემ სწორედ ამ გზით აფეთიონა გატყევა და შემდეგ ტყეს შეაფარა თავი, სადაც ხელუშვარის აფეთქების შედეგად მიღებული ჭრილობებიც გაანადგურდა, ხოლო შემდეგ ნადირმა მოაჭამა კიდურები.

ინფორმაცია

საგარეჯოში საგზაო პოლიციელებმა მძევალი გაათავისუფლეს

გუშინ, გამთენიისას, საგარეჯოში მძევლის გასათავისუფლებლად ოპერაცია ჩატარდა. საგზაო პოლიციის ინსპექტორებმა გამტაცებლები დააკავეს. ადამიანის გატაცებაში ბრალდებული რუსთაველი ზაზა მახარაშვილი და გურჯაანელი ზვიად მღებრიშვილი ამჟამად საგარეჯოს პოლიციის წინასწარი დაკავების საკანში იმყოფებიან და თბილისში, ორთაქალის ციხეში ეტაპობრივად ეკლდებიან.

გუშინწინ, გვიან ღამით, რუსთაველის გამზირზე, ორმა გოგონამ და ორმა ახალგაზრდა მამაკაცმა ტაქსი გააჩერეს და მძღოლს, ნიკა ხაჩიძეს, რუსთაველი წაყვანა სთხოვეს. გოგონები მართლაც რუსთაველი ჩამოვიდნენ, ბიჭებმა კი საგარეჯოში ჩაყვანა მოითხოვეს და მძღოლს 2-ჯერ მეტი თანხის გადახდას დაპირდნენ. საგარეჯოსთან ახლოს, მგზავრებმა მძღოლს ცემა დაუწყეს, მანქანა გააჩერებინეს, უკანა სალონში გადაიყვანეს და ცემა გააგრძელეს, შემდეგ ნიკა ხაჩიძე გაკოჭეს, ერთმა მგზავრმა ხაჩიძის ადგილი დაიკავა, ხოლო მეორემ მანქანის პატრონის მეთვალყურეობა იკისრა.

გამტაცებლებს სოფელ პატარძელთან მანქანა გაუფუჭდა და ამიტომაც იძულებულნი გახდნენ, ღამე მძევალთან ერთად, პატარძელში გაეთიხებინათ. გამთენიისას მანქანის შეკეთება მოახერხეს და გზა გურჯაანისკენ განაგრძეს; თუმცა, სოფელ ბადაურთან მანქანა კვლავ გაუფუჭდა და გამტაცებლები იძულებულნი გახდნენ იგი ტექნომასხურების პუნქტში მიეყვანათ. ეულკანინიზაციასთან შეჩერებული ავტომანქანიდან ორივე გამტაცებელი გადმოიღო და მძევალს საშუალება მიეცა, ტექნომასხურების პერსონალისთვის მომხდარი შესახებ ეცნობინა. ერთ-ერთმა ხელოსანმა გამტაცებელთა შესახებ პოლიციას შეატყობინა. პოლიცია ბოროტმოქმედებს გზაზე ჩაუსაფრდა. გამტაცებლები პოლიციის კორდონს ბრძანებას არ დემორჩილნენ და მანქანა არ გააჩერეს, რის შემდეგაც სამართალდამცველებმა ავტომანქანა იძულების წესით გააჩერეს. ცეცხლი არც ერთი მხარეს არ გაუხსნია და ოპერაცია უმსხვერპლოდ დასრულდა. აი, ასეთი ინფორმაცია მისცა უფროსსტებს კახეთის საგზაო პოლიციის პირველი განყოფილების უფროსმა ზურაბ გამებარდაშვილმა.

მძევლობიდან გაათავისუფლებული ნიკა ხაჩიშვილი აცხადებს, რომ მას მგზავრები ფულს სთხოვდნენ და როცა შეიტყობდა, რომ მას მხოლოდ 4 ლარი ჰქონდა, გაბრაზდნენ და ცემა დაუწყეს..

მოსკოვში ქართველებმა ქარხნის მოლოურ გადარტყეს

მოსკოვის მილიციის მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, მოსკოვის ცენტრში დააკავეს ორი ქართველი, რომლებიც თავს დაესხნენ სახელმწიფო სანარმოს მოლოარეს.

სამმართველოს ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების სამმართველოს უფროსის განცხადებით, გუშინ, დღის 12 საათზე, მილიციას მიმართა ერთ-ერთი სახელმწიფო სანარმოს მოლოარე. მან განაცხადა, რომ ერთ საათის წინ, დედაქალაქის ერთ-ერთი ბანკის შენობიდან გამოხვდისას, მას ორი უცნობი დაესხა თავს. მოლოარეს წაართვეს ჩანთა, რომელშიც 340 ათასი რუბლი იყო და მიიმალნენ. ოპერატიულ-სამებრო ღონისძიებების გატარების შემდეგ მილიციამ მანქანა ახლოს დააკავა საქართველოს მიმართულაქე, 23 წლის ახალგაზრდები. მათ თან ჰქონდათ გატაცებული თანხა. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მოსკოვის მილიცია დაკავებულია ვინაობა ჯერჯერობით არ აცხადებს.

"საერთაშორისო ამნისტია" შემოთავაზებულია

შარშან, მსოფლიოში, 1500-ზე მეტი ადამიანი სიკვდილით დასაჯეს და 3000-ზე მეტი ანალოგიური განაჩენი გამოუტანეს. ასეთი სტატისტიკა გამოაქვეყნა ორგანიზაცია „საერთაშორისო ამნისტია“. ორგანიზაცია შეაშფოთა სასიკვდილო განაჩენის მაჩვენებელი.

ორგანიზაციის მონაცემებით, ყველაზე მეტი ადამიანი სიკვდილით დასაჯეს ჩინეთში, ირანსა და ამერიკაში. ათასზე მეტი მსჯავრდებული დახვრტეს ჩინეთში, 113 - ირანში, ხლო შეერთებულ შტატებში - 71 ადამიანი.

"საერთაშორისო ამნისტია" მიესალმება იმ ფაქტს, რომ სულ უფრო მეტ ქვეყანაში უარს ამბობენ სიკვდილით დასჯაზე. შარშან ამ ქვეყნებს შეემატნენ სერბია და კვიპროსი. ორგანიზაციის ინფორმაციით, სასიკვდილო განაჩენი უკვე აღარ გამოაქვთ მსოფლიოს 111 ქვეყანაში.

აზერბაიჯანის და საქართველოს ციხეები რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დელეგაცია ბაქოდან დაბრუნდა, სადაც ესწრებოდა აზერბაიჯანის იუსტიციის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ სემინარს - „ჯანდაცვის ორგანიზაცია პენიტენციურ სისტემაში".

სემინარი საერთაშორისო ნოთელი ჯგუფის კომიტეტის მხარდაჭერით ჩატარდა. მასში მონაწილეობდნენ საქართველოს, პოლონეთისა და აზერბაიჯანის იუსტიციის სამინისტროების სამედიცინო დეპარტამენტის წარმომადგენელი.

იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ბადრი ბაღვაძის ინფორმაციით, აზერბაიჯანის პენიტენციურ სისტემაში პატიმართა და მსჯავრდებულთა შორის გავრცელებული დაავადებები და მახასიათებელია საქართველოს პენიტენციური სისტემისთვისაც. ძირითადი პრობლემა აზერბაიჯანშიც ტუბერკულოზია, რომელსაც მოსდევს გულ-სისხლძარღვთა და კუჭ-ნაწლავის დაავადებები.

აზერბაიჯანში 13 ათასი პატიმარია, საქართველოში კი ტუსალთა რიცხვი 8 ათასს აღწევს. 2002 წელს სიკვდილიანობის მაჩვენებელმა იკლო როგორც აზერბაიჯანში, ისე საქართველოში. ჩვენს მეზობელ ქვეყანაში შარშან 206 პატიმარი გარდაიცვალა, აქედან 156 - ტუბერკულოზით, ხოლო საქართველოში 29 გარდაცვლილი პატიმრიდან ტუბერკულოზი ექვსს ჰქონდა.

აზერბაიჯანში პენიტენციური სისტემის თანამშრომელთა ხელფასები გაცილებით მაღალია, ვიდრე საქართველოს სასჯელალსრულებლის დეპარტამენტის თანამშრომლებისა. საქართველოში სასჯელალსრულების დანესტებულები ხელმძღვანელების ხელფასი 100 ლარამდეა, აზერბაიჯანში - 300 დოლარის ეკვივალენტი.

საქართველოს დელეგაციამ აზერბაიჯანის საპატიმროებიც დაათვალიერა. ბადრი ბაღვაძის ინფორმაციით, ქართულ ციხეებთან შედარებით აზერბაიჯანის საპატიმროებსა და სამედიცინო დაწესებულებებში გაცილებით უკეთესი სიტუაციაა. **მედია-ნიუსი.**

მოკლულ

თბილისი. რამდენიმე დღის წინ აფხაზმა სეპარატისტებმა გალიდან გაიტაცეს ორი ქართველი - ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის მკვიდრი. გატაცებულთაგან ერთი გვერდ არახამია, მეორის ვინაობა, ჯერჯერობით, უცნობია. სეპარატისტებმა გატაცებულები გალის აფხაზური მილიციის წინასწარი დაკავების იზოლაციონში მოათავსეს და საქართველო-აფხაზეთის არარეგულირებადი საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისთვის განამართლებას უპირებენ. **მედია-ნიუსი**

თბილისი. თელავის პატალიონის რიგითის, 19 წლის გელა ჯავახიშვილის თვითმკვლელობის ფაქტზე გურჯაანის რაიონის პროკურატურას ჯერ სისხლის სამართლის საქმე არ აღუძრავს. გურჯაანის პროკურორის რევაზ ჩივათაშვილის განცხადებით, გამოძიება ამ ტანაზე ჯავახიშვილის სამხედრო საავადმყოფო სამსახურში განვეყვანილი დაკავებული საკითხებს სწავლობს; თუმცა, ჯერჯერობით, ვინმეს კონკრეტული ბრალდებულობა არ იკვეთება. გამოძიებაში გურჯაანის პროკურატურასთან ერთად მონაწილეობს კახეთის სამხარეო სამხედრო პროკურატურაც, სამსახურებრივ მოკვლევას აწარმოებს ვაზიანის სამხედრო ნაწილის უფროსი კობა ლაჭყუაძიანი. გამოძიება, კანონის მიხედვით, აპრილის ბოლომდე უნდა დასრულდეს. **მედია-ნიუსი**

თბილისი. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის უსაფრთხოების ზონაში მარტისა და აპრილის თვეში დაფიქსირებულია არაერთი მძიმე დანაშაული - მკვლელობა, თავდასხმა, ყანალობა და ადამიანთა გატაცება. ოფიციალურად აღრიცხულია 13 კრიმინალური შემთხვევა და ერთი მასშტაბური ძარცვა, როდესაც აფხაზმა ბოეიკებმა უსაფრთხოების ზონაში მდებარე სოფელ თობიბაის მთელი მოსახლეობა გააძარცვეს. თუმცა, არსებული ინფორმაციით, უსაფრთხოების მხოლოდ ქვედა ზონაში, მარტსა და აპრილში, 40-ზე მეტი დანაშაულია ჩაფინილი. **მედია-ნიუსი**

თბილისი. სამართალდამცველებმა ვაზიანის 11-ე მექანიზებულ-მოტომსროლელი პრივადიან მარშან გაქცეული სამი ვაზიანკაცი დააკავეს. ქვემო ქართლის სამხედრო პროკურატურის მიერ დეტურტრობისთვის ძენილი სამივე ვაზიანკაცი ამჟამად დაპატიმრებულია და N5 საპყრობილეში იმყოფებიან.

ქარლეს რაიონში მცხოვრები კონსტანტინე ხელისუფალი სამხედრო საავადმყოფო სამსახურში გაიხვეის გასული წლის 15 აპრილს. იმავე წლის 19 ივნისს მან სამხედრო ნაწილი თვითნებურად დატოვა.

სამუშაო მცხოვრები ვანო მტეფიშვილი სამხედრო საავადმყოფო სამსახურში გაიხვეის შარშან, 28 იანვარს, 20 ივლისს კი იგი ვაზიანის ბრძანებით გაიქცა.

ჩოხატაურის რაიონში მცხოვრებმა ზვიად ბერძენიშვილმა კი, რომელიც ვაზიანის სამხედრო ნაწილში გასული წლის 10 თებერვლიდან მასხურობდა, ნაწილი თვითნებურად დატოვა.

ქვემო ქართლის სამხედრო პროკურორის მამუკა ცაიავს განცხადებით, დაკავებულ დეტურტრობის წინააღმდეგ საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 388-ე მუხლის მეოთხე ნაწილით აღიძრა, რომელიც 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთის ითვალისწინებს. **ინტერ-პრესი**

მოკლედ

საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილმა თბილისის საოლქო სასამართლოს წინ შეკრებილ ექიმებს საქართველოს მასშტაბით საავადმყოფოების რესტრუქტურული ზაფხულისა და ოპტიმიზაციის პროცესის შეჩერება მიულოცა. დღეს სასამართლომ დაამტკიცა "ნაციონალურის" სარჩელი და შეაჩერა ჯანდაცვის მინისტრ ამირან გამყრელიძის 2002 წლის 3 მაისის ბრძანებულების მოქმედება საავადმყოფოებში რესტრუქტურული ზაფხულის პროცესის განხორციელების შესახებ. **ინტერ-პრესი**

აზერბაიჯანში, კახის რაიონის სოფელ კახინგოლოში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიასთან ადგილობრივ ქართველთა სათვისტომო დაფუძნდა კახინგოლოში, სადაც ძირითადად ქრისტიანი ქართველების ცხოვრობენ, სრულად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის ძალისხმევით მართლმადიდებლური ეკლესია მე-6 წელია, შეუფერხებლად ფუნქციონირებს. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სათვისტომოს დაფუძნება აზერბაიჯანში საქართველოს საელჩოს ძალისხმევითა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის "რელიგიისა და აღმსარებლობათა შესახებ კანონის" სრული დაცვით განხორციელდა. **ინტერ-პრესი**

"ლეიბორისტები" თბილისში მიმდინარე უკანონო მშენებლობებისა და მიწების გასხვიების წინააღმდეგ გააქტიურდნენ. ამჯერად მათი პროტესტის ობიექტი მე-9 საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე დაწყებული საცხოვრებელი სახლის მშენებლობა გახდა. ამ კორპუსში ბინების მფლობელთა შორის "ლეიბორისტები" ქალაქის მერს ვანო ზოდელავას, საკრებულოს თავმჯდომარეს მიხეილ სააკაშვილს, ქალაქის ადმინისტრაციული ინსპექციის ხელმძღვანელს დავით მუმულაძეს და "მათთან დაახლოებულ მაღალჩინოსნებს" ასახელებენ. **ინტერ-პრესი**

ბუნების „სარეჟისორი“ თუ ბაქტერიოლოგიური იარაღი

სამი დღის წინათ, რუსეთში, სვერდლოვსკის ოლქში, საავადმყოფოში უცნობი პნევმონიით დაავადებული ხუთი ადამიანი მოათავსეს. ეპიდემიოლოგები დასკვნების გაკეთებას არ ჩქარობენ, აცხადებენ რა, რომ პნევმონია და მისგან სიკვდილი რუსეთისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა. პარალელურად, ატიპური პნევმონიის საექსპერტული ჯგუფი დაფიქსირდა ყაზახეთში. დაავადდა 48 წლის მამაკაცი, რომელიც ტაილანდში მარტში, ტურისტული საგზურით იმყოფებოდა. სულ, ამ ინფექციის გავრცელებიდან დღემდე, ატიპური პნევმონიით მსოფლიოში 100-მდე ადამიანი გარდაიცვალა, დაავადებულთა რიცხვმა კი 2500-ს გადააჭარბა.



უცნობი პნევმონია რუსეთშიც გამოჩნდა

ტი. ჰონ-კონგის ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, მისი თანამგზავრებიდან, სულ მცირე, 13 ადამიანი ინფიცირებული. ახლახანს, ატიპური პნევმონიის შემთხვევა დაფიქსირდა პრაღაში.

მსოფლიო უსაფრთხოების ზომებს იღებს. რუსეთში უკვე აკრძალა მოქალაქეთა გამგზავრება ჩინეთში; მალაიზიაში ჩინეთისა და ჰონ-კონგის მცხოვრებლებზე ვიზების გაცემა შეწყვიტა; ეპიდემიურად საშიშ ქვეყნებში მყოფი ადამიანებისთვის დაკეტულია ფილიპინები... ჩვენი ეპიდემიოლოგების განცხადებით, საქართველოს ატიპური პნევმონია არ ექვემდებარება, თუმცა, გახსნილი საზღვრები და ჩვენს მეზობლად დაფიქსირებული შემთხვევები რისკის ფაქტორს ამკარად ზრდის. ამის გათვალისწინებით, გვაცნობით ინფორმაციას, რომელსაც უცხოური ორგანიზაციები თავიანთ ფილიალებს უგზავნიან. ჩვენ იგი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის კონტრაქტორმა სამშენებლო კომპანია სპი-კაპაგ-პეტროფაკმა მოგვანოდა.

ტიპური პნევმონიისგან განსხვავებით, ატიპური პნევმონია მომზამელებულია ძალიან მაღალი ხარისხით ხასიათდება. ეპიდემიის ანგარიშებიდან ჩანს, რომ ვირუსის გავრცელებისთვის საჭიროა ინფიცირებულიანი ხანგრძლივი და ახლო კონტაქტი. ყველაზე ხშირად იგი გადაეცემა ჰაერნეუთიანი გზით, დაავადებულის ხველების ან ცემინების შედეგად. კორონავირუსის ოჯახის ბაქტერიები, რომელსაც ატიპური პნევმონია მიეკუთვნება, მშრალ ჰაერზე, ზედაპირზე დახლოებით 3 საათი ცოცხლობს. ამ პირობებში ისინი კრისტალიზდებიან და პერში მტვერით დაფრინავენ. ავადმყოფობა თავს იჩენს მხოლოდ ვირუსის ორგანიზმში შესვლიდან 3-10 დღიანი ინკუბაციური პერიოდის გასვლის შემდეგ.

ინკუბაციის პერიოდში, როგორც არსებული მონაცემები ცხადყოფს, ინფიცირებულები ვირუსს არ გადასცემენ. ინფექციის გავრცელება მხოლოდ დაავადების პირველი სიმპტომების გამოჩენის – ხველის, ცემინების, სურდოს დროს ხდება. ამ სამი სიმპტომის გარდა, ატიპური პნევმონიას ახასიათებს: 39 გრადუსიანი ან უფრო მაღალი ტემპერატურა; კუნთებისა და სახსრების ძლიერი ტეხვა და ტკივილი; ასთმის მსგავსი, გაძნელებული სუნთქვა; გულ-მკერდის არეში ლოკალიზებული ტკივილი, რომელიც სუნთქვას უშლის ხელს. ვირუსი მოქმედებს ყველა ასაკის ადამიანზე. სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი ქრონიკული ავადმყოფობის პირობებში ფიქსირდება. დაავადების განსაკუთრებული რისკის ქვეშ იმყოფებიან: საბაჟოს თანამშრომლები, სამედიცინო პერსონალი, სავაჭრო ქსელში მომუშავეები.

ექსპერტების აზრით, ხალხის თავშეუხერხებელი ნიღბის ტარება ეფექტს ვერ იძლევა, თუმცა, სასურველია ნიღბის ტარება საავადმყოფოში. იგი საავადმყოფოში შესვლამდე უნდა გაიკეთოთ; თუ აპარატურასა და ხელსაწყოებთან შეხება გინევი, მოითხოვეთ ქირურგიული ხელთათმანი; შინ დატოვებულ შემთხვევაში, რომელიც საავადმყოფოში თქვენს ვიზიტს არ შეესაბამება; ნუ მოათავსებთ ნიღბს იატაკზე ან, სავარაუდოდ, ინფიცირებულ ზედაპირზე; თუ რაიმე ხელსაწყო მიგაქვთ საავადმყოფოდან, ჩაატარებინეთ მისი სტერილიზაცია; შენობიდან გამოსვლის შემდეგ, ჯერ მოიხსენიეთ ნიღბი, შემდეგ – ხელთათმანი და გაუკეთეთ იზოლაცია; ხელები გულმოდგინედ დაიბანეთ ქლორვანი სითხით; ხელმეორედ ნუ გამოიყენებთ ნიღბს და ნუ შეეხებით მას ხელთათმანების გარეშე.

ტელეკაზინოს ბათავაშხის შედეგები 14⁵⁰ - 16 19⁵⁰ - 29 22⁴⁵ - 9

თავაშხის ნუსაში

ტელეკაზინოში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მკვირთა და უკონსილის აბონენტებს.

აპრილში 8 07 07, შემდეგ დასაბუთი თანხის შესაბამისად აპრილში რომელიმე რიცხვი 1-დან 5-მდე, ბოლოს თქვენ მიერ არჩეული ფსონის დასაბუთი ადგილის შესაბამისად აპრილში რომელიმე რიცხვი 00-დან 36-მდე.

მაგალითად, თუ თქვენ აპრილში 8 07 07 312, ე.ი. თქვენ დადებთ 3 ლარი 12-ზე. დარჩევა შესაძლებელია წინა ტირაჟის დამთავრებისთანავე და შეწყდება მორატი ტირაჟის დაწყებისას.

მოგებული გამოვლინდება "რუსთაი-2"-ის პირდაპირ ეთერში რუტეტის დატრიალებით ორმახაიდან პარასკევის ჩათვლით 14.50, 19.50 და 22.45 საათებზე, ხოლო შაბათს 20 საათსა და 45 წუთზე.

თუ თქვენ მოიგებთ, მოგებული თანხა თხოუმეტვერ მტკია დადებულ თანხზე.

თანხის მისაღებად მომზადდით რუსთაიელის 3-ში ტელეკაზინოს ანგარიშსწორების ცენტრში. თან იტონით პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და ტელეფონი, რომლიდანაც გაკეთდა ხარი.

თქვენ მიერ მოგებული სრული თანხის გასაგებად დარჩევი 822 20 07 07.

თქვენი მოგებული თანხის მოპოვური ტელეფონის ბალანსზე გადასატანად დარჩევი 822 20 07 08.

ინფორმაციისთვის დარჩევი 07 ან 82209.

კვირის განმავლობაში განმარტავებული მოთავაშხიანი მონაწილეობა მიიღება 10 000 ლარის ბათავაშხაში, რომელიც გაიზარდება ყოველ კვირას 20 საათსა და 45 წუთზე.

10 000 ლარის მოგების შანსი კვირის განმავლობაში მოგებული თანხის პრემიაშია.

ახალი თავაშხი რუსთაიელის 3-ის ნუსაში

ტელეკაზინო

14.50, 19.50 და 22.45 საათებზე

ნომრის პარსონა

დემოკრატიულმა ძალებმა უნდა გაიმარჯვონ

ამის ალტერნატივა ძალადობა და ქაოსია

მანია ჭალაბანიძე

ძალთა საბოლოო დისლოცირების ადგილები ჯერ კიდევ არ გარკვეულა... არჩევნებამდე დარჩენილი თვეები პოლიტიკურად შეიძლება მცირე დრო იყოს, მაგრამ დაზუსტებით მაინც არ არის ცნობილი ვინ - ვის ბანაკში მოხვდება. არის თუ არა ძალთა მოულოდნელი გადაადგილება მხოლოდ ქართული პოლიტიკა თუ თავი ვინუგემოთ იმით, რომ ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაშიც შეეძლო ერთ დროს ძლიერ და ტრადიციულად ოპოზიციურ ძალას ხელისუფლებასთან საერთო ენის გამონახვა?!

პოლიტიკური ძალები ბრძოლის ხაზის ორ მხარეს იკავებენ ადგილებს. იქმნება მთავრულიება, რომ ორივე წლის წინ, ჯერ კიდევ იუსტიციის მინისტრობისას, მიხეილ სააკაშვილის მიერ ნაწინასწარმეტყველები „გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსთვის“ ახლა იწყება.

- სახელისუფლო ძალები გაერთიანებას განაგრძობენ და ეს პროცესი ჯერ კიდევ ცალ-ცალკე მყოფი ოპოზიციისთვის შეიძლება არასახარბიელოდ დამთავრდეს.

- ხელისუფლება არც არასდროს დაშლილა. ხელისუფლებისთვის გადამწყვეტ საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ჩვენ ვერ წავივარდით დიდი მონაპოვარი - კორუფცია. რა თქმა უნდა, ისინი ერთიანდებიან და ამ ერთიანობაში ყველას უნდა რაღაც დიდის მოპოვება.

თუმცა, ერთი რამ უნდა ითქვას. ზუსტად ვიცი, რომ რეალურად სახელისუფლო ბლოკი საქართველოში ვერ გაიმარჯვებს. შეგვიძლია, ცხრა თვის შემდეგ გადავამონწიოთ. ეს ბლოკი მეორე ადგილზეც კი ვერ გავა. ამაში აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ.

დღეს ხელისუფლების მთავარი რესურსი ეთნიკური უმცირესობის ხმებია, რომელიც ლანჩავთი აღარ მიერთმევთ. ქართველი მოსახლეობის ხმებს კი საერთოდ ვეღარ მიიღებენ. ჩვენ ვაპირებთ, აქტიურად ვიმუშაოთ ეთნიკურ უმცირესობებთანაც, რათა მათ ხელი არ შეუწყონ დანარჩენი საქართველოს დაკაბალების მცდელობას.

- ტრადიციულად, არაქართული ხმები ხელისუფლებისაა. როგორ აპირებთ მრავალწლიანი ტრადიციის დარღვევას?

- ავტომატურად ამ ხმებსაც ვერ ნათქვამი. ხელისუფლებამ თბილისში ქართულენოვანი ხმების ერთი პროცენტზე შეიძლება აიღოს, შეიძლება ორი - მათთვის დამითია... რეგიონებში, განსაკუთრებით - გურიაში, სამცხე-ჯავახეთში - ოდნავ მეტს აიღებენ. სხვა რესურსებს რეგიონებში ვერ ვხედავ.

სახელისუფლო ბლოკში უზარმაზარი კონკურენციაა. კვრებიც გამოიხატება არა მხოლოდ ერთობაშიაშიაში, რომ მიმდინიან - ამ ბლოკის სერიოზულად არ უნდა გვემინოვოს. ვიცი, დიდი შემოუბრებაა მეორე კოლეგაში, მაგრამ პირადად მე ამას სერიოზულად არ ვუყურებ. საფრთხე არსებობს და ეს არის ძალადობა, თავზე ხელაღებულია...

ლევან მამალაძის ადგილი ციხეშია და არა ბლოკში. ის ყველაფერზე ნამსუვლელია - ისე ააფეთქებს კაცს, თვალს არ დაახამხამებს. აი, ამ ტიპის საფრთხე არსებობს.

- სახელისუფლო ბლოკმა სერიოზულ ოპოზიციურ ძალად „ლიბორისტები“ და „აღორძინება“ დაასახელა...



მიხეილ სააკაშვილი

დენტიბა და სულ არ აინტერესებს, რა მოხდება პარლამენტში.

- დრო გადის, ოპოზიციის გაერთიანება ფერხდება. მხოლოდ „გაერთიანებული დემოკრატები“ ამბობენ, რომ თქვენი გაერთიანება სულ ახლოსაა...

- დიახ, ეს თითქმის გადაწყვეტილია, მაგრამ თუ „გაერთიანებული დემოკრატები“ პატივსივლი დაბლოკავენ - ჩვენი გაერთიანება არ შედგება. მეორეს მხრივ, თუ პატივსივლი პრორუსულ ელემენტებთან დარჩება, ჩვენი გაერთიანება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. უნდა იყოს ფართო ბლოკი და არა მხოლოდ ჩვენი გაერთიანება.

„ნაციონალური მოძრაობა“ ერთიანდება არა იმიტომ, რომ მეტი პროცენტი ერგოს, არამედ იმის გამო, რომ არ უნდა, ვინმე ბორტს მიღმა დარჩეს.

შიშრად დავდივარ რეგიონებში. ორგანიზაციები გახსნილი გვაქვს საქართველოს 50 რაიონში. დარწმუნებული ვარ, რომ მოძრაობა მზადაა გამარჯვებისთვის და იმისთვის, რომ ამ არჩევნებში პირველ ადგილზე და მკვერებლად გავიდეს... ჩემს შესაძლებლობებს არასდროს ვახვიადებ. არა მგონია, რომელიმე ძალამ აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვოს - ეს შეუძლებელია, რადგან ხმების 30 პროცენტი ამომრჩეველთა ჯგუფად ასლან აბაშიძის მიერ არის მოპარული, მაგრამ დანარჩენ პროცენტებში უმრავლესობა მოიხიბა. ჩვენ ვართ ამას ზოგადად არ ვლამაზობთ - ყველაზე პატარა რაიონშიც კი 700-800 კაცზე ნაკლები არ შემხედვარია. ეს არის ხალხი, რომელსაც პოლიტიკური საქმიანობა მოეხატება.

ამას წინააღმდეგ ვივრძობთ რეგულარულად. სამწუხაროდ, ვეღარ ჩავედი, იმიტომ, რომ ჩეხეთთან დებატები მქონდა და რიკითიდან უკან შეხვედა „ნაციონალურ მოძრაობას.“ საოცრება იყო - ნამდვილად არ მეგონა, რომ ცავარში 1000 თანამოაზრე შეიძლებოდა მყოლოდა. ცავარისთან მივიწყებულ რაიონში ასე პროგრესულად მოაზროვნე ხალხს არ მოველოდი.

ამიტომაც ვარ განწყობილი ოპტიმისტურად. მოგებები ვართ, მაგრამ ჩემი კონცეფცია თავიდანვე გა-

ერთიანება იყო და სხვადასხვა ძალებთან გაერთიანდებით კიდევ. ეს უნდა იყოს ფართო და არა მხოლოდ ჩვენი და „დემოკრატების“ გაერთიანება.

- რამდენად იქნება გადაწყვეტი ამ არჩევნებში ფინანსები?

- ფული ფაქტორი იქნება, მაგრამ არა გადაწყვეტი. საქმე ისაა, რომ რაღაც მომენტის შემოთ ფული აღარ მუშაობს. დარწმუნებული ვარ, საქართველოში იმდენი ფული იქნება ადგილების ყიდვა. არა მგონია, რომ თავს შემოთ გადახტომა შეიძლება... ამის შესახებ ფულს არ აქვს.

- ორივე კვირის წინ, ჩვენთან საუბარში, ირინა სარიშვილი-ჭანტურია თქვა, რომ ერთადერთი სურპრიზი უფროსი უნდა იყოს - სააკაშვილის გაერთიანება დარჩა, სხვა ყველაფერი მოხდა. დღეს მან თქვენს შესახებ დადებითად ისაუბრა. რას ნიშნავს ეს - მიპატივებას ხომ არ მიიღებთ?

- ირინა სარიშვილი-ჭანტურიას მიმართ არანაირი გაღიზიანება არ მაქვს. 7-8 წლის წინ მას ჰქონდა მანქანა, გამხდარიყო ყველაზე ნამყვანი პარტიის ლიდერი. მან ეს მანქანა უშვა. 7-8 წლის წინ ეს იყო ძალზე კარგად ორგანიზებული პოლიტიკური ძალა.

დღეს, მართლაც, მინდა, გამოვთქვა სინანული, რომ ის ნიჭიერი პოლიტიკოსია და დიდი პერსპექტივა ჰქონდა - მან ეს დაკარგა, რაც ცუდია. მინდა, რომ პოლიტიკაში ქალების ფაქტორი იყოს. სარიშვილი-ჭანტურია ასეთი უნიკალური ფაქტორი იყო. მასსოვს, მასზე აღფრთოვანებული სტატეგია იმეჭდებოდა დასავლეთის პრესაში და მას საქართველოს პრეზიდენტობის ერთადერთი უნიკალურ კანდიდატად განიხილავდნენ. ჩვენ არ უნდა გავიმეორებთ მის შეცდომებს.

პრინციპში, სარიშვილი-ჭანტურია პოლიტიკური კარიერა მას შემდეგ დაამთავრა, რაც ვაკის არჩევნებში ჩემს წინააღმდეგ გამოვიცა. და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არჩევნიდან ერთი თვის შემდეგ - როცა ხალხი მთავრობის წინააღმდეგ გამოვიდა - მან მთავრობის მხარე დაიჭირა.

რაიონებში ედპ-ს ძირითადი ორგანიზაციები „ნაციონალურ მოძრა-

ობასთან“ ინტეგრირებული, ან გადამოსვლის სტადიაში არიან. ბევრი მათი აქტივისტი ჩვენთან იმყოფება.

- იქნება თუ არა სარიშვილი-ჭანტურია მთავრობის საფარველი ეროვნული ძალა, რომელიც გაიმარჯვებს უკანას, „ახლების“ და მათ უკან მოაზრებული პირების წინააღმდეგ?

- ის, რომ ბიზნესმენებმა ლიად გამოხატეს სიმპათია ორი პოლიტიკური ძალის მიმართ, სულაც არ არის ცუდი. მიმანია, რომ უმჯობესია, ყველაფერი ლიად ითქვას, ვიდრე საიდუმლოდ ხდებოდეს.

სამწუხაროდ, საქართველოს პირობებში ბიზნესის პრობლემა ზედმეტი პოლიტიკაა. რუსეთში ბიზნესმენები პოლიტიკურ პარტიებში ასე ლიად არ ჩანან. მათ იციან, რომ ზედმეტი პოლიტიკა მათთვისევა დამაღუპველი. საქართველოში ბიზნესმენები ჩვენ შედარებით კარგად დამაღუპველი. საქართველოში ბიზნესმენები ჩვენ შედარებით კარგად დამაღუპველი. საქართველოში ბიზნესმენები ჩვენ შედარებით კარგად დამაღუპველი.

გარემოში წარმოშვა, რომ ისინი მოვიდნენ პოლიტიკაში, მაგრამ ამას მათთვის მეორე დიდი საფრთხე აქვს - საბოლოო ჯამში, ეს წაგებული თამაშია. ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ შედარებით კარგად გამოვიდვართ - ვზოგავთ ფულს. ფული გვეჭირდება გადაადგილებისთვის, გარკვეული სარეკლამო საქმიანობისთვის, მაგრამ ჩვენი ძირითადი მუშაობა მოხალისეებზეა დამყარებული. ადგილზე არც ერთი თანამშრომელს არ აქვს ხელფასი. ისინი უკეთ მუშაობენ, ვიდრე 700 ლეონი ანტიკორუპციული ზოგიერთი პარტიის ოფისში.

კი, კარგია ბიზნესმენები, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ საქართველოში ეს დიდხანს არ იქნება გადაწყვეტი ფაქტორი.

- არეულობა, პარტიების მოსალოდნელი თუ მოულოდნელი შერწყმა საარჩევნოდ ბუნებრივია. ეს ქართული პოლიტიკაა თუ უბრალოდ - პოლიტიკა?

- ჩვენთან პოლიტიკა არ ესმით. შიშრად გავგივია - ესენი საარჩევნო ქულებს აგროვებენ... ბოდიშს ვიხდესაც არჩევნიდან ერთი თვის შემდეგ - როცა ხალხი მთავრობის წინააღმდეგ გამოვიდა - მან მთავრობის მხარე დაიჭირა. რაიონებში ედპ-ს ძირითადი ორგანიზაციები „ნაციონალურ მოძრა-

რეგა პრეზიდენტობაზე იყრიდა კენჭს და სენატორიც კი ვერ გახდა... ბუში კი - ყოფილი წარუმატებელი ბიზნესმენია. ბიზნესში ფული დაკარგა და პოლიტიკაში წავიდა. ბიზნესმენები მხოლოდ ბანანის რესპუბლიკას მართავენ... ასე რომ, საქართველოში გავრცელებული ეს სამი მითი ჩვენი პროცესებისთვის, ელტივისტური დაუნათლებლობის გამოხატულებაა. მათ მიმანიათ, რომ ხალხი ბრყიყია. ინსტიტუტურად ჩვენი ხალხი ბევრად უფრო მაღალ დონეზეა, ვიდრე ე.წ. ელიტა. ეს სიმართლეა.

- მომავალ საპარლამენტო არჩევნებში რა გეგმები გაქვთ?

- თუ ჩვენ დიდ ოპოზიციურ გაერთიანებას შევქმნივთ, არ მიმანია, რომ კენჭი უნდა ვიყარო. თუმცა, მერი თუ არჩევითი არ იქნა, აქ დარჩენასაც არ აქვს აზრი.

კარგად ვიცი, რომ ცალკე ალებული მაჟორიტარი დეპუტატი, მით უმეტეს - ოპოზიციიდან - თავისი ამომრჩევლისთვის არაფრის გამკეთებელი არ არის. როგორც საკრებულოს თავმჯდომარე, ვაკის რაიონს ბევრად უფრო მეტი გავუკეთე, ვიდრე როგორც მაჟორიტარმა დეპუტატმა. დეპუტატობისას ბევრჯერ უშვებოდა მეგობრისა თავი - იმდენად კორუმპირებულ აპარატთან მიმანია შეხება. თუმცა, დღეს მაქვს იმის ბერკეტები, რომ ხელეები დავუმოკლო ამ აპარატს, იმაზე ბევრად მეტად, ვიდრე მაჟორიტარობისას შევძლებდი. ამ თანამდებობაზე დარჩენას აზრი არ ექნება, თუ არჩევნებში ოპოზიციამ ვერ გაიმარჯვა

- ამისთვის რა უნდა მოიმოქმედოს ხელისუფლებამ?

- ოპოზიციის დამარცხებას არ ვუშვებ. ამის ალტერნატივა ძალადობა და ქაოსია. ეს მთავრობისგან მოსალოდნელია, მაგრამ სახალხო მოძრაობისთვის დავუპირისპირებ. ხელისუფლების მხრიდან ძალადობის კიდევ ერთი მცდელობაა, ცრუ ოპოზიციის სამედიო ოპოზიციად გაასაღონ. ამას დღეს უხეშად აკეთებდა მამალაძე და სხვები, როცა ტელევიზიით აცხადებდნენ, რომ მათი ოპოზიციის მხოლოდ „ლიბორისტები“ და „აღორძინება“.

- იქნება თუ არა შემდეგი ძალადობა ახალი საარჩევნო კანონი?

- საარჩევნო კანონმდებლობა სერიოზულად დასახვეწია, მაგრამ იმის რესურსებს ვერ ვხედავ, რომ დღევანდელი საარჩევნო კანონის განმარტავლობა. დღევანდელ სრულყოფილ საარჩევნო კანონის განმარტავლობა. დღევანდელ სრულყოფილ საარჩევნო კანონის განმარტავლობა. დღევანდელ სრულყოფილ საარჩევნო კანონის განმარტავლობა.

- ამაში მთავრობის როლი რა იქნება?

- მსოფლიო ბანკის მიწვევით მივიდვარ. ტარდება საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც სიღარიბის დაძლევის პროგრამას ეძღვნება. თანამომხსენებლებად გამოიან ბალცეროვიჩი, ევრო გაიდარი, მაღალიზის ვიცე-პრემიერი ფინანსთა მინისტრი და მე.

- რის თქმას აპირებთ?

- ვარ ღარიბი ქვეყნიდან, რომელსაც სიღარიბე არ დაუძლევა და ყოველდღიურად იზრდება. ის პროგრამა, რომელიც საქართველოს მსოფლიო ბანკმა განახორციელა, მხოლოდ რამდენიმე ადამიანის გამდიდრებას მოემსახურა და ხალხისთვის არაფერი გაკეთებულა.

იმის თქმას ვაპირებ, რომ სერიოზულ რეფორმებს და ქვეყნების დემოკრატიულ განვითარებას ალტერნატივა არ აქვს. ის, ვინც იბრძოლებს იმისთვის, რომ ავტორიტარული რეჟიმი საქართველოში შეიძლება უფრო წარმატებული იყოს, ვიდრე დემოკრატიული, ძალიან შეცდება. ერაყში სადამ ჰუსეინი ჩამოაგდეს და ჩვენ აქ იმისთვის არ ვართ, რომ ნათელაშვილის და ლევან მამალაძის მსგავსი პოლიტიკოსების სახით ახალი ლუკაშენკო ან ახალი სადამ ჰუსეინი მივიღოთ.

დემოკრატიულმა ძალებმა უნდა გაიმარჯვონ. ეს არის ქვეყნისა და მომავლის წინააღმდეგ ჩვენი ისტორიული მისია.



გასული წლის
ლიტერატურული
პროექტების
შეფასება

წლის საუკეთესო
ნაწარმოების
დაჯილდოება
8 ნომინაციის
ძიქვით

საბან

ყოველწლიური ლიტერატურული პროექტი

სანკტ-პეტერბურგი - 300, თბილისში

ნაწილი მეორე

მარა ნაზარაძე

თითქმის ერთი თვით ადრე, ვიდრე რუსეთის "რეალიზაციის" სა-ოპერატიული ვენებათა დეპარტამენტი, თბილისში სანკტ-პეტერბურგის 300 წლისთავისადმი მიძღვნილი ფესტივალის მეორე ნაწილისთვის ემზადებოდა. "ვივატ სანკტ-პეტერბურგი - 2" 17 აპრილს სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში მალიაპინის 130 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტით გაიხსნება. ფესტივალის დეტალებზე ორგანიზატორები გუმინ რუსული კულტურის ცენტრში საუბრობდნენ.

ლონისძიების ორგანიზატორს, რუსული კულტურის ცენტრის ხელმძღვანელს, ნიკოლაი სვინტიციკს უხარია, რომ პეტერბურგის საოპერატიული თარიღის აღნიშვნა ჩვენთვის არავის დაუსწრაფია. მართლაც, სხვას ვის მოუვიდოდა თავში შარშანდელი ზაფხულის ბოლოს, მსგავსი ეგვიდით მოეწყო საზეიმო კულტურული ღონისძიებების სერია? თუმცა, ისევე როგორც მედალს, ამ ფაქტსაც ჰქონდა დადებითი მხარეები: ფესტივალზე მონაწილე ბორის გრეზენში-კოვის ვიზიტი გასული წლის მნიშვნელოვან გასტროლად უნდა მივიჩნიოთ; ბევრისთვის ლარისა ფრენდლიხთან შეხვედრა იყო სასიამოვნო და ა.შ. რუსული კულტურის მოყვარულებს ერთ-ერთი სასიამოვნო ღონისძიება აპრობოც ვლით.

ფესტივალის მეორე ნაწილის მუსიკალური პროგრამა პირველთან შედარებით, ალბათ, უფრო მეტ ახალგაზრდას დაინტერესებს. ამ მხრივ, მათ გარკვეული სიამოვნება ელით იური მეფრუტან შეხვედრისას. მითუმეტეს, რომ ცნობილი რუსული ჯგუფის ეერ-ს ლიდერი თურმე თბილისში დაგეგმილ ორდღიან კონცერტს განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდება. ნიკოლაი სვინტიციკს ამ სიტყვებში შეიძლება ეჭვიც შეგვეტანა, რომ არა ერთი დე-



ნიკოლაი სვინტიციკი

ტალი: შეგწუქმა ფესტივალის ორგანიზატორებს, ორდღიანი რეპეტიცია მოსთხოვა (რასაკვირველია, ასეთ მცირედ პირობაზე ორგანიზატორები დათანხმდნენ). რაბან, პირობებზე ჩამოვარდა საუბარი, ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ ცნობილი ჯგუფის ლიდერმა თბილისში დამატებით ერთი დღით დარჩენა და რომელიმე მონასტრის მონახულება ითხოვა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ფესტივალის ორგანიზატორები რუსული როკის მდროშის შენახვას მონასტრში წაიყვანენ. იური მეფრუტა და მისი ხუთკაციანი ჯგუფის პირველი კონცერტები თბილისში, გრიბოედოვის სახელობის თეატრში გაიმართება.

ფესტივალის ახალგაზრდული მუსიკალური პროგრამა ამით არ ამოიწურება. "ვივატ სანკტ-პეტერბურგი - 2"-ის დასკვნითი ნაწილი "ჭარა მიუზიკ პოლიში" დაგეგმილი. აქ საღიკოთეკო განწყობას საქაოად ახალგაზრდული და რუსეთში პოპულარული საკლუბო ჯგუფი "დისკომაფია" და სანკტ-პეტერბურგელი დი-ჯეი რომეო შექმნიან. 17-18 აპრილს კონსერვატორიაში დაგეგმილი კონცერტი უფრო კლასიკური მუსიკის მოყვარულებისთვის იქნება საინტერესო. ფესტივალზე მონაწილე სასანკტ-პეტერბურგისა და დიდი თეატრის სოლისტი პეტრე მიგუნოვი. 29 წლის მუსიკოსი თბილისში მალიაპინის 130 წლისთავისადმი მიძღვნილ კონცერტში მიიღებს მონაწილეობას; აკომპანიმენტს კი ქართველი პიანისტი თემურ ელიავა გაუწევს. ლიტერატურის მოყვარულების ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ვიტყვით, რომ 23 აპრილს გრიბოედოვის თეატრში ნიკოლოზ ზაბლოცკის პოეზიის საღიკო ვლით.

და ბოლოს, ფესტივალის ორგანიზატორებს და სპონსორებს მხარდამჭერები როგორც ჩანს, მთავრობაშიც აღმოუჩნდნენ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შესაბამისი უწყების ხელმძღვანელების წყალობით, ყველა სტუმრისთვის დივუტი თბილისის აეროპორტშივე უფასოდ გაიცემა.

"არილის" ინტრიბა თუ...

თამარ სანიშვილი

მარტში ქართველმა მკითხველმა თავის საყვარელ მწერალს - ითარ ჭილაძეს 70 წლის იუბილე მიულოცა. ითარ ჭილაძის დაბადების დღის მილოცვით იწყება ლიტერატურული ფურნალის, "არილის" მორიგი - მეორე ნომერი, რომელიც სულ რაღაც ორიოდე დღის წინ გამოვიდა. "არილის" მუდმივი მკითხველი (და ასეთები საკმაოდ მრავლად არიან) დამეთანხმება, რომ ფურნალის ყოველი ახალი ნომერი მათთვის ერთგვარი სურპრიზია. არც ახალი ნომერია გამონაკლისი. რუბრიკა, რომელსაც ფურნალში აქამდე არ შეხვედრიხართ და რომელსაც "ქართველები გერმანიაში" ჰქვია, ორ ავტორს გადაცნობთ. ერთი მათგანი მანანა მენაბდეა, ოლონდ ცნობილი მუსიკოსი ფურნალის ფურცლებზე სრულიად განსხვავებულ ამპლუაში წარმოგიდგება, ავტობიოგრაფიული ნო-

ველით - "ბედნიერების ღმერთი, ანუ ფრენის დღე ოთხშაბათი". ფურნალი გადავშალე თუ არა, დავინტრიბი. თავიდან ვერც კი დავიჯერე, რომ თავად ფურნალის რედაქტორმაც კი არ იცოდა იმ უცნობი ავტორის ენაობა, რომლის პიესაც - "გამოსათხოვარი პარტია" პირველივე გვერდიდან იწყება. არადა, მართლაც არც იცოდა. ანონიმმა ეს პიესა ელექტრონული ფოსტით გამოუგზავნა "არილის" რედაქტორის მოადგილეს, მალნაზ ხარბედიას და საზან და არის სახელით გაეცნო (ცხადია, ფსევდონიმია). როგორც მისი ნერილიდან ჩანს, საზან და არი ათ წელზე მეტია უცხოეთში ცხოვრობს, დაწერილი აქვს მოთხრობა "მოთხრობა ბრაუნაუზში", რომელიც, სავარაუდოდ, გერმანულ ენაზე უნდა იყოს გამოქვეყნებული. საზან და არი პროფესიით დალაქია და "მოყვარული ლიტერატორი". თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ პიესის ავტორი ნამდვილად არ ტოვებს მოყვარული მწერ-

ლის შთაბეჭდილებას. ეს ნაწარმოები ქართული დრამატურგიის შენაძენად შეიძლება ჩაითვალოს. დანარჩენს მკითხველი თვითონ შეაფასებს. სხვა კიდევ რა? - კიდევ, მარშანდელი "ვენ-მარათონის" გამარჯვებულის, გელა ჩქეზავას პერსონაჟებს უმუშევარი რადიოინჟინერი ვაჟიკო კურცხალია, ელგუჯა კობახია და სხვებიც შეემატნენ (სხვათა შორის, "ფურნალის" სახეივარი სწორედ ორიგინალურ ლიტერატურას ეთმობა). "არილის" უცხოური ლიტერატურის სექციის მთავარი გმირი კი მწერალი ჯულიან ბარნისა, რომელსაც ოქტომბრის გრძობა არასოდეს დალატობს და ერთნაირად სასარგებლო და ხალისურ რჩევებს აძლევს მწერალსაც, დიასახლისსაც და მკითხველსაც, მაგალითად, ასეთს: "არასწორად წაკითხული რეცეპტი იწვევს მუცლის გვერემას, არასწორად წაკითხული რომანი კი - ტვინისას." ასე რომ, ნაკითხეთ "არილი", ოლონდ არასწორად არა.

რატომ ჩაქრდა "მეგას" დაჯილდოება და მისულ ხალხს?

ნათია ნინიძე

თერთმეტ აპრილს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში "მეგას" დაჯილდოების საზეიმო ცერემონია გაიმართა. ეს საღამო 14 რიცხვისთვის უნდა გამართულიყო, თუმცა, რატომღაც დათქმული დრო შეიცვალა. "მეგასზე" ე.წ. ქართული მოუბიზნისის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. მონაწილე სტუმრებს შორის არ ჩანდნენ მერაბ სეფაშვილი, არიკო მეფარიძე, თემურ ნიკლაური და არც მერიის კულტურის სამსახურის თავკაცი დავით ოქიტაშვილი.


ლონისძიება, როგორც წესია, დაახლოებით, ერთი საათის დაგვიანებით დაიწყო. ნამყვანები, აჩი ფურცელაძე და ია სუბიტაშვილი ნახევრადმეცხვებულ დარბაზს გამხიარულებას და პუბლიკისთვის სასიამოვნო განწყობის შექმნას ცდილობდნენ. თუმცა, საზოგადოების "გამოღვიძება" მხოლოდ "ქუჩის ბიჭებმა" შეძლეს ანსამბლ "პოინზ თუ მენ"-ის ისედაც პოპულარული სიმღერის შესრულებით.

დაჯილდოება არავრით განსხვავდებოდა წინამორბედი ცერემონიებისაგან: დაწესებული იყო ერთმანეთის მსგავსი უამრავი ჯილდო ასევე მრავალრიცხოვანი ნომინაციისთვის.

ქალ მომღერლებს შორის საღამოს ფავორიტი კვლავ უცვლელი იყო - ლელა ნურნუშია. ერთადერთი "სიახლე" ის იყო, რომ მამაკაცებში, იქამყოფი მერაბ სეფაშვილის ნაცვლად, დათო ხუჯაძე ლიდერობდა. ბევრჯერ მოხიმეს სცენაზე ახლადმეცხვილი ჯგუფი "საუნდი" და "რონდი". ყველაზე უიღბლო მომღერალი ონისე აღმოჩნდა. მან წლის "ყველაზე ცუდი სიმღერის" ნომინაციაში გაიმარჯვა. რა თქმა უნდა, ონისე პრიზის ასაღებად სცენაზე არ ასულა.

"მეგას" ჯილდოს გარეშე თითქმის არც ერთი შემსრულებელი და ჯგუფი არ დაუტოვებია. არადა, ბილეთებზე მწვანე ასოებით გვირგვინდნენ იმის გარკვევას თუ "ვინ ვინ არის ქართულ მოუბიზნისში." როგორც ჩანს, ქართული "მოუბიზნისის" გულშემატკივრების მცირე ჯგუფს ამის გარკვევა საშინალოდ მოუწევს.

ნამდვილი მხატვრის ავტორიტეტი ზურაბ ლეყავას პერსონალური გამოფენა ხელოვნების მუზეუმში



ზურაბ ლეყავა გამოფენის გახსნაზე

თამარ სანიშვილი

ამდენ საინტერესო ადამიანს, რომ მოინდომო, ერთად თავს ვერ მოუყრი, - უკვირდათ გუმინ გამოფენაზე მიმსვლელთა და ზურაბდნენ კიდევ: აი, თურმე რა ძალა აქვს ხელოვნებასო. 11 აპრილს ხელოვნების მუზეუმში, მართლაც, უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი: მხატვრებმა, მწერლებმა, რეჟისორებმა, დიდი ხნის უნახავმა მეგობრებმა... გუმინ, მხატვარ ზურაბ ლეყავას პერსონალური გამოფენა გაიხსნა. ბატონ ზურაბს კი ჩვენში კარგად იცნობენ, იცნობენ შემოქმედებით, მუსიკალურობით, პიროვნული ღირსებებით. ზურაბ ლეყავა თბილისის კოლორეტი - ასე იტყვიან მასზე ნაცნობ-მეგობრები, ზურაბ ლეყავა ნამდვილი მხატვარია - ასე ამბობენ მასზე ხელოვნებათმცოდნეები.

ხელოვნების მუზეუმის მეორე სართულზე დიდი ექსპოზიციაა წარმოდგენილი, აქ არის სხვადასხვა ტექნიკით შესრულებული ნამუშევრები: ზეთი, გრაფიკა, ლითოგრაფია, გრაფიურა. გუმინ მხახველი თვალს ვერ წყვეტდა უშუალოდ თუ მესტიის პეიზაჟებს, "სამანიშვილის დედინაცვლის" ილუსტრაციებს, ძველ საბჭოელებსა თუ ძველი თბილისის ხელებს. ამაში თავად დარწმუნდებით, როცა

გამოფენას ნახავთ. მხატვრის ნებისმიერი ნახატი - დანაწევებული პატარა ჩანახატიდან მოზრდილი ტილოთი დამთავრებული - კლასიკური ხელოვნების ნიმუშია. "დააკვირდით მის შემოქმედებას, ყოველ ნახატში გამოსჭვივის სიმართლე, მძაფრი განცდა და, რაღა თქმა უნდა, პროფესიონალიზმი," - გვეუბნება მხატვარი გივი თოიძე და დიდ მადლობას უხდის მასპინძელს ასეთი შესანიშნავი გამოფენის მოწყობისათვის.

ზურაბ ლეყავას მთელი შემოქმედება მისი ავტობიოგრაფია, ავტობიოგრაფიკი ალბომი კაცისა, - არავითხელ აღინიშნავს გამოფენის გახსნაზე, და კიდევ ერთი მტკრიბი, მხატვრის ნამუშევრები მუსიკასავით აღიქმება...

თვითონ ზურაბ ლეყავა ცოტა ნალელიანი ჩანდა. "ნესით გაბარებული უნდა ვიყო, ალბათ, ვარ კიდევ გაბარებული, მაგრამ რაღაც ტკივილი მაინც მომეყვება. დრო გადის, ადამიანები მიდიან. ამ ბოლო დროს ბევრი ახლობელი დავკარგე, - თავისი გამოსვლაც სევდიანად დაიწყო მხატვარმა, მაგრამ სიტყვა მანაც ოპტიმისტურად დააბოლოვა: ქართველ კაცს სიმღერა ჭირშიც ამხნვევება და ამ განწყობას ისევ სიმღერა თუ გამოკეთებულს. და მუსიკალურიობით გამოირჩეულა ლეყავების ოჯახმა ერთი კარგი მრავალუამიერი დააგუფუნა. გამოფენა გაიხსნა.



დაგეგმვა: თბილისი TBC 24 საათი

შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ ბარკვებით. გზავნი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ის არის ვალდებული, გაცნობთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შიშვენი "ხალხის პირისპირ". თქვენი შეხვედრის შედეგად, დაგისაქმიანდებათ გადამცემის კომპლექსი ამ ანკეტის შედეგით თქვენთვის მისაღებია შიშვენი "ხალხის პირისპირ" წესებსა და აქტივებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიზორი "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიზორი "ხალხის პირისპირ" შეიქმნება ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუმორჩინებელი, გაყრილი, ძვირივი

მისამართი:

შვილები: (თუ გააქვთ)

საფოსტო ინდექსი:

ბანათელება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:


სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მხოლოდ კატეგორია, რომელიც კარგად ვიცნობთ, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, სავსებით უცხო "არაფერი" ან ვერცხვის მკვლელობის მფლობელი, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გააქვთ)

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრისათვის თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?



გთხოვთ, დააყრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააყრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიანეროთ თქვენი სახელი და გვარი.

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დღეს დღეს?

გიყვარს თუ არა მოგზაურობა? (თუ გიყვარს, სად მიიქმნება ბარათი და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისწავლებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

როგორი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რაგის შეცვლა საკუთარ ბარბერში ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

როგორია თქვენი საყვარელი მხარე და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაცაც მოცდებოთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნაბრისი ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგვიტყველებთ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ვგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმი?

გაქვთ ან გქონდათ თუ არა რაიმე მითსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადავლოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ახალხში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტატიის ბათონის "მთარს სწრაფი" შესრულება, ან აპირებთ ბარათული მუსიკის გაქვთ?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადამგდინებთ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

„დინამოში“ ელზარის თანაბუნდებელი ჩამოიყვანეს

მინილ აბაიშვილი

თბილისის „დინამოში“ უკვე დაინიშნა სამომავლოდ თანაბუნდების დაჭერა. ამ დღეებში საქართველოს ჩემპიონატის ლიდერს ორი ბრაზილიელი ფეხბურთელი შეუერთდა – 24 წლის ნახევარმცველი, მარსიანო და 25 წლის ჟინიო, რომელიც ამჟამად თავდასხმეულია. ორივე ბრაზილიელი ქალაქ ლონდონის ამავე სახელწოდების გუნდში ირიცხება. „ლონდონის“ იმითია ცნობილი, რომ ამ გუნდში დაინიშნა საფეხბურთო კარიერა მიუნხენის „ბაიერნის“ ცნობილმა ბრაზილიელმა თავდასხმეულმა ჯოვანი ელბერმა. ელბერს სხვა ბრაზილიელი კლუბების მაისურა არც მოუგია. ევროპაში, კერძოდ, ცოტა ხნის „გრასჰოპერში“ გადაბარგებამდე იგი „ლონდონისას“ ლისეებს იცავდა. ამჟამად „ლონდონისას“ საუკეთესო დღეები არ უდგას. მართალია, გუნდი ბრაზილიის ჩემპიონატში მონაწილეობს და ხშირად უწევს შეხვედრები ისეთ ცნობილ გუნდებთან, როგორებიცაა „ვასკო და გამა“, „ბოტაფოგო“ და „პალმეირასია“, მაგრამ, ძირითადად, ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის.

მარსიანომ და ჟინიომ ჩამოსვლის მეორე დღესვე „დინამოს“ სათადარიგო გუნდის ორმხრივ თამაშში მიი-

ღეს მონაწილეობა, ხოლო გუნდის ძირითად გუნდთან ერთად ივარჯიშეს. როგორც „დინამოს“ პრესატაშემ, ლევან სალუქვაძემ გვაცნობა, ორივე ფეხბურთელი სინჯებზეა ჩამოსული და მათთან კონტრაქტის გაფორმების საკითხს მთავარი მწვრთნელი, ივო შუშაკი გადაწყვეტს. სალუქვაძის თქმით, შუშაკი არ აპირებს მოელონათა ფორსირებას და უცდის, როდის გაივლიან კარლოს და როჩას თანამემამულეები აკლიმატიზაცია-ადაპტაციის პერიოდს.

ამ ფეხბურთელებთან დაკავშირებით „24 საათში“ კომენტარი სთხოვა „დინამოს“ მმართველ დირექტორს, დავით პეტრიაშვილს.

- ბრაზილიელების ჩამოყვანით დასტურდება, რომ „დინამო“ ჩემპიონთა თასის საკვალიფიკაციო ეტაპის დაძლევისთვის ბაზის იქმნის.

- ამ ფეხბურთელებს უკვე დინამოელებად ნუ ჩათვლით. იმისთვის, რომ უცხოელი ფეხბურთელი „დინამოს“ რიგებში ავიყვანოთ, სულ ცოტა, ერთი თავით მაინც უნდა აღემატებოდეს ადგილობრივებს. სხვა შემთხვევაში, გვირჩევენია, ისევე როგორც იმედისმოქმედი ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელი ავიყვანოთ და მის დაოსტატებაზე ვიმუშაოთ. ჩვენ დავაკვირდებით ორივე ბრაზილიელს და თუ აღმოჩნდა, რომ



დავით პეტრიაშვილი

საჭირო მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ, მათთან ხელშეკრულებას გაფორმებთ. სხვა შემთხვევაში უკან გაავაბრუნებთ.

რაც შეეხება ჩემპიონთა თასის საკვალიფიკაციო ეტაპს, იმისთვის, რომ მის დაძლევაზე იფიქრო, ჯერ იქ თამაშის უფლება უნდა მოიპოვო. ამიტომაც, ჩვენ გვაქვს პროგრამა-მინიმუმი და პროგრამა-მაქსიმუმი. პირველი გულისხმობს, რომ ნლეულს აუცილებლად უნდა დავიბრუნოთ ჩემპიონის ტიტული და გავიმარჯვოთ დავით ყიფიანის თასის გათამაშებაში. ამის მერე უკვე შეგვძლება ჩემპიონთა ლიგაზე საუბარი.

- თუ ეს ბრაზილიელები გუნდში დატურდება, განაცხადში მათი შეყვანა არ გაეფიქრება?

- საქართველოს ჩემპიონატის დებულება ჩემპიონატის მსვლელობის დროს უცხოეთიდან ჩამოყვანილი არაქართველი ფეხბურთელები განაცხადში შეყვანას არ კრძალავს. ეს შეზღუდვა მხოლოდ სხვა ქართული კლუბთან ფეხბურთელის გადმოყვანას შეეხება. ამიტომ, თუ ამ ბრაზილიელებთან კონტრაქტს გააფორმებთ, მათ საქართველოს ჩემპიონატში და თასის ტურნირში თამაშის უფლება ექნებათ.

- თუ პირიქით მოხდა და მონეული ბრაზილიელების სპორტულმა დონემ არ დააკმაყოფილა,

სხვა ფეხბურთელების ჩამოყვანაზე არ იზრუნებთ?

- მარსიანოსთან და ჟინიოსთან კონტრაქტი რომ გააფორმოთ კიდევ, ამ მიმართულებით მუშაობას მაინც არ შეწყვეტთ. უფრო მეტიც – სასულეცაო მუშაობას ახლაც ვაგრძელებთ და ვეძებთ ფეხბურთელებს როგორც ახალი უცხოეთში, ისე ცოტა მოშორებითაც, რაც ამ ბრაზილიელების ჩამოყვანითაც დასტურდება. ჩვენი მთავარი მიზანია, ნიჭიერი ფეხბურთელები საქართველოში აღმოვაჩინოთ, მაგრამ, მოგესხენებათ, ეს არ არის იოლი საქმე, ძალიან ძნელია, საქართველოში მოკვებოთ ისეთი ფეხბურთელი, რომელიც თბილისის „დინამოს“ დონეს და მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. პროგრამა-მაქსიმუმი კი, რაც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში მოხვედრას გულისხმობს, გუნდის გაძლიერებას მოითხოვს.

- ვინ დაგეგმავთ ამ ფეხბურთელების ჩამოყვანაში?

- ამას საიდუმლოდ შევიჩნახე. იმას კი ვიტყვი, რომ მთელ მსოფლიოში გვაქვს სერიოზული, საქმიანი, ექსპლუზიური კონტაქტები და ამ მიმართულებით მუშაობაში არავითარი დაბრკოლება არა გვაქვს.

მირალ სალგადო: „მე ვერასოდეს ვიქნები ისეთი, როგორც რაული, ფიდანი ან როზარტო კარლოსი არიან...“

ესპანეთის წლებიდან დიდი სიურპრიზებით დაიწყო. ცხრილის სათავეში თავიდანვე მოექცა გუნდი, რომელიც უკანასკნელ ხანს მხოლოდ და მხოლოდ უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოდა. ყველას ეგონა, რომ „სოსიედადის“ ლიდერობა დიდხანს არ გაგრძელდებოდა, თუმცა, ვცდებოდით. მადრიდის „რეალმა“ მაინც შეძლო „თახელი სოსიედადის“ გადასწრება, თუმცა, ეს პატარა კლუბი ჯერაც ახერხებს სამეფო კლუბისთვის მწვავე კონკურენციის გაწევას.

ხვალ სან სებასტიანის „ანოეტას“ სტადიონზე სწორედ ეს ორი გუნდი შეხვდება ერთმანეთს. „სოსიედადი“ დიდი მონდომებით ემზადება ამ მატჩისთვის. მას ჯერ კიდევ აქვს პირველი ადგილზე დაბრუნების შანსი. სტუმრად მიღებული გამარჯვება კი „რეალისთვის“ ჩემპიონობის გარანტიის ტოლფასი იქნება.

გთავაზობთ ინტერვიუს „რეალის“ მცველთან, მიჩელ სალგადოსთან, რომელიც ხვალინდელი მატჩის მნიშვნელობაზე, ჩემპიონთა ლიგასა და „რეალის“ სიდიადებზე საუბრობს.



სალგადომ საკუთარი თავის ფასი იცის, მაგრამ სხვებს არ ედრება

ნაღმდეგ თამაში ძალიან გაუჭირდებათ.

- ვისაუბროთ მსაჯზე, რომელმაც საკმაოდ ბევრი პრობლემა შეგიქმნათ.

- ის მატჩი რომ ფრედ დამთავრებულიყო, მსაჯზე მეტს ვისაუბრებდი. მართალია, იყო მომენტები, როდესაც მსაჯმა თავი დახუჭა საჯარიმო მოქმედის გარეშე ბარტვის ხელით თამაშზე, აშკარა პენალტზე, როდესაც რონალდო ნაქციუსს წესები დარღვევა ზიდანის ნინალმდეგ თამაშისას, როდესაც „მანჩესტერმა“ გოლი გაგვიტანა. მაგრამ იმის გამო, რომ შედეგი დამაკმაყოფილებელია,

მსაჯობაზე აღარავინ საუბრობს.

- გაგაკვირვა ბექჰემის ცუდმა თამაშმა?

- ვფიქრობ, რომ „მანჩესტერი“ ყველა რგოლში დაჯგუფებული და არა მხოლოდ ბექჰემის პოზიციაზე.

- საკმაოდ ბევრს აკრიტიკებენ რონალდოსაც.

- ჩვენ პროფესიონალები ვართ და ყველაფერს უნდა დავემორჩილო, რასაც ჩვენგან იხოვვენ. საკმარისია, რონალდო ირი გოლი გაიტანოს და მას კვლავინდებურად „ფენომენს“ უწოდებენ. უსამართლობა იქნება, რომელიმე ფეხბურთელი გაავაკრიტიკოთ. ის მატჩი შესანიშნავი იყო მთელი გუნდისთვის, მათ შორის – რონალდოსთვის. მან ორი კარგი შანსი გაუშვა ხელიდან, მაგრამ ეს მომენტები თვითონვე დაგვრია. რონალდო ისეთია, როგორც არის. ჩვენ ყველამ ვიცით მისი შესაძლებლობები. ვიცით, რომ მომდევნო მატჩებში რონალდო კვლავ გაიტანს გოლებს. ამიტომ ის ისე ითამაშებს ძირითად შემადგენლობაში. არ შეიძლება ბურთის მიღება და გოლს გაიტანს, შეუძლია მატჩის პედი გადაწყვიტოს. კრიტიკა ჩქარა იცვლება და იმედი მაქვს, ეს სან სებასტიანში მოხდება.

- „სოსიედადი“ მატჩი გადამწყვეტი იქნება?

- არ ვიცი, მაგრამ თუ ჩვენ გავიმარჯვებთ, მნიშვნელოვან ნაბიჯს გადავდგამთ ესპანეთის ჩემპიონობისკენ. გარდა ამისა, „დეპორტივო“ „ბარსელონას“ თამაშება. ეს ტური ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

- ვისი უფრო გემინიათ, „დეპორტივისი“ თუ „სოსიედადის“?

- არც ერთის, თუმცა, ორივეს პატივს ვცემთ.

- დათანხმდები თუ არა ფრეს „სოსიედადის“?

- ასეთ შედეგს ნინასწარ არავინ დათანხმდება, თუმცა, გააჩნია, როცა ნარინაროთება ეს მატჩი. შესაძლოა, ფრემაც დაგვაკმაყოფილოს.

- მოდი, შენს კარიერაზე ვისაუბროთ. ახლა საუკეთესო პერიოდი

გაქვს?

- იგივეს ამბობდნენ ნინა სეზონშიც. მე ეს ძალიან მახარებს. ეს იმას ნიშნავს, რომ სტაბილურად ვთამაშობ. მე მნიშვნელოვანი გარ გუნდისთვის. სწორედ ეს მიიღობა.

- გრძობ შენს ფასს?

- მე გმონი, კი. ვგრძობ, რომ მნიშვნელოვანი ვარ ჩემი მეგობრებისთვის, გუნდისთვის. მე ვიცი საკუთარი თავის ფასი და ვგრძობ ჩემი კლუბის სიდიადეს. მაგრამ ახლა ვერასოდეს ვიქნები ისეთივე ძვირადღირებული ფეხბურთელი, როგორც ბიკ სხვები არიან. ეს გამორიცხვია. მე ვერასოდეს ვიქნები ისეთი, როგორც რაული, ზიდან ან როზარტო კარლოსი არიან...

- გრძობ, რომ შენი გუნდი ახლა ჩინებულ ფორმაშია?

- ჩვენ ერთ მნიშვნელოვან რამეს მივალნი: ადრე ამბობდნენ, რომ ჩვენ, ყველანი, ძლიერი ინდივიდუალისტები ვართ. მაგრამ ახლა დაღვიწხულ გუნდად ვიქცით. თანაბრად კარგად ვატარებთ თითქმის მთელ სეზონს და ცოტა შეცდომებს ვუშვებთ. ვიცით, როგორ უნდა ვითამაშოთ მნიშვნელოვან მატჩებში, სადაც, შესაძლოა, ლამაზი ფეხბურთი ვერ ვაჩვენოთ, მაგრამ საჭირო შედეგს მოვალნი.

- რას იტყვი ზიდანის თამაშზე, ალფროვანებული ხარ?

- ჩვენ არ ვიღებთ ამის გამეორებით. მისი ფეხბურთით ვარჯიშზეც კი უდიდეს სიამოვნებას ვიღებთ. ზიდანის ფეხბურთის მოთამაშე ბალდერის ჰვავს. ეს არის ფეხბურთელი, რომელიც სიამოვნებას იღებს ფეხბურთის თამაშში. ვფიქრობ, მისი ფეხბურთით ყველა ტკბება, ჩვენი მეტოქეების ჩათვლით.

- შესაძლებელია ასე მოთამაშე „რეალის“ დამარცხება?

- ასეთი „რეალის“ დამარცხება უარესად ძნელი საქმეა.

- არსებობს კიდევ ერთი ასეთი გუნდი?

- მოქმედი გუნდებიდან არ არსებობს. ჩვენ შევძელით, ამ განსხვავებისთვის მივგენიო. არ მინახავს მატჩი, სადაც ვინმეს ჩვენზე უკეთ თამაშობს.

ერიკ ბერეტსი მანქანის ქურდს ეძებს

ენრიკ ბერეტსი

ამ ბელგიელმა მწვრთნელმა ბუნდესლიგის ფსკერზე ჩაძირულ „კაიზერლაუტერნში“, მართლაც, სასწაული მოახდინა - აუტსაიდერთა შორის მოხვედრილი „ლომები“ კრიზისიდან გამოიყვანა და გადარჩენის იმედი ჩაუსახა. „კაიზერი“ ახლა უკვე მეთორმეტე ადგილზეა და გერმანიაში დარწმუნებულია, რომ გუნდი სეზონის ბოლომდე კიდევ უფრო გაიუმჯობესებს სატურნირო მდგომარეობას. იქნებ ინტერტოტოს ტურნირის საგზურსაც შესწავდეს მეორედ დაბადებული „კაიზერი“... ყოველ შემთხვევაში, რაინლანდ-შვალციის მხარეში ამის დიდი იმედი აქვთ.

ერიკ ბერეტსი ყველას უყვარს. „კაიზერლაუტერნის“ გულშემატკივრები მას გუნდის მსხენელს ეძახიან და დიდ პატივს სცემენ. გერმანიაში რაინის მხარეში მეტად პოპულარული პიროვნებაა, ამიტომ ყველა გაოგნებული დარჩა, როცა ხუთშაბათს, დღლით, სახლიდან გარეთ გასულ ბელგიელს ახალი მანქანა იქ

აღარ დახვდა, სადაც მან ღამით დატოვა... ამ ქურდობამ მთელი რაინლანდ-შვალციის მხარე აღაშფოთა. მოსახლეობა „კაიზერის“ თავკაცის მანქანის მოპარვას დიდ თავხედობად მიიჩნევს. ყველა გაბრაზებულია: კლუბის ხელმძღვანელობაც, გულშემატკივრებიც, პოლიციაც და ის ხალხიც, ვისაც ფეხბურთი საერთოდ არ აინტერესებს. გერმანიის მანქანას, Audi A8 , KL-E 885-ს, პოლიციასთან ერთად მოსახლეობაც ეძებს. „კაიზერლაუტერნის“ შეიკოტო როტი დარწმუნებულია, რომ ქურდი კლუბის გულშემატკივარი ნამდვილად არ იქნებოდა. „გერმანიის“ კაიზერის“ ყველა ფანს ძალიან უყვარს. გუნდის გულშემატკივრები მის საკუთრებას ნამდვილად არ შეეჩვიეს. ჩვენ ყველაფერს გვაკეთებთ, რომ მანქანა ვიპოვოთ. გერმანიის „აუდის“ ნომრები უკვე ყველამ იცის. ქურდი დიდხანს ვერ ივლის ამ მანქანით, მას მალე დაიჭერენ“, - იმედიანადაა როტი.

პოლიციაც ამ აზრისაა. გერმანიის მანქანის მოპარვის ფაქტი უკვე



ერიკ ბერეტსი

იქ გახმაურდა და ისეთი აჟიოტაჟი გამოიწვია, რომ ძნელი წარმოსადგენია, ქურდმა ამ „აუდი“ ხალხში გამოიჩინა გაბედვლი.

თავად ერიკ ბერეტსი ქურდობას მშვიდდ შეხვდა და იმედი გამოთქვა, რომ პოლიცია მალე მოაგვებს მის ავტოს. ბელგიელი სპეციალისტი კმაყოფილია, რომ თანამაგობის, სალონის, მანქანისგან გადასვლისას, ყველა მნიშვნელოვანი საბუთი თან წაიღო, ოღონდ თან ბრაზდება, რომ ქურდმა ახლად გარეცხილი და გაპირალებული მანქანა წაიყვანა. გერმანია იქ კომიკურად განაცხადებს, ყველაზე მეტად გული იმაზე მწყდება, მანქანა წინა დღის გარეცხილი იყო, თითქოს ყველაზე მნიშვნელოვანი მისთვის სწორედ ეს ყოფილიყო. რაო, მუჭყინი მანქანა რომ მოეპარათ, მაშინ არ გაბრაზდებოდნენ? - ირონიულად კითხულობენ „ბილდის“ ჟურნალისტიები.

ის კაცი, ვინც ბელგიელის ძვირფასი მანქანით მოსიურვა სეირნობა, ახლა ნამდვილად არასანაირი მდგომარეობაშია. მასზე ხომ მთელი

რაინლანდ-შვალციის მხარე ნადირობს: პოლიციით დაწყებული და ადგილობრივი მოსახლეობით დამთავრებული. თუ დაიჭიროს, ყველასთვის თითოთი საჩვენებელი გახდება და სასჯელის მოხდის შემდეგაც ვერ შეძლებს რეპუტაციის აღდგენას. სწორედ ამიტომ, გერმანული „ბილდი“ ქურდს ურჩევს, გვიან ღამით, როცა ყველას ეძინება, ჩუმად მიიყვანოს გერმანიის მანქანა იქ, საიდანაც მოიპარა. ეს მისთვის, მართლაც, საუკეთესო გამოსავალია.

სწორედ ასე მოხდა 1988 წელს რომში, როცა გერმანიის ნაკრების მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა თავდასხმელის, რუდი ფიოლერის მანქანა მოიპარეს. როცა ქურდი მიხვდა, ვისი „მერსედისი“ ანაწანა, მანქანა მაშინვე უკან დააბრუნა. გახარებულმა ფიოლერმა უკანა საგარძელზე პატარა ბარათი დაწერა: „Sorry, Rudi!“ ზოდიშს იხდით ქურდი...

სწორედ ასეთი კეთილშობილური მონაწილეა თუ იხსნის პატიმრობისა და განაკიცხვისგან ერიკ ბერეტსის მანქანის ქურდს...

რაზმი

მსოფლიო თასს მასპინძელი გამოუჩნდა

ვაახა თოთაძე

გადაწყვეტილი ამბავია: 2007 წელს გასამართ მსოფლიო თასს საფრანგეთი უმასპინძლებს. კენჭისყრა ტურნირის მასპინძლის გამოსავლენად გუმიონის მოწყობა დუბლინში, რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) სხდომაზე. კანდიდატურა ორი იყო - საფრანგეთი და ინგლისი. ხმათა უმრავლესობით (18 3-ის წინააღმდეგ) მსოფლიო თასის ჩატარების უფლება საფრანგეთმა მოიპოვა.

აღნიშნა IRB-ს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა სიდ მილარმა. IRB-ს არჩევანი მისმა კონსერვატიულობამ განაპირობა. საქმე ის არის, რომ ინგლისმა ტურნირის ჩატარების ფორმატის შეცვლის წინადადებით მიმართა საბჭოს. ინგლისელთა თქმით, ტურნირში მონაწილეობა უნდა მიეღო არა 20, არამედ 16 გუნდს, მათგან უკეთეს რვას კი ჯგუფურ ეტაპზე გაერკვია მსოფლიოში უძლიერესი ვინაობა. დარჩენილი რვა გუნდი, სხვა 12 გუნდთან ერთად, გაითამაშებდა ერთა თასს. ასეთ შემთხვევაში მაყურებელს 45 დღეში 88 მატჩის ხილვის საშუალება ეძლეოდა. მათგან განსხვავებით, ფრანგებმა გადაწყვიტეს, ტურნირი დღეს არსებული ფორმატით ჩატარონ, რამაც, ფაქტობრივად, გადაწყვიტა კიდევ კენჭისყრის შედეგი.

მომავალი ტურნირის მასპინძლის არჩევა ძალიან გაჭიანურდა. წესით და რიგით, მასპინძელი ჯერ კიდევ შარშან, წლის დასაწყისში უნდა გამოეცხადებინა.

ყო, მაგრამ ვინ ფიქრობდა 2007 წლის პირველობაზე, როცა 2003 წელს გასამართ ჩემპიონატს არ ჰყავდა მასპინძელი. გასსოფთ, ალბათ, ზელანდიელებმა IRB-ს მიერ წაყენებული პირობები არ შეასრულეს, რის გამოც ახალ ზელანდიას მასპინძლობის უფლება ჩამოერთვა, მოგვიანებით კი ეს უფლება ავსტრალიას მიეცა. "ის დრო, რომელიც მომავალი მსოფლიო თასის გამართვამდე დარჩა, საფრანგეთისთვის საკმარისი იქნება, მაგრამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ, რომ ტურნირის უმაღლეს დონეზე ჩასატარებლად გასანეე სამუშაოებს დიდი დრო სჭირდება. ამიტომ 2011 წლის ტურნირის მასპინძელს 2005 წელს გაავრკვევთ", - განაცხადა მილარმა.

წლებიდან მსგავსად, მომავალი ტურნირიც შემოდგომით გაიმართება, ოღონდ არა ოქტომბერ-ნოემბერში, არამედ სექტემბერ-ოქტომბერში. თამაშები ჩატარდება იმ 10 ფრანგულ ქალაქსა და სტადიონზე

| ქალაქი | სტადიონი | ტევადობა |
|-------------|-----------------------|----------|
| პარიზი | პარკ დე პრენსი | 44 000 |
| სენ-დენი | სტად ფრანსე ველიდრომი | 80 000 |
| ბორდო | ჟაკ ფელმა | 60 000 |
| ლანსი | ფელიქს ბოლარი | 32 600 |
| ლიონი | ჟერლანი | 41 800 |
| მონპელიე | მოსონი | 41 500 |
| ნანტი | ბოუფური | 38 000 |
| სენტ-ეტიენი | ფორფი გიშარი | 35 600 |
| ტულუზი | მუნიციპალი | 35 700 |
| დუბლინი | ლენზდაუნ როუდი | 50 000 |
| კარდიფი | მილნიუში | 75 000 |
| ედინბურგი | მარიფილდი | 67 500 |

ფორმულა 1

„ჭორდანი“ ზავით, „მაკლარენი“ ქვავით

გიბა ბარსაშვილი

ფორმულა 1-ის განახლებული სეზონი შარშანდელთან შედარებით გაცილებით საინტერესოდ და ქაოსურად მიმდინარეობს. მოვლენათა კალენდრის კოპირ ცვალებადობას კი პროვოცირებს თავდაყირა დაუყენებია. ფერარის გერმანელმა პილოტმა, მსოფლიოს სუთფზის ჩემპიონმა მიხაელ შუმხერზემაც ვერა და ვერ დაატრიალა საჭე ისტატურად. იტალიელთა საჯინოზის „გაუმართაობით“ კი სხვებმა ისარგებლეს. ამ შხრივ, თვალშისაცემი გამხდარა „მაკლარენის“ საჯინოზო, რომლის პილოტებიც, ზენიუდ მესამედ, გამარჯვებულების რანგში ყელყელაობენ ფორმულა 1-ის მესამე ეტაპის გამარჯვებულს, ფინელი კიმი რაიკონენიც ობიექტურების უმთავრესი სამიზნე გამხდარა. თურმე, ამიდა, ბრაზილიის გრან-პრის ნამდვილი ტრიუმფატორი, როგორც შედეგ გაორკვა, „ჯორდანის“ იტალიელი პილოტი ჯან კარლო ფიზიკელაა.



ფიზიკელა ალიარეს

კონენი ცნო. არადა, გამარჯვებული უნდა ყოფილიყო 30 წლის ჯანკარლო ფიზიკელა, რომელსაც რეანლიან კარიერაში აქამდე არასოდეს გაუმარჯვია. საქმე ის არის, რომ ავარიამდე სარბოლო ქრონომეტრებს შორის შეუთავსებლობას, უზუსტობას ჰქონია ადგილი. კერძოდ, საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (FIA) განცხადებით,

„ჯორდანის“ იტალიელი პილოტი მიჩნულზე ერთი წრიტს ლიდერობდა. ანუ, წითელი დროშის აფრიალებამდე „მაკლარენის“ პილოტი იტალიელს ჩამორჩებოდა. FIA-ს წეს-კანონებით, გამარჯვებულად უნდა გამოცხადდეს ის, ვინც რბოლის შეწყვეტამდე ორი წრიტადრე ლიდერობდა. ასეთი კი ფიზიკელა გახლდათ. FIA საკუთარ არგუმენტებს იმით ამტკიცებს, რომ (ფიზიკელამ 54 წრის შემდეგ იგდო ხელი ლიდერობა) იტალიელმა პილოტმა ავარიამდე 5ნ-ე წრის დაწყება მოასწრო. ამიტომაც, რბოლის შედეგები სწორედ 54 წრის მიხედვით უნდა დაფიქსირდეს და არა 53 წრის დასრულებისას. ასე რომ, მესამე ეტაპის გამარჯვებულად ფიზიკელა გამოცხადდა. განაჩენი კი გუმინ პარიზში, FIA შტაბბინაში, რბოლის მომსახურე სტრუქტურებთან ერთად, საგანგებო სხდომაზე გამოიტანეს.

სხვათა შორის, ბევრს ეჭვიც არ ეპარბოდა, რომ მოვლენები ასე განვითარდებოდა. გერმანელმა ჟურნალისტებმა კი ფიზიკელა სულაც საგანგებო სხდომამდე ჩემპიონად ცნეს. ჟურნალი „Auto, motor und sport“ კი საერთაშორისო ფედერაციიდან მიღებულ სარწმუნო წყაროზე დაყრდნობით იმასაც აცხადებდა, FIA-ში განაჩენი გამოიტანა ილი კეტი. 11 აბრილის სხდომა კი ფორმალთა თუ არისო.

მათ აზრს იზიარებდა და იზიარებს „ფერარის“ გერმანელი პილოტი მიხაელ შუმხერიც. მასაც რბოლის გამარჯვებულად ფიზიკელა მიაჩნია და არა რაიკონენი.

ჩამოქვეითების პერსპექტივას „მაკლარენი“ თითქოს შეგუებულიც კი იყო.

ყოველ შემთხვევაში, მათი ადრეული განცხადებებიდან ასეთი შიამოჭილვა იქმნება.

თუ ქრონომეტრებს შორის უზუსტობა დამტკიცდა, მაშინ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება მისაღები იქნება, - განაჩენის გამოტანამდე საკუთარ პოზიციაზე მოუთითებდა „მაკლარენის“ საჯინოზო.

რაც შეეხება თავად ფიზიკელას, FIA-ს საგანგებო სხდომამდე იტალიელი პილოტი აცხადებდა, რომ აღარ სურდა, კვლავაც იმედგაცრუებული დარჩენილიყო.

იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებას დამიბრუნებენ, თავს ბევრად უფრო ბედნიერად ვიგრძნობ. მაგრამ ის, რომ კვარცხლილს უმაღლეს საფეხურზე შედგომისა და გამარჯვების აღნიშვნის საშუალება არ მიმეცა, ამას ვერ დავიწყებ, - გულნატკენი ჩანდა ფიზიკელა. ერთი ისტყვიით, ბრაზილიური გრან-პრის ორგანიზე ატხილად დევა-კანათსა თუ მარჩილოლას ბოლო მოეღო. ამირიგად, ფიზიკელა მსოფლიო ჩემპიონატის მესამე ეტაპის ოციცილოდ გამარჯვებულად გამოცხადდა. კიმი რაიკონენმა კი პირველიდან მეორე ადგილზე გადაინაცვლა. მიუხედავად ამისა, მსოფლიო ჩემპიონატის ჩათვლაში ფინელი პილოტი კვლავაც მონიშნავდა. ოღონდ ახლა, 26 ნაცვლად, 24 ქულა აქვს. იტალიელი კი იმავე ჩათვლაში მეხუთე ადგილზეა.

ალსანიშნავია, რომ ჩემპიონობა „ჯორდანის“ საჯინოზომ მისთვის საოქბოლი, მე-200 გრან-პრის გათამაშებაში მოიპოვა, რაც მისთვის მთლიანობაში მეოთხე გამარჯვებაა.

„ინტერლაგოსის“ ტრასაზე რბოლების დასრულება და შედეგებში ეჭვის შეტანა ერთი იყო. რბოლამ, რომელიც „იაგუარის“ ავსტრალიელი პილოტის მარკ ვებერისა და „რენოს“ ესპანელი პილოტის ფერნანდო ალონსოს ავარიები წინამძღო, სამეფო რბოლების მესამე ეტაპის გამარჯვებულს, ფინელი კიმი რაიკონენიც ობიექტურების უმთავრესი სამიზნე გამხდარა.

რა უზველის მიხედვით უზველს?

ნიკო პირველი

დღეს მსოფლიო სპორტში, ალბათ, არ მოიძებნება მიხაელ შუმხერზე უფრო უღბლო და უბედურად აღმაიანი გერეკვს მსოფლიოს სუთფზის ჩემპიონი, ითვლებოდე ყველა ტურნირის უპირველეს ფავორიტად და ვერ ახერხებდეს უკვე ოცნებად ქცეული გამარჯვების მოპოვებას - ამაზე მწარე რა უნდა მოხდეს ასეთი წარმატებული სპორტსმენის ცხოვრებაში?



მიხაელ შუმხერი

ეს უკვე დასასრულის დასაწყისი იყო. მართალია, „ფერარის“ ბოსები იხტებარს არ იტყვენ და ყველას არწმუნებენ, შემდეგ ტურნირზე ახალი ბოლიდით გამოვალთ და ყველაფერი შეიცვლება, მაგრამ „ფერარის“ გამარჯვე-

ბის უკვე ძალიან ცოტა ვინმეს თუ სჯერა, მით უმეტეს, რომ ახალი მანქანა ტექნიკურად არცთუ ისე სრულყოფილია და გამოცდისას უკვე ორჯერ განიცადა კრაში...

მიხაელ შუმხერს იტალიაში აკრიტიკებენ, გერმანიაში კი მის დაცვას და გამხნეებას ცდილობენ. იტალიელი ტიფოზები უმადურები გამოდგნენ - შუმხერი მათ მხოლოდ მაშინ სჭირდებოდათ, როცა ის ფორმაში იყო და „ფერარისთვის“ წარმატებები მოჰქონდა. როცა „შუმის“ გაუჭირდა და გულშემატკივართა თანადგომა და დახმარება დასჭირდა, იტალიაში მას ყველამ ზურგი აქცია. სამაგიეროდ, სამშობლოში უფროს „შუმის“ გერ კიდევ ბევრი მხარდამჭერი ჰყავს. გერმანელს სანაგვეზე გადასადგებად ნამდვილად არ ემეტებათ თავიანთი სახელოვანი სპორტსმენი და ძალიან უნდათ, როგორცმე დაეხმარონ კრიზისის დაძლევაში.

გერმანულმა „ბილდმა“ საინტერესო ექსპერიმენტი ჩაატარა: გაზეთის რედდაქციაში მკიხიველს სთხოვა, გამოეთქვა თავისი მოსაზრება იმის შესახებ, თუ რა უშველის შუმხერს კრიზისის დაძლევაში. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. „ბილდმა“ მიიღო უამრავი წერილი, რომლებშიც გერმანელი შუმხერს ნაირ-ნაირ რჩევებს აძლევდნენ. არ გაიტყვერეს, რას ურჩევდნენ თანამემამულეები მსოფლიოს თავი დააღწიოს...

სუთფზის ჩემპიონს? გავეცნით რამდენიმე ყველაზე საინტერესო ვარიანტს.

ასე, მაგალითად, ერთ-ერთი ფანი ბადენ-ვიუტემბერგიდან შუმხერის სწორს, ყურადღებით უყუროს იმ ვიდეორჩანაწერებს, სადაც მისი საუკეთესო გამოსვლებია აღბეჭდილი და მერე, რაც შეიძლება, სწრაფად მოუფდეს თავისი ბოლიდის საჭეს. მეორე გულშემატკივარი ფიქრობს, რომ „შუმში“ კვებას უნდა მიაქციოს დიდი ყურადღება - რბოლის წინ აუცილებლად მიირთვას სალათა და მაკარონი. ორი ქალბატონი მიიჩნევს, რომ „შუმის“ მესამე შეილის შექენა ისინის კრიზისისგან, რადგან პირველი ორი ბავშვის დაბადებამ სპორტსმენი უფრო ძლიერი გახადა. ერთი მანქანის ავზის ბენზინით ბოლომდე ავსებას ურჩევს, მეორე - ახალი საბურავებით რბოლას, მესამე თილის მებს ანიჭებს უპირატესობას და დარწმუნებულია: თუ „შუმი“ თავისი გოგონას საავრცხელს და ვაჟის ფეხსაცმლის თასმას დაწყობს ბოლიდში, ყოველგვარი წარუმატებლობისგან დაზღვეული იქნება. მოკლედ, რჩევები ათასნაირია. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ „ბილდს“ ჯერაც არ დაუმთავრებია მკითხველთა აზრების გამოქვეყნება. მეორე სერია ორშაბათის ნომერში იქნება. ვნახოთ, იქნებ შუმხერმა თანამემამულეთა მოსაზრებები გაითვალისწინოს და ამ უსაიამოვნო კრიზისს თავი დააღწიოს...

ფორმულა 1

იასონ ფირალიშვილი



F1: ათი ყველაზე საინტერესო ჩემპიონატი

ფორმულა ერთის სანახაობრივი მხარის შეფასების აბსოლუტური კრიტერიუმები არ არსებობს. ყველა სეზონს თავისი ხიბლი აქვს და რაცაცით გამოირჩეულია. თუმცა, სპორტის ამ სახეობის ნახევარ საუკუნეზე ოდნავ მეტი ხნის ისტორიაში იყო რამდენიმე ისეთი ჩემპიონატიც, რომელთა სხეების გვერდით დაყენება ცოტა უხერხული იქნებოდა. მათში დიდი იყო ინტრიგაც, ბოლომდე გაურკვეველი იყო ჩემპიონის ვინაობაც და ბევრი იყო საინტერესო, უშედავათო რბოლაც. რა თქმა უნდა, ყველა მათგანის ყოველმხრივი შეფასება შეუძლებელია, მაგრამ ჩვენი მონათხრობიდან მკითხველს მათზე გარკვეული, თუნდაც ზედაპირული შეხედულება მიიწვევს. მერე კი, ოდესმე, იმედია, მათ შესახებ უფრო ვრცელად მოყოლის საშუალებაც გვექნება...

1958 ეს იყო 50-იანი წლების შესაფერისი ტიპური ჩემპიონატი, რომლის საბოლოო შედეგიც ერთდროულად სამართლიანიც იყო და უაღრესად უსამართლოც. ის იმითაც იყო გამორჩეული, რომ ფორმულა ერთის ისტორიაში, მსოფლიო ჩემპიონი პირველად გახდა ბრიტანელი ავტომობილი.

ტიტულისთვის თავიანდვე ორი ინგლისელი - სტრონგე მოსი (ვენუოლი) და მაიკ ჰოტორნი (ფერარი) იბრძოდა. მთელი სეზონის განმავლობაში ხან ერთი გავიდოდა წინ, ხან - მეორე. მოსმა მეტოქეზე ოთხჯერ მეტი რბოლა მოიგო, მაგრამ საბოლოოდ ვიცე-ჩემპიონის ნოდებს დასჯერდა.

რაც მთავარია, ჰოტორნმა სწორედ მოსის მიერ მიცემული ჩვენების წყალობით მოიპოვა ჩემპიონობა. არადა, მოსს ტყუილის თქმაც არ სჭირდებოდა, მხოლოდ თვალი უნდა დაეხუჭა მომხდარზე და ის სასუკვარ ტიტულს მოიპოვებდა, მაგრამ ეს მან არ იკადრა...

1964 ჩემპიონობისთვის კვლავ ორი ბრიტანელი - გრემ ჰილი (BRM) და ჯიმი კლარკი (ლოტუსი) იბრძოდა, მაგრამ ჩემპიონატის ბოლო ეტაპის, მექსიკის დიდი პრზის შემდეგ ტიტულს მესამე ბრიტანელი - ჯონ სარტიზი (ფერარი) დაუფლდა. არადა, ჰილმა სარტიზზე ქულით მეტი მოიპოვა, მაგრამ ეს შედეგობაში შეძლო. მაშინდელი წესებით კი, ჩემპიონობა ჩათვლაში ექვსი საუკეთესო შედეგი შედიოდა. ჰილმა, ამ წესის მიხედვით, მას ბელგიაში მოპოვებული ორი ქულა ჩამოერთვა. იგივე მიზეზით, კონსტრუქტორთა პირველობაში BRM-ს ფერარიმ აჯობა.

1974 ეს იყო 70-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და დაძაბული სეზონი, რომელშიც ტიტულისთვის სამი გუნდის სამი პილოტი - ბრაზილიელი ემერსონ ფიტცალდის (მაკლარენი), შვეიცარიული კლივი რეაგაციონი (ფერარი) და სამხრეთაფრიკელი ჯონი უილიამსი (ტირელო) გაეუქრობოდა ერთმანეთს.

ბოლო ეტაპის წინ სამივე ინარჩუნებდა ჩემპიონობის შანსს. ამასთან, ემოს და რეგას თანაბარი ქულები (ბრაზილიელმა ორით მეტი რბოლა მოიგო) ჰქონდათ. აშშ-ის უოტკინს გლენის ტრასაზე შექტური ნაადრევად გამოეთიშა ასპარეზობას, რეგაციონის კი პიტსბოზე სამჯერ მოუხდა მესვლა და ფინიშიდან მხოლოდ მე-11 მივიდა. სამაგიეროდ, ფიტცალდემ „ჩემპიონად“ დაიკავა მეოთხე ადგილი და თავისი მეორე ტიტულიც მოიპოვა.

1976 შესაძლოა, ეს ჩემპიონატი არც დაძაბულობით და არც სანახაობრივით თვალსაზრისით არ გამოირჩეოდა, მაგრამ მისი დასასრული ერთ-ერთი ყველაზე დრამატული გამოდგა.

სეზონი ავსტრალიელი ნიკი ლაუდას (ფერარი) უდიდესი უპირატესობით დაიწყო, მაგრამ „ფორმულა 1-ის“ მომხდარი ავარიის შემდეგ, რომელშიც კინალამ დაინვა, მას რამდენიმე ეტაპის გამოტოვება მოუხდა. მას ბრიტანელი ჯეიმს ჰანტი (მაკლარენი) ნამოწინა.

ჩემპიონატის ბედი ბოლო ეტაპზე, ფუძიამას მთის ქვეშ მოწყობილ ტრასაზე გადაწყდა. ძლიერი წვიმის გამო ლაუდამ მეორე სრეზე შეწყვიტა ასპარეზობა, რადგან ასეთ პირობებში გამოსვლა უაზრო რისკად მიიჩნია. ჰანტმა კი ბოლომდე იარა და, საბოლოოდ, ერთი ქულით აჯობა ავსტრიელს, რის შესახებაც ნიკიმ თვითმფრინვაში შეიტყო.



ამ ავარიის შემდეგ ლაუდა კიდევ იბრძოდა ჩემპიონობისთვის

1982 რაოდენ სამუნახაროც უნდა იყოს, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო სეზონი გამორჩეული იყო თავისი ტრავიკულობითაც მისი მსკვლელობისას ჩემპიონის ტიტულისთვის ემერსონ „ფერარის“ ორივე პილოტს უმძიმესი ავარია მოუვიდა. ბელგის „კოლდერში“ დაიღუპა კანადელი ყოფი ვილნევი. გერმანიის „პოკენჰაიმინგზე“ კი ავარიის შედეგად ორივე ფეხის უმძიმესი ტრავმა მიიღო ფრანგმა დიდურ პირონმა.

სწორედ ამ ავარიების შემდეგ დაიძაბა სიტუაცია ჩემპიონატში. სეზონის დასაწყისში თუ გამარჯვებას მეტწილად ფერარის პილოტებს უწინასწარმეტყველებდნენ, საბოლოოდ, ტიტულს ულიამსის ფინელი კეკე როსბერგი დაუფლდა, მარანელილები კი კონსტრუქტორთა ტიტულით დაკმაყოფილდნენ.

სულ კი სეზონის 16 რბოლა 7 სხვადასხვა გუნდის 11 პილოტის გამარჯვებით დასრულდა. მათგან როსბერგმა მხოლოდ ერთი მოგება შეძლო. არც მანამდე, არც მას შემდეგ, ფ-1-ში მსაგავის არაფერი მოხდარა.



გაეპაპიქვივათი „ლაგუნა ვიკი“

დანყვებილი სერკანტინი

(ახალი წიგნიდან)

ტარიელ ჯანტარი

შეკავებული ცრემლივით
ბზინავდა გზისპირ თოვლი...

წყვეტს პრობლემებს ქალურად -
პერპენდიკულარულად!

შეკვეთა

წყალობა ყავით -
"მარტინით" და ფინჯანი ყავით!

ქართველების გატაცება? -
ქართველების გატაცება!

ღმერთი - სერიული მკვლელი!
დარდი - პროფესია ძველი!
თვალე - ამიტომაც სველი!

ადე! მოიღერე ყელი!

შენს თავთან დარგულებს, მერი,
ვიგონებ ამოღებულ ჭადრებს -
სიცოცხლე - სიცოცხლის მერეც...
სიკვდილი - სიკვდილზეც ადრე...

ქოლგები ზღვისპირას

ჭამენ ატმებს კაცები,
აყოლებენ "ენისელს".
ტიტლიკანა ბიჭები
აზომებენ პენისებს...

შენი ჭორი

ატრიალებენ ქალები მიქსერს,
თანაც ერთმანეთს ჭორებს უცვლიან:
სიყვარული - იდეა-ფიქსე! -
ბორგავს - სხვაგვარად არ შეუძლია...

გამოსვენება

დადგა გასასხლელში
ცრემლების გუბე.
გრიფით - "საიდუმლო" -
დახურეს კუბო...

იუმორესკა

(რომლის განზოგადებაც არ შეიძლება)

როცა კაცის ასაკია
სამოცდაათ წელს ზევით,
ნულარ კითხავთ იუბილარს,
რა დღეშია წელსქვევით!

ლექსპრომტი-ნატრაბახება

დაუცველი ვიყავი და
ახლაც ვარ დაუცველი!
დედამოკლულ კომუნისტებს
მაინც მარჯვედ დავუძვერი!

ყოველ ინტელექტუალს,
მთელს ინტელექტუალურს
შოთა კეთილმონყობილს
აღარებდა ტუალეტს!

ზაურას აურა

ზაურ ბოლქვადეს კითხეს "ნიანგში" -
ამ სუფრებს როგორ იხდით, ზაურ!
- ბიჭო, თქვენ ყველა - ნიანგები ხართ,
მე ერთი თქვენში - იხტიოზაური!

შესიმისტური ლექსპრომტი

ეს ქვეყანა ამ დღეში
აშლა-არევით არი!
თანაც გამოსავალი
არ ჩანს არავითარი!

ბოლო რეკლიკა

მარტო სანამდე იწვები! -
ვერ ხედავ? დროში იწვები!

მილიონებში მიმალული ადიულტერი

არავინ ასმენს -
ნებაა ღვთის:
მდიდარი - აცმევს,
ღარიბი ხდის!

მაგნატი აცმევს,
პოეტი ხდის...

რა თქმა უნდა, სულ,

რა თქმა უნდა, მთლად -
შემოგწირავ სულს,
დაგედები მტლად...

(უჭრიდან)

ეს რა დღეში ჩაცვივდნენ
გინდ თბილისი, გინდ რიგა! -
ბორგავს თავისუფლება -
უმაღლესი ინტრიგა!

მხატვრის ტვირთი

დავბადებულვარ, რომ ვიყო მონე
და საფრანგეთის მედგას უღელი!

წინასაიუბილეო განწყობილება

არ გაგიკვირდეთ - ხვალ, თერთმეტ ივლისს
მეც გადავიცდი ჩემს სამოცდაათს!
თქვენ არ აღელდეთ! - შეხვედრით ბოლოს
მაინც შეხვედებით - მოცდა მოცდა...

ოცნება პოეტის -
ღარიბი პოეტის -
ცხადია, მოგება -
ცხადია, ჯეკ პოტი...

ნანყვეკი ვარდობისთვიდან

ასცქერის აკაციას,
იცინის: - ა კაცი!

რეკლიკა ოლიგარქს

ბედნიერება, რომ გგონია, მაყუთში არი,
არ დაგავინყდეს "მაკაროვი" მაყუთიანი!

იშვიათი ოპერაცია

დაადეს სულზე შვიდი ნაკერი...

კაცს, დაუცველს სრულიად,
რწმენა ლამის გამიქარწყლეს:
ღმერთი - სიყვარულია,
სიყვარული - კამიკაძე...

პუშკინის თემაზე

იაპონია - ჩუდნოე მგნავენი...

გახსენება

სულთ ბოროტო,
ბარო ტო!

პოლემიკური ლექსპრომტი

ქართული ცაო, სამკვიდრო შენს ქვეშ
იმდენმა ნახა -
ვერ ავუდივართ "ნაგლს" და "ნახალს!"

ოცდამეერთე საუკუნეს
მინდა პირჯვარი გადავსახო,
და რაც ჩამრჩება დარდი გულში -
ოცდამეორეს გადავძახო...

გაფრთხილება

სიყვარულის ბაცილა
რაკი გადავგდებია,
მოერიდე: კაცებში
ბევრი - გადამგდებია!

ოპერის მონატრება

- თუ იცი, ნუხელ რა დამესიზმრა?
- რა დავესიზმრა?
- რადამესის ხმა!

კლიმაქსი

(საბრეზული ლექსპრომტი)

რა სენია კლიმაქსი -
ბოლო-ბოლო დადგინდა!
განმარტება ასე უღერს:
- კლიმაქს, მაგრამ რად გინდა!

ვერ შენიშნო - უნდა იყო ბეცი:
საქართველოს დაეკარგა პენი!

კაფე "რანდე-ვე"

ამ გოგონას ამ გაგანია სიცხეში
სულ არ სჭირდება ბუზპალტერი და კაბა -
ყავა უნდა და სიგარეტი და ბიჭი და
ყურში თაფლივით ჩანვეთებული "აბბა"!
აბა!

წარამარა მელექსე

ეპატაჟისათვის
ეპატიუებანი!
თუ დათვრა და ჩაიფსა -
ებოდიშებანი!
გესმის, კაცო? იქეთ
ებოდიშებანი!

ეპიკაფია

(ვარიანტი)

რადაც ვერა ვარ კარგად...

არამკითხე რეკლამა

რამდენია ქვეყნად იდიოტი კაცი,
ქალი რომ ჯობს! - თუნდაც პატრიცია კასი!
პატრიცია კასი
ვარსკვლავია ქვაში!
პატრიცია კასი დაგასახლებთ ქვაზე!

(ახალმოსახლეობა)

ყველაფერი ნამიგია! -
მინის ნაცვლად - ცა მიგია!
რა ვირწმუნო ნუთისოფლის -
ნუთი კია? ნამი კია?
თურმე ზეცაც ნამიგია -
არაფერი გამიგია...

იუმორესკა: ქილერების დილოგია

- დობრი დენ!
- დობრი დენ!
- დაბრიდე?
- დაგბრიდე!

ესენგური

იღუტ, იღუტ -
ი ტამ, ი ტუტ!

ი ტამ, ი ზდეს -
ვეზდე პიზდეც...

პალატა №74

- თქვენ რომ ხელს მკიდებთ, ექიმო,
წნევა ნორმაზე მიდგება!

დათო აგიაშვილი და მისი კოლი მარიკა ამერიკაში

- ა, მარიკა!
ამერიკა!

ტელევიზორთან

ზის ათასი კონია და
ელოდება ოციათასს!

არამკითხე ლექსპრომტი

ნერვებს როცა აგმლიან
იდიოტი მელექსენი,
დალიე და უსათუოდ
დაგამშვიდებს მელაქსენი!

ლამის ტიპური სიტუაცია

ძალა აღმართს ხნავს:
მდივანს შეფი თნავს!

N-ს

ადრე იყავი სექსუალური!
ახლა ხარ მხოლოდ ლექსუალური...

სიდნეი - 2000

ცოლი სამარანჩის -
ჩავდეთ სამარეში!

მითხრა: ავანგარდისტობა
სულ არ არის ძნელიო -
შენ თუ არ გაქვს, არ იდარდო,
მე მოგცემო ელიოტს!

გასარკვევი ეს ერთია
და საკითხიც ასე დგას:
ვინ მეტი გვეყავს - პატიმარი?
თუ - ბატონი ნასედკა!

მონოდება ამნისტიისაკენ

გირჩევთ ხალხის გამოშვებას! -
იგრძნობთ ამის გამო შვებას!

ვარიაცია ლადო ასათიანის თემაზე

თავს არ მოიკლავს ქართველი, არა,
ის შეიძლება შიმშილით მოკვდეს!

მაია პლისცკაიას ზეობის დროინდელი

ასეც კაია, ისეც კაია
ჩვენი მაია პლისცკაია!

კორიბური

ექვმიტანილინი:
ლენინ-სტალინი!

ნივრის სადიდებელი ლექსპრომტი

ხაშს მიირთმევს პოეტი და
ხაშს მიირთმევს მეცნიერი!
მეცნიერი ვიყო ვითომც -
ისე მიყვარს მეც ნიორი!

ახლა ერთი ორასი წელი - იქეთ!


შავი დათვის თათები
ძლივს შეცვალეთ შტატებით!
ვერ უშლებენ გულები
ემოციას დადებითს!

არ შეუძლია, მთელი ღამე
თუ სიგარეტი არ აბოლა! -
ისე მძაფრია, ისე, ისე,
მონყენის ლურჯი პარაბოლა!



ესაა დროება, რომელიც
 კაცთა სულებს გამოცდას
 უწყობს. "ზაფხულის"
 მეომარი და "კარგი ამინდის"
 პატრიოტი ამ კრიზისის
 განმავლობაში საკუთარი
 ქვეყნის სამსახურს, როგორც
 წესი, გაურბის. მაგრამ ის,
 ვინც დღეს ფეხს არ იცვლის,
 კაცთა და ქალთა
 სიყვარულსა და
 მადლიერებას იმსახურებს.
 ტირანია, ისევე როგორც
 ჯოჯოხეთი, არცთუ იოლი
 დასამხობია. მიუხედავად
 ამისა, ჩვენ გვაქვს შვება,
 რომელიც იმ ცოდნისგან
 გამომდინარეობს, რომ, რაც
 უფრო რთულია კონფლიქტი,
 მით უფრო დიდებულია
 გამარჯვების ტრიუმფი. იმას,
 რასაც ძალიან იაფად
 მოვიპოვებთ, ძლიერ
 უმნიშვნელოდ მივიჩნევთ
 ხოლმე - მხოლოდ სიძნელე
 ანიჭებს ყველაფერს მის
 ნამდვილ ღირებულებას.
 ზეციურმა განგებამ იცის, თუ
 რა ფასი დაადოს საკუთარ
 ნაშრომს. და მართლაც,
 ძლიერ უცნაური იქნებოდა,
 რომ ისეთი ღვთიური რამ,
 როგორც თავისუფლებაა, არ
 ღირდეს ასეთი ძვირი.

ტომას პეინი
 "ამერიკული კრიზისი", 1776



პოლიტიკური მაცნობარება

პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა აუცილებელი გახადა, რომ ჩვენი საზოგადოების წევრებმა ლოკალურ მოქმედებას გლობალური კატეგორიებით აზროვნება შეუფარდონ. საერთაშორისო თუ ადგილობრივ მოვლენათა სრულყოფილი ანალიზისთვის აუცილებელია, გავერკვეთ იმ უნიფორმალურ ტერმინოლოგიასა და კონცეფციებში, რომლითაც დღეს მთელი ცივილიზებული საზოგადოება ურთიერთობს. ანუ საჭიროდ მიგვაჩნია, მივეჩვიოთ მეტყველებას იმ ენაზე, რომელზეც დასავლური კულტურითა და კულტურა, რომელსაც ოდესღაც, უდავოდ ვეკუთვნოდით, და რომელსაც აწმყოშიც დაბეჯითებით მივაკუთვნებთ თავს. მკითხველს, პერიოდულად შევთავაზებთ, პოლიტიკური მეცნიერებისა და საერთაშორისო სამართლის გავრცელებულ ტერმინებს, რომელთა შესისხლხორცება უმიზნო მრავალსიტყვიანობისა და გაუგებრობებისაგან თავდაცვის კარგ საშუალებად მიგვაჩნია.

პოსტკოლონიური სახელმწიფო - ასეთებად შეიძლება ჩაითვალოს ის სახელმწიფოები, რომელთაც დეკოლონიზაციის პროცესი გააჩინა. მათ, როგორც წესი, მრავალი ანალოგიური ხასიათის პრობლემები ახასიათებს. ამ პრობლემათა უმრავლესობა უკავშირდება მათ კულტურულ წარსულს და ე.წ. "შესამე სამყაროს" ქვეყნის სტატუსს. ამ ქვეყნების ეკონომიკური პროგრამები ხშირად გლობალიზებული ეკონომიკის პრობლემებს განხორციელების უუნარობი არიან, მათი სასამართლო და პოლიციის სისტემები კი - პოლიტიკური სისუსტივის შედეგების საქმეში უეფექტონი, რაც ხშირად გვაროვნული თუ ეთნიკური კონფლიქტის რეზულტატია. ასეთ სახელმწიფოთა მმართველობის შესაძლებლობა და ხშირად სიცოცხლისუნარიანობაც კი, ეჭვქვეშ დგება. თუმცა, ამგვარი სიტუაციები მხოლოდ პოსტკოლონიურ სახელმწიფოებში არ გვხვდება. მაგალითად, იუგოსლავიის 1989 წლის შემდგომ ანალოგიური პრობ-

რონი არიან, მათი სასამართლო და პოლიციის სისტემები კი - პოლიტიკური სისუსტივის შედეგების საქმეში უეფექტონი, რაც ხშირად გვაროვნული თუ ეთნიკური კონფლიქტის რეზულტატია. ასეთ სახელმწიფოთა მმართველობის შესაძლებლობა და ხშირად სიცოცხლისუნარიანობაც კი, ეჭვქვეშ დგება. თუმცა, ამგვარი სიტუაციები მხოლოდ პოსტკოლონიურ სახელმწიფოებში არ გვხვდება. მაგალითად, იუგოსლავიის 1989 წლის შემდგომ ანალოგიური პრობ-

ლემები ჰქონდა. ერთი გამოსავალი, შესაძლოა, განცალკევებაში მდგომარეობდეს, მაგრამ ბალკანიზაციის საკუთარი პრობლემები აქვს.

ბალკანიზაცია - ეს ტერიტორიის მცირე სახელმწიფოებად იმგვარ დაყოფას ნიშნავს, რომელიც რაღაცით ბალკანეთს მოგვაგონებს. ხშირადაა გამოთქმული მოსაზრება, რომ მათ, ვინც "რეგიონულ ევროპას" უჭერს მხარს, სურთ ბალკანიზებული ევროპის რეალობად ქცევა. სეპარატიზმის ზრდამ ევროპის მრავალ ქვეყანაში ამ კონცეფციას გარკვეული ძალა შესძინა.

მულტიკულტურალიზმი - ეს ტერმინი წარმოაჩენს იმ ძალისხმევას, რომელიც მრავალ ქვეყანაში განხორციელდა იმისთვის, რომ ერთმანეთთან შეეჯერებულნი და ჰარმონიზებული იყოს უმრავლესობისა და არსებული სხვადასხვაგვარ უმცირესობათა კულტურები. ამერიკის შეერთებული შტატებში, სადაც ამ პრობლემაში ფართომასშტაბიანი სახე მიიღო, პოლიტიკური პარტიები და ზოგიერთი ე.წ. "ზემწილი ჯგუფები" შეეცადნენ იმ იდეის განხორციელებას, რომ

ერთი ტიპის "პიპერნირებული ამერიკელი" ისევე მისაღები და კარგია, როგორც ყველა სხვა ტიპისა. ეს არგუმენტი ამტკიცებდა, რომ ისინი, ყველანი, ამერიკელები არიან და ამ ნაციაში, იმის ნაცვლად, რომ ასეთი განსხვავებები კონფლიქტის მიზეზად მიიჩნის, უნდა იამაყოს მისი მრავალფეროვნებით. ანალოგიური სენტიმენტები წარმოჩნდნენ ბრიტანეთსა და საფრანგეთში - იმ ორ ქვეყანაში, სადაც არსებობს უამრავი განსხვავებული ჯგუფი.

ორპარტიული სისტემა - პოლიტიკური სისტემა, რომელიც საარჩევნო პროცესსა და საკანონმდებლო ხელისუფლებაში დომინირებს ორი პარტია. ეს ტერმინი არაფრით არ ნიშნავს ისეთ პოლიტიკურ სისტემას, სადაც მხოლოდ ორი პარტია არსებობს. ძირითადად, შეერთებული შტატები და ბრიტანეთი არიან ის ქვეყნები, რომლებსაც ორპარტიული სისტემის სახელმწიფოებად მიიჩნევენ. სინამდვილეში, ამ ორივე ქვეყანაში მრავალი პარტია არსებობს. ბრიტანეთში 1997 წელს ათზე მეტი პარტია არსებობს, ერთმანეთს გენერალურ არჩევნებ-

ში და მათ თემთა პალატაში ათი წარმომადგენლის ადგილი მოიპოვეს; თუმცა, კონსერვატორულმა და შრომის პარტიებმა, ჯამში, არსებული ადგილების შვიდი მეხუთედი მიიღეს. შეერთებულ შტატებში 1992 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში სამი ძირითადი კანდიდატი მონაწილეობდა. დამოუკიდებელმა კანდიდატმა როს პერომ ხმათა ისეთი მაღალი პროპორცია მიიღო, როგორც არც ერთ მესამე კანდიდატს არ ჰქონია თეოდორ რუზველტის 1912 წლის არჩევნების შემდეგ. რა თქმა უნდა, ყოველთვის არსებობენ მცირე პარტიათა კანდიდატებიც, მაგრამ კონგრესში ისინი წარმომადგენლობის მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობის მოპოვებას თუ ახერხებენ, მაშინ როცა იქ დომინირებენ დემოკრატიული და რეპუბლიკური პარტიები.

მულტიპარტიული (მრავალპარტიული) სისტემა - შესაძლოა, ამ ტერმინმა შეცდომამ შეეცვლინოს, რადგან იგი არ აღნიშნავს ისეთ სიტუაციას, როცა რამდენიმე პოლიტიკური პარტია არსებობს, რაც ნებისმიერი დემოკრატიისთვის

ჩვეულებრივი ამბავია. ეს ტერმინი უფრო ეხმარება სიტუაციას, სადაც საკანონმდებლო ორგანოში ორ პარტიაზე მეტი პარტიაა წარმოდგენილი და არც ერთ მათგანს იმდენი წარმომადგენლობა არა აქვს, რომ ერთპარტიული მთავრობის ფორმირება შეძლოს. მულტიპარტიულ სისტემაში თითქმის გარდაუვალია კოალიციური მთავრობის არსებობა. პარტიათა შორის გამართულმა ვაჭრობამ, რომელიც უმრავლესობის ფორმირებას ემსახურება, შესაძლოა, დიდხანს გასტანოს. მაგალითისთვის გამოვლენა პოლანდია, სადაც ყოფილა შემთხვევა, რომ არჩევნებისა და ახალი მთავრობის ფორმირებას ხუთ თვეზე მეტი დრო დასჭირვებია. ამის ერთი რეზულტატი შეიძლება იყოს ის, რომ ამოზრუნველმა ჩათვალოს: არჩევნების პერიოდში იგი არ ირჩევს მთავრობას. არსებობს მჭიდრო კავშირი მულტიპარტიულ სისტემებსა და პროპორციულ წარმომადგენლობას შორის, რომელიც მცირერიცხოვან პარტიებს, პროპორციულობის პრინციპის საფუძველზე, წარმომადგენლის მეტადგვის აძლევს.

პრეცედენტი

მანუელ ნორიგას სასამართლო პროცესი: 1991

კოლინ ევანსი
განსახველი: მანუელ ანტონიო ნორიგა
დანაშაული: ნარკოტრეფიკი, რეკეტი, კონსპირაცია
დაცვა: ჯონ მეი, ფრენკ რუბინო
ბრალმდებელი: ჯეიმს მაკადამსი, მაილს მელმან, მაიკლ სალივანი
მოსამართლე: უილიამ ჰოველერი
ადგილმდებარეობა: მაიაში, ფლორიდა
პროცესის თარიღი: 1991 წლის 6 სექტემბერი - 1992, 9 აპრილი
ვერდიქტი: დანაშაული
სასჯელი: 40-წლიანი პატიმრობა
მნიშვნელობა: ესაა უმნიშვნელოვანესი პროცესი, რომელმაც პირველად აშშ-ს ისტორიაში უცხო ქვეყნის მეთაურის ამერიკულ სასამართლოში განსამართლების პრეცედენტი დაუშვა

Plea Bargaining, ანუ "ბრალდებაზე ბრალდებულის პასუხთან დაკავშირებული ვაჭრობა", რომელიც ბრალდებულის ადვოკატსა და ბრალმდებელს შორის იმართება. ეს პროცესი ძალაში შესასვლელად სასამართლოს თანხმობას საჭიროებს). სიდი, ვინც საკუთარ თავს, ერთდროულად, ნორიგას შიკრიკად, მცველად და გადამზიდვად ახასიათებდა, ყველაზე ფულით გატენილ ჩანთებზე, რომლებიც პანამაში კოლუმბიიდან ჩამოდიოდა. მისი სიტყვებით, ეს ფული ხან ნორიგას ანაზღაურება, ხან პანამის ბანკებში "გასარეცხი" თანხა იყო. სასამართლო დარბაზში საოცარმა სიჩუმემ დაისადგურა, როდესაც სიღს განსახველის იდენტიფიცირება მოსთხოვეს. ნახევარ დარბაზს მიაჩნდა, რომ მოწმე განსახველის ამოცნობის მაგიერ მას სამხედრო სალამს მისცემდა.

კარტელის კონტაქტების გამოვლენა

ნორიგას პერსონალურმა პილოტმა, ფლოიდ კარლტონმა, დამსწრეთა წინაშე გაიხსენა, თუ როგორ მივიდა მასთან კოლუმბიის ქალაქ მედელინის ნარკო-კარტელის ორი ძლიერი გავლენიანი წევრი - პაბლო ესკობარი და გუსტავე გავირა და როგორ სთხოვეს მას, "მისულიყო და დალაპარაკებოდა ნორიგას" იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება გენერლის დაყოფიება, რომ კარლტონს, ამ უკანასკნელის თანხმობით, კოკაინი კოლუმბიიდან პანამაში გადაეზიდა. კარლტონმა ასევე განაცხადა: "ნორიგას ჩემთვის ნათქვამი ჰქონდა, რომ არ სურდა, მისი სახელი ასეთ პრობლემასთან ასოცირებულიყო, და თუ მომავალში რაიმე უსიამოვნო მოხდებოდა, იგი ამ ფაქტის შესახებ ყველანაირი ინფორმაციის ქონაზე უარს განაცხადებდა". თუმცა, მონმის თქმით, ნორიგას ასევე უთქვამს, რომ "ჩემი ნებართვის გარეშე არც ერთი ოპერაცია არ უნდა ჩატარდეს". კარლტონის სიტყვებით, ნორიგას კოკაინის თითოეული ტრანსპორტირებისთვის 30 და 50 ათას დოლარამდე სთავაზობდნენ. როდესაც კარლტონმა ეს ინფორმაცია გენერალს გაანდო, ეს უკანასკნელი აღმუთქვით: "ან ისინი არიან გიჟები, ან შენ შეიშალე! ასეთი მცირე თანხისთვის ამას რ ვიზამ. არავითარ ნებართვას არ ვიძლევი თითო გადაფრენაზე 100 000 დოლარზე ნაკლებ თანხად". კარლტონის გამოთვლით, ნორიგამ წლების განმავლობაში ამ შეთანხმების შედეგად 5 მილიონამდე დოლარი მიიღო.

როდესაც ნორიგას ადვოკატმა ფრენკ რუბინომ მოწმეს ცრუ ჩვენების მიცემაში დასდო ბრალი, იმის გამო, რომ გენერლისა და კარლტონის საუბარს მეტი მონმე არ ესწრებოდა, კარლტონმა ადვოკატს შეუვირა: "მისტერ რუბინო, საქმე ეხებოდა კოკაინს და არა ნამცხვრებს!" დაცვა ოდნავ დაამშვიდა მოწმის აღიარებამ, რომ ერთხელ გენერალი ნორიგა პანამაში ფულის გათიერების ოპერაციის შესახებ ინფორმაციას ძლიერ განერისხებინა, რაც, დაცვის ვერსიით, იმაზე მიაჩნებოდა, რომ განსახველი კანონმორჩილი მოქალაქე იყო და არა ცივილისად ჩამოყალიბებული კრიმინალი.

გენერალ ნორიგას საწინააღმდეგოდ გამოხვეულითაგან ყველაზე მნიშვნელოვანი მონმე იყო კარლტონის ლედე რიგასი - მედელინის კარტელის ერთადერთი დამფუძნებელი წევრი, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოს წინაშე მოუხდა პასუხისცემა. უძლიერესი დაცვის ქვეშ მყოფი ლედერი, ვისაც ნარკოტრეფიკისთვის 1988 წელს გამოტანილმა განაჩენმა მოუტანა მთელი სიცოცხლით პატიმრობა, პლუს 135 წელი, სასამართლოს



პანამელი დიქტატორი გენერალი მანუელ ნორიგა.



ნორიგა ძალაუფლების მწვერვალზე.

ამცნობდა, რომ ნორიგამ კარტელს პანამიდან შეერთებულ შტატებამდე "კოკაინის მილის გაყვანა" შესთავაზა. კოკაინის ყოველი გაყიდული კილოგრამიდან მიღებული 1000 დოლარის გარდა, კარტელი ნორიგასთვის მოგების იმ თანხებიდან 5 პროცენტის გადახდასაც დათანხმდა, რომელიც პანამის ბანკების ანგარიშებზე დაიდებოდა. ეს, სხვა მოწმეთა ჩვენებების მიხედვით, კვირაში 60 მილიონ დოლარს აღემატებოდა.

ლედერი კარტელის წინაშე დაყენებულ სირთულეებს ამგვარად ხსნიდა: "ჩვენ გამწარებული ვექებდით პროდუქტის გადატანის ახალ გზებს. არ გვექონდა იმ კოკაინის საერთაშორისო გადასანაწილებელი ადგილი, რომელიც კოლუმბიაში ძალიან სწრაფად გვიგროვებოდა". ბრალმდებლის კითხვებზე პასუხისას ლედერმა ნორიგასა და ფიდელ კასტროს ურთიერთობაზეც ისაუბრა, ვისაც მონმის სიტყვით ასევე ჰქონდა ურთიერთობა მედელინის კარტელთან. ლედერის მიერ დახასიათებულ ზოგიერთ მოვლენას ამ კონკრეტულ სასამართლო პროცესთან ძლიერ უმნიშვნელო, ან საერთოდ საეჭვო კავშირი ჰქონდა, რამაც განსახველის ადვოკატებს საფუძველი მისცა, ეფიქრათ, რომ მონმე მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აძლევდა ჩვენებას და იგი მზად იყო, ნორიგას სახელისთვის მაქსიმალური ზიანი მიეყენებინა, მხოლოდ იმისათვის, რომ ამით საკუთარი პატიმრობის ვადა შემეცირებინა.

ასეთი quid pro quo-ს (რღაც რაღაცის სანაცვლოდ) გამოპოკარაგების შემდეგ ადვოკატმა რუბინომ ლედერს რამდენიმე კითხვა დაუსვა ამ უკანასკნელის ნიკარაგუელ კონსტრასთან კავშირის შესახებ. ამ კითხვებმა ლედერის აშკარა დისკომფორტი გამოიწვია. დიდი ყოყმანითა და ორჭოფობით მონმემ დასძინა: "როგორც მასხენდება, გაკეთდა რაღაც თანხების შეწირულობანი კონსტრას ანტიკომუნისტური მოძრაობის სასარგებლოდ". როდესაც რუბინომ ზუსტი თანხის დასახელება მოითხოვა, ლედერი უკანასკნელად შეეცადა, პასუხისთვის თავი აერიდებინა, მაგრამ უშედეგოდ. მას კითხვა გაუმეორეს. პასუხად გაისმა: "ჩვენ კონსტრას დაახლოებით 10 მილიონი დოლარით დავებმარეთ". ადვოკატი რუბინო სასამართლომ შეაჩერა შეერთებული შტატების პოტენციური დამცირებისგან, რაც იქიდან გამომდინარეობდა, რომ აშშ-ს მთავრობა ნიკარაგუელ კონსტრას ასევე ავიანსებდა. მოსამართლის თქმით, ამ თემაზე კითხვები არავითარ კავშირში არ იყო განსახილველ საქმესთან.

დგმე გაევიშორო და არც შენ რამე გაგაქვროვი“. დაინერა მეფემ ჯგარი დამუფუდა განცხრომას. ყველაფერი კეთილად მიიღოდა ჯერ, მაგრამ როდესაც გავიდა, ტრფელები სურვილიც მოიკლა ახალგაზრდა ლუარსაბმა, დიდებულია შურმა და მიიწინებებმა მტრობამ ისევე იჩინა თავი. ცოლები და ქალიშვილები ესაყვედურებოდნენ ძმებსა და ქმრებს: “ჩვენ არ შეგვიძლიან, რომ ვინამთ დედოფალი და თაყვანი ვცეთ ვილაც უფვარი შევილასო”. ისედაც გულჩათუთქულ დიდუკაელობას რალა ეს ეჭორველობა? შემოუხვივნენ მეფეს, დღითი-დღე აწვევებდნენ ყურში მოურავისადმი სამტრო-საგინებელ სიტყვებს! ყველაზე უფრო შფოთავდა და სდილობდა იმ დროში განთქმული, გერაგი, ლუარსაბის გაიშრდელი მადიან ბარათაშვილი. და დღეს-ხვალობით კიდევ მიალენეს მიზანს. მეფე ვეღარ გაუმავარდა სამეფო კარის კაცებს და მოიშორა ცოლი. ამან ჩამოავდო უსიაზოვნება მეფესა და მოურავს შორის. ამ უსიაზოვნებას დაუბერა ყოველი კუთხით დიდ-კაცობამ, გაიზარდა მტრობა დაიქამდე მიალენია, რომ მეფემაც გაიმეტა მისი მოაზრება. რაც გინდათ, ის უყავითო. დიდებულები მიესიენ მოსალაგად. ოჯახი აუზარეს, ძმა მოუკლეს, დედა გაუბატოურეს და ისიც უნდა მოეკლათ. მაგრამ ამ განხორციელებულმა ტარილმა გადარჩინა თავი. ცოლ-შვილით შეაფარა თავი სპარსეთს და იქ იყო ახალი ცხოვრება. ტყუილად კი არ ამბობს ავთანდილშენ როსტევიან: “თუ შენი თავი შენ გახლავს, ღარბიდა არ ისხვნიები“. მოურავმა უცხოვრობი იჩინა თავი: მოკლე ხანში ხელთ იგდო მთავარსადლობა, დაუმონავა შაჰს მრავალი ქვეყნები, გადიდდაც, გაძლიერდა, გამდიდრდა და დაუმეორებდა თვით დიდებულ შაჰაბასს, ერთი სიტყვით, რაც კი პირადობისათვის საჭიროა, ყველაფერი ჰქონდა, მაგრამ არ კმაყოფილდებოდა! ეს ყველაფერი მისთვის უტყობი იყო და გარეშე! ერთი რამ ჰქონდა გულში ჩარჩენილი და ჩრჩილივით შრდნიდა საიდუმლოდ: ეს იყო მისი სამშობლო საქართველო, რომლის ერთი თვალის გადავლებას ანაცვალდებდა მოუღ მისს საპირად ბედნიერებასა და აჰა, ამასაც, ბედი იყო თუ უბედურება მისი, მოესწრო.

მეფეთაგან სპარსელები იჩემებდნენ ქართლ-კახეთის ბატონობას... შაჰმა შეწყარა დიდძალი ჯარი გამოსავგზანათ საქართველოში. ეს საიდუმლოება შაჰისა გიორგიმ შეიტყო და მოეკიდა ცეცხლს. გადაწყვიტა კონებაში, რომ როგორც უმკვლევლა განწირული სამშობლოსათვის. მოახსენა შაჰს, რომ მე შეგის რურებზე მაგ ვულში ნადებსო, და ნამოუძღვა ჯარს სხვა სარდლებთან ერთად და შეიღო კი მისი, პაატა, დაიბ გამოჩენილი კაცი სპარსეთში დაატოვა მძევლად, ეს საიდუმლო

მოურავმა გაანდო ორს კიდევ სხვა-საც. ჯერ კიდევ ჯარი არ დადრულიყო სპარსეთიდან, რომ სააკაქემ მოსწერა წერილი კათალიკოზ ზაქარიას, გავლენიან პირს, და წილკნელ მირიმიანოზს, რომ მას უნდა ხსნა საქართველოში და მოსპობა სპარსთაგზის სატრო-საგინებელ სიტყვებს! ყველამდლოე თქვენი ლოცვა-კურთხევა და მიიღეთ ჩემგან ჩემი ხმად, გული და სიციცხლიო“. ეს საიდუმლო ჯერ-ჯერობით მარჯვე ვცეთ ვილაც უფვარი შევილასო”. სააკაქემ ჩამოჰყვა სპარსელებს, როგორც მომხრე და განკარგულების მიმცემი. დასაქსა, დაანანილა მთავარი ჯარი, აქა-იქ ვითომდა გზის შესაკრავად, რომ შუაში მომწყვედუნი ქართველნი ვეღარ წაგვივიდესო. ყველაფერი რომ მოიმზადა, მერე გაუტყდა ზურაბ ერსთავსაც. ზურაბ ერისთავი იმ დროში იყო ერთი უძლიერესი დიდებულთაგანი და ეჭირა სპარსელების მხარი. როგორც ცოლის-ძმასა და მისგან გაზრდილ-განხრდელია, აუხსნა გულში ნადები და ურჩია, რომ ელაღატნა სპარსელებისათვის და გამოეხსნა სამშობლო. ჯერ იტიკაცა ზურაბმა და მიზუნად ის მოიდგა, რომ რატომ იქვე სპარსეთში არ გამიხლეთ ეგ ამბავით, რომ ცოლშვილი იქ არ დამეგდო? მაგრამ როცა მოურავმა დააშოშმინა, რომ ჩემი საყვარელი პირშმო პაატა იქ დაეგდებდნენ და ვიცო, რომ სპარსელები ხეიროს არ დააყრიან, მაგრამ რალა მოსავონია ან ცოლშვილი, ან სხვა რამე ქვეყნიური დიდება, როცა სამშობლო განსაცდელია და შევლდა ითხოვს?! მართალია, შენ ცოლს დაკარგავ, მაგრამ სამაგიეროდ მე შეგერთავ ლუარსაბ მეფის დას და მაშინ შენ გახდები არა თუ მარტო სამეფო სახლის წევრად, ქართლის შემკვიდრეთაც კიო. ამისთანებით დაიყოლია ერისთავი და დაუდგა სპარსელების საღალატოდ, პაემნად ხარება-დღე, იმ დილას უნდა შემოიყოდა და დართოდა სპარსელებს ერისთავი.

კრიტიკული აზროვნება

კრიტიკული აზრის უქონლობა



სა ვიყვნეთ, არამედ იმას, რომ ჩვენ ერთმანეთის აზრი და მოქმედება ვერ დაგვიფასებია და სამართლი-

ნის თვალთ არ გავგისინჯავს, და თუ ერთმანერის წყნს ვდებთ, მხოლოდ იმისთვის, რომ სურვილი და

მისი წყალობით რომ წელში გაიმართენ, დიდ-კაცობამ მიმართა ისევე ძველებურ ინტრიგებს. მოახსენეს მეფეს: მთავარსარდლი თქვენ უნდა ბრძანდებოდეთ და თქვენ აძლევდეთ ომში განკარგულებას! ვინ არის სააკაქე? თქვენ ნავიციები ხართ მარცხით და სპარსელებს ახალგაზრდობა და ასრულიდო აძგერა შუბი. მაშინ იშოშველს ხმალი ქართვლებმა გმირებმა და თვალის დახამხამებამდე დააყრვივნეს თავები ერთად შეგვროვილ სარდლებს. ზარდ-ცემული ჯარი გონს ვეღარ მოვიდა, ხს უხით კაცი კი მუსრავდა მტრს. მოასწრო ერისთავმაც მისი მითულებით და საერისთავითი და შეიქმნა ჟღელა. მოვიდა ასლანიშვილიც, დამოხდა ის, რასაც აგვიხერენ მეისტორიენი; ქართველები გონს ვერ მოსულ მტრებს ჰკებდენ, როგორც მხალს. აქ რომ სრულიად ამოსწყვიტა სპარსელები, სააკაქემ მიაშურა ერთობლილ სარდლებს ერთობლივად მოეგოთ. მთავარიც ცხელი ქვეყნის შვილები, მიჩვეული არიან სიღიხეს მეფე ჩვენი მითულები კი, როგორც სიგრილის შვილები, დათნითილები, ვეღარ ითმებენო. არ დაუჯერეს და ასრულიდა წინასწარმეტყველება: ერთი-სამად მეტმა სპარსელებმა შემოჰკრეს ირგველი დაღალული ქართველობა. თათრებს თანდთან ემატებოდათ ახალ-ახალი ჯარი და დაერინ ქართველებს. საამაყოა მაშინდელი თავგანწირვა და ვაჟკაცობა, მაგრამ რალას გააწყობდენ რიცხვმრავალ მტერთან... განწყდა ქართველობა, მოიკლა უკეთესი სარდლები, მათ რიცხვში გამოჩენილი ასლანიშვილი, ორი მღვდელმთავარი... დასჭრეს ზურაბ ერისთავი, მაგრამ ბრძოლას მაინც არ ეღებოდა ბოლო. ამ დროს გავარდა ხმა, რომ თემიურაზ მეფე მოჰკლესო, მაშინ კი გაუტყდა გული ქართველობას. მართალია მოკლული გამოდგა თემიურაზ მუხრან ბატონი და არა თემიურაზ მეფე, მაგრამ მაინც გული გაუტყდა ჯარს და ირგველი შემოკრულნი, გასაქცევ გზას რომ ვეღარ ხედავდნენ, მიიღეს წინდენა ზიარებდა ემზადებოდნენ გმირულად სასიკვდილოდ... მიმართა მოურავმა უკანასკნელ სამუხლებას: მოიხშიცოლის ძმა დათუნა ერისთავი და შეიღი ავთანდილი, გაიმავრა მხარი და გადავარდა სპარსელების რაზმში, შეჭვივლა, გააპო ისიქე და გაუკეთა გზა გასასვლელი დაჭრილებს. გადარჩენ დაჭრილები სიკვდილს, მაგრამ მაინც მარაბდის ომმა ბოლო მოუღო ქართველობას. მეფე გაიხიზნა, დიდებულები ვინც კი გადარჩენ, განზე გადგნენ და მიატოვეს ასაკლებად საქართველო. არ დაშორილდა მხოლოდ სააკაქე: იმას ახლდა სამოცი განთქმული ყველაფერი გულს უკლავდა ვერავსა სპარსელებს და ეძებდა მარჯვე დროს. და როცა იხელთა, გამოგზავნა საქართველოში პირგანდებულ უფრო დიდი ჯარი ჯავრის ამოსაყვრლად. წელგამართულ ქართველობას ახლა აღარა უჭირდა რა და დაესვდა მომგერებლად. სწორედ, ამ დროს მოჰყვა მარაბდის ომი. - დღემდე, სანამ გაჭირვება იყო, ყველაფერს სააკაქეს ეკითხებოდნენ და ახლა

საქართველოს დიდკაცობას დაუწყო ქალაქუნობა და მეფესაც მოსწერა სამღიქველი წერილები: “მე მხოლოდ სააკაქის დასჯა მინდა და სხვის არას ვერჩიო“. ეს ყველას ეჯერა, გარდა სააკაქისა და ის არ ანებებდა თავს თარებობას. დღითი დღე იზრდებოდა და მატულობდა სათარემო ჯარი და მარცხი მარცხზე მოსდიოდათ სპარსელებს. მოსტყვერობაში ჩავარდა საქართველო. მაშინ თბილისელმა მიტროპოლიტმა დიონისემ სთხოვა, გაათარებულს და სპარსელებისაგან მეფედ დასმულს, სვიმონ მეფეს: ნება მიბოძე, მე დავამშვიდო მოურავიო! ნაედა მორავთან და თან იახლა ტროფიმე მცხეთის მღვდელმთავარი, მივიდნენ მოციქულები, დაიჩოქეს სააკაქის წინ და სთხოვეს: დიდი ხანი ვართ შეჩვეული სპარსთა მონობას და შენ დაგვინებოთ თავი, ნუ ერბოვი მათ, ნუ იხვევ ჩვენს თავზე მათ მრისხანებას... სსად გაეკეს ძალა, რომ იმთ გაეუძლიოთ?“ მოურავმა უპასუხა: “მაშინ დავანებებ თავს, როცა საქართველოში სპარსელი აღარ იქნებაო“. წყველა-კრულივით გამობრუნდნენ მღვდელმთავრები. რადგანაც მეფეც იმ აზრის იყო, მოხდა განზეთქილება: მთელი ქართველი ორად გაიყო; ერთი მხრით, იდგა მეფე და დიდკაცობა მეორით, სააკაქე მისი თანამოზრებებით ხელეკტიან დაბალი ნოდებით. ამან გამოიწვია ზაზახელიის ომი. ამ “ზაზახელების! ომს უნდა გადაეწყვიტა საქართველოს არსებობა თუ არ არსებობა? ძმა ძმის სისხლს ღვრიდა სპარსელების სასარგებლოდ!.. მოურავი გრძნობდა ამ ომის აუცილებლობას, მაგრამ იმავე დროს ეზარებოდა მამკობი სისხლში ხელის გასვრა და თვითონ აღარ გაერია ბრძოლაში; თავის მაგივრად შესვა თავის ცხენზე მესხი გოგორიშვილი, ახოვანი გმირი ჩააცვა თავისი ტანისამოსი, აღტურვავა თავის იარაღთ და შეუმეო ომი. რამდენიმე კაცს ზურაბის ჯართაგან პირი შეეკრათ, რომ ღალატით მოჰკლან მოურავი. მოურავი ეგონობდა დ მოჰკლეს გოგორიშვილი. შეიქმნა ძახილი: “მოურავი მოჰკლესო!“ და ამან დააყრვივნა მოურავის მომხრეებს იარაღი. მამიწე იკადრა მოურავმა ომში შესვლა “ცოცხალი ვარო!“, მიაძახა ჯარს და გამხნევა მომხრები და გადაეშვა საომრად, გააპო მტრის რაზმი და გაიყვანა თავისი დამარცხებული ჯარი. ამ დაშარებებმა ბოლო მოუღო საქართველოს და ამიტომაც მარტოდ დარჩენილი მოურავი გადავიდა იმერეთს. აქ მეფესა და მთავრებს აგულანებდა, რომ არ აჰყოფდნენ მეტყვე ომის გამზრახველ თემიურაზს!

კრიტიკული აზროვნება

კრიტიკული აზრის უქონლობა

ყოველ დაინაურებულ საზოგადოებაში აზრის სხვადასხვაობა, მრავალგვარობა კრიტიკის შედეგია და სხვადასხვა აზრისა და მიმართულების მიმდევართ აქვთ ისეთი წერტილი, რომელიც ყველასათვის საერთოა. ჩვენში-კი სხვადასხვაობა აზრისა კრიტიკულის აზრის უქონლობის ბრალია და ჩვენის გაუფრთხილებლობისა. ჩვენში მხოლოდ ერთისა და იმავე საგნის შესახებ იმდენად შეუთანხმებულს და წინააღმდეგს აზრს გაიგონებთ, მერე ისეთ საგნებზე, რომელთა შესახებ მორიგებულნი უნდა ვიყენეთ, რომ სწორედ გასაოცარი. მაგალითად, ადიდეთ წარსული, აქვთ ძველთა გმირობა და საქვენოდ აღიარეთ, რომ ჩვენნი ძველნი შესანიშნავნი იყვენო, და უსათუოდ გამოვარდება ვინმე და დავგძახებს, ვითომ თქვენ ადიდეთ ყოველს ნაკულევანებას წარსულისას, სამარეში იყურებით და მეომისისათვის ზურგი შეგაბრუნეთა; რა არის პატივსაცემი წარსულშიო, რომელს ერს არ გამოუჩენია გმირობა, რომელს არ გამოუცდია ლხინი და ჭირო. პირიქით, თუ ვინმემ სთქვა, რომ ჩვენი წარსული შესანიშნავს არაფერს წარმოადგენს, იმაში არც ერთი ნათელი წერტილი არ მოიპოვებო, მაშინ უსათუოდ ვინმე ყელში გეცემათ და დაგძახებთ, როგორ თუ ჩვენი წარსული სრულიად ტილო-ობერიოა. თუ გაბედე და სთქვით, რომ ვახტანგ მეფის კანონდებულება დიდი სამთია ჩვენის წარსულისაო, რომ იგი ნაყოფია დიდის შრომისა და ჭკუისა, არ შეიძლება ვინმემ არ ვიპასუხოთ, რომ იგი კანონდებულება შეიცავს მრავალს მუხლებს, რომელნიც სრულიად არ ეთანხმებიან კაცთმოყვარეობას და დანიზაურებულის ერის ცხოვრებასო და მაშასადამე, არც თვით კანონდებულება არის საყურადღებო და შესანიშნავიო. გაბედე და სთქვით, რომ ესა და ეს მწერალი დიდ და შესანიშნავია, თავისის წაწერებით დიდი სამსახური გაუწია სამ-

გმირობა და სიხარულით მიიღო სააკაქემაც წინადადება მისცა: თუ ჯარს მომხმარ მე შეგვერთებ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს და ორივე ერთად შენს მჭარეველობის ქვეშ იქნებოა. ხონთქარი დაეთანხმა, მაგრამ შესწივლა; ჯერ სანამ შინა მკვეს არეულობა და სპარსელებთანაც ომი არ შემწყდარა, ახლავ არ შემძილა და მოიცა ამავს მოვრჩები, მაშინ კი შენი ნება იყოსო. აჯანყებულებში თოხათელები ყველაზე უფრო საშიში იყვნენ. ვამკაცობის გარდა სიმაგრებიც ხელს უწყობდენ მათ. წელიწადნახევარი იდგა ნაზირ-ვეზირი დიდ-ძალი ჯარით და ვერა გააწყო რა იქათვის. ხონთქარმა ჯერ პირდაპირ იქ გაგზავნა მოურავი მთავარსარდლად მისი თანმხლებელი ქართველებით-მოურავმა დავთვამითა თოხათელების ციხე და ნახა, რომ მისი იერიშით აღება შეუძლებელი იყო. მორთო ქართველები ვაჭროვლად, შეაპარა ციხეში, გააღებია ციხის კარები, შეესია და აიღო საში დღის განმავლობაში. ამისთანა გმირობამ აღტაცებაში მოიყვანა სტამბოლი. ხონთქარმა შეუთვალა, რომ ბაღდადიც აეღო. მოურავმა ოთხი ათასი თურქით და თავის მზღებელ ქართველი გმირებით, ათი ათასი სპარსელი გვაწინტა და აიღო ბაღდადი და სულ მოკლე ხანში დაუმორჩილა ხონთქარს სხვა აჯანყებულებიც. ამ გმირობამ გააოცა მთელი თურქობა და ხონთქარსაც მზე და უნდა გადაეწყვიტა საქართველოს არსებობა თუ არ არსებობა? ძმა ძმის სისხლს ღვრიდა სპარსელების სასარგებლოდ!.. მოურავი გრძნობდა ამ ომის აუცილებლობას, მაგრამ იმავე დროს ეზარებოდა მამკობი სისხლში ხელის გასვრა და თვითონ აღარ გაერია ბრძოლაში; თავის მაგივრად შესვა თავის ცხენზე მესხი გოგორიშვილი, ახოვანი გმირი ჩააცვა თავისი ტანისამოსი, აღტურვავა თავის იარაღთ და შეუმეო ომი. რამდენიმე კაცს ზურაბის ჯართაგან პირი შეეკრათ, რომ ღალატით მოჰკლან მოურავი. მოურავი ეგონობდა დ მოჰკლეს გოგორიშვილი. შეიქმნა ძახილი: “მოურავი მოჰკლესო!“ და ამან დააყრვივნა მოურავის მომხრეებს იარაღი. მამიწე იკადრა მოურავმა ომში შესვლა “ცოცხალი ვარო!“, მიაძახა ჯარს და გამხნევა მომხრები და გადაეშვა საომრად, გააპო მტრის რაზმი და გაიყვანა თავისი დამარცხებული ჯარი. ამ დაშარებებმა ბოლო მოუღო საქართველოს და ამიტომაც მარტოდ დარჩენილი მოურავი გადავიდა იმერეთს. აქ მეფესა და მთავრებს აგულანებდა, რომ არ აჰყოფდნენ მეტყვე ომის გამზრახველ თემიურაზს!

რომ არა გაუფიქრა რა, იქიდან გადაიხვედა სათარემო იმ დაწინაურებით, რომ უკუ არ ეგდო თავისი სურვილები და თურქების შემხენობით მოზრუნდებოდა ისევე საქართველოს. ხონთქარმა იცოდა მისი დეე-



ლიტერატურული პრემია "საბა"-ს ნომინანტები

ფინალური ეტაპი

წლის საუკეთესო რომანი

| | | |
|-------------------|----------------------------|----------------------------------|
| გივი ალხაზიშვილი | "რკინის კარს იქით და აქეთ" | "მერანი" |
| ზაირა არსენიშვილი | "ვა, სოფელო" | "თეთრი გიორგი" |
| რეზო გაბრიაძე | "ქუთაისი ქალაქია" | "სანი" |
| ოტია იოსელიანი | "ჩემი ასავალდასავალი" | "ბონდო მაცაბერიძის გამომცემლობა" |
| აკა მორჩილაძე | "შენი თავგადასავალი" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" |
| დათო ტურაშვილი | "ჩაძირული ქალაქის ღამე" | "აზრი" |
| ალეკო შულაძე | "სამსარა" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" |

წლის საუკეთესო პროზაული ქრებული

| | | |
|-------------------|-----------------------|---------------------------------|
| გურამ დოჩანაშვილი | "ძმისაე" | "მარსი" |
| ლაშა იმედაშვილი | "იმიტაციური მწერლობა" | "მერანი" |
| არჩილ ქიქოძე | "ირემი და ლიმონათი" | "საარი" |
| ბესო ხვედელიძე | "ჯადო" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" |
| ირაკლი ჯავახაძე | "კავალერები" | "საარი" |

წლის საუკეთესო პოეტური ქრებული

| | | |
|-------------------|---------------------------|--------------------|
| რუსუდან კაიშაური | "ლექსები" | "კავკასიური სახლი" |
| გაგა ნახუცრიშვილი | "გამგზავრება და მოლოდინი" | "საარი" |
| ჯუანშერ ტიკარაძე | "ლექსები" | "დიოგენე" |
| კოტე ყუბანეიშვილი | "ლექსები" | "სანი" |
| ტარიელ ჭანტურია | "თაფლობის საუკუნე" | "მერანი" |
| ბესიკ ხარანაული | "ლექსები" | "მერანი" |
| ვახტანგ ჯავახაძე | "2002 სტრიქონი" | "მერანი" |

წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკოსი

ლევან ბრეგაძე
ანდრო ბუაჩიძე
თამაზ კვაჭანტირაძე
ზაზა კვერცხიშვილი
მარსიანი

წლის საუკეთესო პიესა

| | |
|-----------------------|--------------------------|
| ნინო ბასილია | "და რა შუაშია აქ თავგი" |
| დათო ტურაშვილი | "ორი კუნძული შავ ზღვაში" |
| ალექსანდრე ქოქრაშვილი | "მეზუნია ჩიტები" |

წლის დებიუტი

სოფიო კირვალაძე
გელა ჩქვანავა

წლის საუკეთესო თარგმანი

| | | |
|---------------------|---|---------------------------------|
| ლევან ბერძენიშვილი | არისტოფანე, "კომედიები" ტ.1 | "ლოგოს-პრესი" |
| ზაჩანა ბრეგაძე | პლატონი, "პარმენიდე" | "ნეკერი" |
| ვახუშტი კოტეტიშვილი | "ადმოსავლურ-დასავლური დივანი" | "დიოგენე" |
| ლალი კოჭლამაზაშვილი | ერაზმუს როტერდამელი, "სისულელის ქება" | "ლოგოს-პრესი" |
| გიორგი ლობჯანიძე | "წიგნი ქალილასა და დიმნასი" | "ლომისი" |
| თამარ ლომიძე | ვლადიმირ ნაბოკოვი, "ლოლიტა" | "ლოგოს-პრესი" |
| ნინო ქაჯაია | უილიამ გოლდინგი, "ბუზთა ბატონი" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" |
| დავით წერეთელი | პასკალ კინიარი, "ყოველი დილა ქვეყანაზე" | "სანი" |
| კარლო ჯორჯანელი | თომას მანი, "დოქტორ ფაუსტუსი" | "მერანი" |

მაშ, „საბა“?

23 აპრილი - ნიგნის და საავტორო უფლებების დღე

ნაბო თორთლაძე

**“მრავალი სამყაროდან,
რომელიც ადამიანმა
ბუნებისგან საჩუქრად კი არ
მიიღო, არამედ თავად შექმნა,
ყველაზე დიდი ნიგნის
სამყაროა.”
ჰერმან ჰესე**

ძველისძველი კატალონიური ტრადიცია ყოფილა: ერის მფარველი წმინდანის, წმინდა გიორგის სახელობის დღეს ბარსელონელები და ქალაქის ირგვლივ მცხოვრებნი ერთმანეთს ვარდებს ჩუქნიდნენ. ცხადია, იმ დღეს მებაღეებსა და ვარდების გამყიდველებს უამრავი მუშტარი ჰყავდათ. ნიგნით მოვაჭრეთა გილდიას ეს ფაქტი ძალიან მოეწონა – როგორც ჩანს, ამ სფეროში მომუშავე ხალხი ყოველთვის განსაკუთრებით გონებაგახსნილი იყო, - და 1923 წლის 23 აპრილს, წმინდა გიორგისა და ვარდების სახალხო დღესასწაულზე, მათ კატალონიაში მცხოვრებლებს ვარდებთან ერთად ნიგნებიც აჩუქეს.

თავის ინიციატივა გილდიამ ძალიან ლოგიკურად დაასაბუთა. ხომ არ იტყოდნენ, ნიგნებს ვასაღებთო! ამიტომ გაიხსენეს, რომ 1616 წლის 23 აპრილი მიგელ სერვანტესის და უილიამ შექსპირის გარდაცვალების დღეცაა, და საერთოდაც ხომ შექსპირის გარდაცვალების დღის აღნიშვნა იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთემ კიდევ 1771 წელს გადამწყვიტა! მოკლედ, წმინდა გიორგის კლასიკოსებიც შეუერთდნენ, და მალე საქმე იქამდე მივიდა, რომ თუ 23 აპრილს კატალონიელები დაახლოებით 4 მილიონ ვარდს ყიდულობდნენ, ამ მხარეში ყოველწლიურად გაყიდული ნიგნების 10 პროცენტი 23 აპრილზე მოდიოდა.

1995 წელს კატალონიამ იუნესკოს თავის შესანიშნავი დღესასწაულის შესახებ მოახსენა, მის ინიციატივას გამომცემელთა საერთაშორისო ასოციაციაც შეუერთდა, და გენერალური კონფერენციის გადაწყვეტილებით, 23 აპრილი მსოფლიო ნიგნის დღედ გამოცხადდა – “ნიგნის მიმართ პატივისცემის ნიშნად და ახალგაზრდებისათვის კითხვის შესაყვარებლად”. იუნესკოს რეზოლუციაში ნათქვამია: “ვინაიდან ნიგნი კაცობრიობის ისტორიაში ცოდნის გავრცელებისა და დაცვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია, 23 აპრილი ყოველწლიურად ნიგნისა და საავტორო უფლებების დღედ ცხადდება”.

იუნესკოს გადაწყვეტილება მსოფლიომ დიდი ენთუზიაზმით მიიღო. განსაკუთრებით აქტიური ორი ქვეყანა გამოდგა: ნიდერლანდები, სადაც ამ დღესასწაულს “თეთრი ნიგნის კვირული” აღნიშნავენ, და დიდი ბრიტანეთი, სადაც “ნიგნის მსოფლიო დღე” დიდ დღესასწაულად იქცა. ნიგნის დღეს ზეიმობენ ავსტრალიაში, კანადაში,



23 აპრილს, პრემიის გადაცემის საზეიმო ცერემონიალი სწორედ ამ ადგილას გაიმართება

ესპანეთში, საბერძნეთში, შვედეთში, იტალიაში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, სპილოს ძვლის სანაპიროზე, მოზამბიკში, პუერტო რიკოში, კუბაზე – სადა აღარა... წელს კი “ნიგნიერ” ქვეყნებს საქართველოც შეუერთდა.

არადა, საქართველოს მოსახლეობის ნაწილი თურმე საერთოდ არ კითხულობს. თურმე, ჩვენს ქვეყანაში უნიგნურებიც არსებობენ. მიუხედავად ამისა, ნიგნის საქმე ამკარად ვითარდება – საბჭოთა დროსთან შედარებით, ცხადია, ნაკლები ტირაჟით გამოსცემენ, სამაგიეროდ, რამდენი ახალი დასახელების ნიგნი გამოდის! მკითხველი ბუზღუნებს, ძვირიაო, და ავტორები, გამომცემლები და ნიგნით მოვაჭრენი ჩივიან, მკითხველი დაბალი დონისა გვყავსო, მაგრამ ფაქტია, რომ ნიგნები ისტამბება და იყიდება, - თუნდაც გაზეთ “24 საათის” კულტურის გვერდებს რომ გადახედოთ, კვირაში ოთხჯერ მაინც ამოიკითხავთ ახალი ნიგნის პრეზენტაციის ან დამატებითი ტირაჟის გამოშვების ამბავს.

საქართველოში ნიგნის საქმის განვითარებას – სამარცხვინოა, მაგრამ ფაქტია – დღემდე უცხოური და საერთაშორისო ორგანიზაციები უფრო უწყობდნენ ხელს, ვიდრე ის ხალხი, “ვეფხისტყაოსნის” საიუბილეო გამოცემისთვის საკმარის თანხას რომ სამორინეში ტოვებს ხოლმე. მაგრამ წელს შეგვიძლია ამაყად განვაცხადოთ, რომ ნიგნის საქმე საერო საქმედაა აღიარებული, და ავტორებს საქართველოშიც პატრონი გამოუჩნდათ.

ასე რომ, ნიგნის დღეს ჩვენც ვიზიემებთ. თან შესანიშნავად: საჯარო კითხვებით, ლიტერატურულ-კულტურული საღამოებით, და, რაც მთავარია, ჯილდოების გადაცემებით. ქართული ნიგნის უდიდესი საცავი, ეროვნული ბიბლიოთეკა, “ღია კარის” დღეს მოაწყობს და გამოფენასაც გამართავს, “ნიგნის მხატვრობა”. ქუჩაში ნიგნები დიდი ფასდაკლებით გაიყიდება, მათ, ვისი ჯიბე ამასაც ვერ გაწვდება, ასევე საბავშვო სახლებს და ციხეებს, ნიგნებს საჩუქრად გადასცემენ. ამ დღისთვის ათასგვარი ლამაზი ნივთი დამზადდება: მაისურები, დროშები, საფოსტო ბარათები, პლაკატები... “პარნასსა” და “სარდაფში” დისკუსიები გაიმართება, და გვირდებიან, ამ დღეს მაინც დაიჯერებთ, რომ ნიგნის მალაზია კულტურის ლოკალური ცენტრიაო.

ამ დღესასწაულის კულმინაცია კი “საბა“-თი დაჯილდოება იქნება. ავტორების, კრიტიკოსების და მთარგმნელების მორალური და მატერიალური მხარდაჭერა “თი-ბი-სი” ბანკმა, სამაუწყებლო კომპანია “რუსთავი 2“-მა, გაზეთმა “24 საათმა” და “ქართულმა პენ-კლუბმა” გადამწყვიტეს.

რატომ “საბა”? (ერთ-ერთ ორგანიზატორს ამ სახელის იდეა, პირველმა, ბიძინა მაცაშვილმა მიანოდა, შემდეგ კი ე.წ. ფოკუს-ჯგუფი, რომელიც სპეციალურად შეიკრიბა საკითხის გადასაწყვეტად, დამოუკიდებლად მივიდა ამ სახელწოდებამდე.) იმიტომ, რომ სულხან-საბა ორბელიანი არაჩვეულებრივი მწერალია და, სხვა თუ არაფე-

რი, სიტყვის კონა აქვს შედგენილი – ამაზე უკეთესი განმარტებითი ლექსიკონი ჩვენ დღემდე არ გაგვაჩნია. გარდა ამისა, თავად სახელი ნებისმიერი ეროვნების ადამიანისთვის იოლი წარმოსათქმელი და დასამახსოვრებელია – ბიძინამ იაპონელების “სონის” პრიციპი გაიხსენა; თან – ეს უკვე ჩემი ეჭვია – ადამიანის სახელი, თავისთავად, ყველა სხვა სახელწოდებას სჯობს, იმიტომ რომ ადამიანურია. ასე “მოინათლა” “ქართული ბუკერი”, და, ვფიქრობ, ამ სახელით ყველა კმაყოფილი დარჩა.

მატერიალური, მარმარილოსა და მოვერცხლილი ლითონისგან დამზადებული “საბას” ავტორი ალექო კასრაძე გახლავთ - ამ ფიგურას ჩვენი გაზეთის მკითხველები უკვე იცნობენ.

პრემიის მიზანი გასული წლის ლიტერატურული პროცესების შეფასება და წლის საუკეთესო ნაწარმოებების გამოვლენაა. დაჯილდოების ცერემონიალს “რუსთავი-2” პირდაპირ ეთერში გადასცემს, ასე რომ, საზღვარგარეთაც რომ ვიყოთ გადახვენილი, მაინც ყველანი დავესწრებით.

ჟიური შვიდი ადამიანისგან შედგება. მათი ვინაობა უცნობია, მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ, ძირითადად, კრიტიკოსები და ლიტერატორები არიან, და მათი ნაწარმოებები, ცხადია, კონკურსში არ მონაწილეობს. ჟიური გასულ წელს საქართველოში გამოქვეყნებულ ყველა ორიგინალურ ლიტერატურულ ნაწარმოებს, უცხოური ნაწარმოების ქართულ თარგ-

მანს, ასევე პრესაში გამოქვეყნებული ან ნიგნად დაბეჭდილი ლიტერატურული კრიტიკის ნიმუშებსა და პიესებს განიხილავს.

კონკურსში მონაწილეობის მიღება ყველას შეეძლო, ვისაც გასული წლის განმავლობაში რომელიმე გამომცემლობაში ქართულ ენაზე ერთი რომანი, პოეტური კრებული, პროზაული ნაწარმოები, პიესა, კრიტიკული ნერილი და თარგმანი მაინც ჰქონდა გამოქვეყნებული, და ნომინანტები, რომელთა ვინაობაც გაზეთის პირველი გვერდიდან შეიტყვეთ, 300-მდე ავტორიდან იქნენ არჩეული.

ნომინაციებში გამარჯვებულები “საბას” და ორ-ორ ათას ლარს მიიღებენ. საგანგებო პრემია - “ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის” - 5000 ლარს შეადგენს.

გარდა ამისა, გამარჯვებულ ავტორებს მთელი წლის განმავლობაში – მომავალ “საბამდე” – “რუსთავი 2“-ში უფასო საეთერო დრო და გაზეთ “24 საათის” გვერდებიც დაეთმობათ, რაც – ამაში ნებისმიერი ლიტერატორი დამეთანხმება – არანაკლებ ფასეულია, ვიდრე ნებისმიერი ფულადი ჯილდო.

ვინ გახდება ყველაზე წარმატებული ლიტერატორი? ვის ერგება “საბა”? აზრი მრავალი არსებობს, მაგრამ ზუსტ პასუხს მხოლოდ 23 აპრილს შევითვით, როდესაც პირველად ქართული ნიგნის არსებობის ისტორიაში, ნიგნის საერთაშორისო დღეს, გამარჯვებულებს ჯილდოები გადაეცემათ.

ფოტო: ბაბაქანი შოტი

რბილი ყდების რეპოლუსია

კარგი წიგნები იაფად

ინგლისური "მარტოობის ასი წელიწადის" დანახვა ჩემი წიგნის თაროზე სამი მიზეზის გამო მსიამოვნებს ხოლმე. პირველი იმიტომ, რომ მარკესია და რალაცეებს მაგონებს. მეორე იმიტომ, რომ წიგნის უ-ულამაზესი მწვანე ფერის გარეკანი მჭრის თვალს. და მესამე იმიტომ, რომ ამ მწვანე ყდაზე, კიდელი უ-უსაყვარლესი პინგვინი ხატია, რომელიც ქვეცნობიერი პატივისცემით განმარჯობს გამომცემლობისადმი, რომელსაც ასეც ჰქვია - "პინგვინი".

თამარ ბაბუაძე

როდესაც გამოცემას ლოგოს მიხედვით აფასებ (რაც არ უნდა უ-უსაყვარლესი იყოს ის), ე.ი. ან ძალიან ინფანტილური ხარ, ან კოლექციონერი სნობების იმ კატეგორიას მიეკუთვნები, რომლებიც წიგნებს მხოლოდ ფერისა და დიზაინის ხათრით ყიდულობენ. მაგრამ მე შეგნებულად არ ვიკითხავ, თუ რომელი შეფასება განმარტავს უკეთ ჩემს მდგომარეობას, რადგან ვიცი - "პინგვინს" დამსახურებულად ვცემ პატივს. ეს გახლავთ დიდი ტრადიციების მქონე ინგლისური კომპანია, რომელსაც თანამედროვე გამომცემლები ბევრ რამეს უნდა უმადლოდნენ; ის შედის მსოფლიოში უდიდესი სამი ინგლისურენოვანი გამომცემლობის ნუსხაში; აქვს ფილიალები ავსტრალიაში, ამერიკაში, კანადაში, სამხრეთ აფრიკაში... სტამბავს ყველაფერს ყველასთვის. ანუ გამოსცემს ჰომეროსსაც და სუპერ-მოდელ კრისტი ტარლინგტონის წინგსაც იოგაზე; არტურ მილერსაც და "მანჩესტერ იუნაიტედი" დევიდ ბექჰემის მეუღლის ბიოგრაფიასაც; დოსტოევსკისაც და ფეხბურთელ როი კინის მემუარებისაც... ცხადია, "პინგვინის" ეს ფილოსოფია - დააკმაყოფილოს ყველა ჯურის მკითხველი, განსხვავებულ გემოვნებათა კომერციალიზაცია და სხვა არაფერი. თუმცა, ნუ იქნებით მკაცრები მაინც ძალიან სიმპატიური "პინგვინის" მიმართ. ასე იცის ხოლმე კონკურენტულმა ბიზნეს-გარემომ, რომელთანაც "პინგვინისნაირი" ფირმები ვერაფერს გააწყობენ.

თუმცა, თავადაც რომ ენეით "პინგვინის" ვებ-გვერდს, მიხვდებით, რომ მას ჩემი ადვოკატობა არაფერში სჭირდება. კომპანიას თავისი პრომოუტერების გარჯაც ეყოფა. ისინი კომპანიის ინტერნეტ-იმიჯსაც დიდი სერიოზულობით ეკიდებიან. საათივით აწყობილმა "პინგვინის" ვირტუალურმა რეზიდენციამაც აღარ იცის, სტუმრებს რით ასიამოვნოს: იქა ბესტსელერების ცინცხალი სია, დღის ავტორი, ახალი გამოცემები ინტერნეტის სფეროებისა და ჟანრების მიხედვით. იქვეა სპეციალური რუბრიკა, რომელიც ავტორებთან ინტერვიუებს ბეჭდავს. საიტზე ნაიკითხავთ ასეთ შემოთავაზებებსაც: "იყიდეთ ორი კლასიკა, მიიღეთ მესამე საჩუქრად". ამ შემოთავაზებას, რა თქმა უნდა, კომერციულის სუნი ახდის, მაგრამ მგონი, მკითხველი მაინც არ უნდა დარჩეს უკმაყოფილო თუ მაგალითად, იყიდის ერთ პლა-

ტონს, ერთ პუშკინს და ერთ ედგარ ალან პოსაც ზედ მიაყოლებს, თანაც მასში ერთი ცენტის გადაუხდელად.

ერთი სიტყვით, გამომცემლობა "პინგვინი" იდეებს მაქსიმალური ფინანსური წარმატების მისაღწევად ნამდვილად

მან, როგორც იქნა, წიგნის მკითხველ ელიტას გაათვითცნობიერებინა, რომ მაღალი დონის ლიტერატურული ნაწარმოების შინაარსი ყდების ზომა-წონით არ იცვლება; რომ თუ ერნესტ ჰემინგუეის მაგარყდიან წიგნში კითხულობ, არაფრით დგახარ იმ ადამიანზე მაღლა, ვინც შენსავით ლონდონის ცენტრში კი არა, გარეუბანში ცხოვრობს, ხოლო ამ "ხარისხიან" ჰემინგუეის რბილყდიან გამომცემაში ეცნობა; შესაბამისად, არც ჰემინგუეის აკლდება ხარისხი, თუ მისი წიგნის გარეკანი "მდა-


მოცა კარგი ხარისხის თანამედროვე მხატვრული ლიტერატურა მისანვლომ ფასად, რომლებიც ყველგან გაიყიდებოდა - რკინიგზის სადგურებშიც და უნივერსალურ მაღაზიათა ქსელებშიც.

პირველი "პინგვინები" Woolworth's-ის მაღაზიებში გამოჩნდნენ. წარმოადგინეთ, დახლები ილო კოლოფი სიგარეტი და მის გვერდით ამ ჩვენს მიერ, რატომღაც, ძალიან აჩემებული ჰემინგუეის რბილყდიანი გამომცემა. თანაც ორივე ერთი ფასი - სულ ექვსი პენსი ღირდა. მალე ქურჩებში გაჩნდა ე.წ. "პინგვინ-

რებმა თავიდანვე მოიფიქრეს, რომ კომპანიისთვის რაიმე ცხოველის სახელი დაერქმიათ. პინგვინის იდეა კი კაბინეტში შეკეტილ მოთათბირე დირექტორებს კარს მიღმა "შემთხვევით" მიყურადებულმა მბეჭდავმა მიანოდა. "ეს ნამდვილი გენიოსის ჩანაფიქრი იყო. ოფისიდან პირდაპირ ზოოპარკში გავიქნე და მთელი დღე პინგვინების ხატვაში გავატარე - მათ ყველა შესაძლებელ პოზაში ვხატავდი", - იხსენებს "პინგვინის" პირველი ლოგოს დიზაინერი ედვარდ იანგი. ასე დასკუბდა ეს უ-უსაყვარლესი არსება მილიონობით წიგნზე და ასე იქცა ის მასობრივი ბაზრისთვის განკუთვნილი მხატვრული ლიტერატურის, თუმცა, ხარისხიანის, სიმბოლოდ.

ბუნებრივია, ალენ ლეინის "პინგვინი" მხოლოდ აგატა კრისტა და ერნესტ ჰემინგუეზე არ შეჩერებულა. 1937 წლიდან დაარსდა "პელიკანი" - "პინგვინის" დღეს უკვე მრავალრიცხოვანი და ჟანრების მიხედვით დაყოფილი ფილიალებიდან პირველი. "პელიკანის" სახელით პირველად დაიბეჭდა ახალი წიგნები ისეთ არა-მდაბიურ ჟანრებში, როგორებიცაა ისტორია, სოციოლოგია, ეკონომიკა, პოლიტიკა. ლეინმა კარსმოდგარ ომსაც აუწყო ფეხი. მის მიერ პირველად დასტამბულ წიგნებს - "რა სურს ჰიტლერს" ან "ავიაციის სახელმძღვანელო" კითხულობდა ყველა, ამ გამომცემებით ხელმძღვანელობდნენ თავად პილოტებიც კი... 1946 წლიდან ლეინმა კიდევ ერთი ღირსეული საქმე ჩაიდინა. დააფუძნა ფილიალი "პინგვინის კლასიკა" და ის ჰომეროსის "ოდისეით" გახსნა. დღეს ეს განყოფილება ბეჭდავს ყველაფერს, რაც ნამდვილ კლასიკად არის აღიარებული.

...თითო საგმირო თავგადასავალი ყველა გამომცემლობას აქვს. ზოგი დიდი ავტორების პირველად დასტამბვით იწონებს თავს, ზოგიც კოლორიტული გამომცემლების ყოლით. მსგავსი საგმირო შემთხვევა "პინგვინისთვის" სალმან რუმდის სახელს უკავშირდება. ირანის რელიგიურმა ლიდერმა აიათოლა ხომეინმა ხომ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა რუმდის "სატანური ლექსების" დაწერისთვის, ხოლო "პინგვინს" - მისი დაბეჭდვისთვის. თუმცა, ხომეინის რისხვას ორივე გადაურჩა. დღეს რუმდიც ცოცხალია და "პინგვინიც". მეტიც, ის ყოველ ფეხის ნაბიჯზე ასხენებს მსოფლიოს, რომ ალენ ლეინის გამომცემლობა დღემდე ნაუბოროძიკებლად დააბიჯებს ყველაზე სახიფათო ბენვის ხიდზე, რომელიც მაღალ და კომერციულ ხელოვნებას, ხარისხიან და ბულვარულ ლიტერატურას შორის გადის. ეს ის ბენვის ხიდია, რომელზე გავლაც ყველა სოლიდური გამომცემლობის უპირველესი ვალია.



არ უჩივიან. თუმცა, ალბათ, იტყვიან და მართალიც იქნებით, რომ მსგავს მეთოდებს წიგნის ბაზარზე თითქმის ყველა წარმატებული კომპანია იყენებს. დღეს ხომ ახლად დასტამბული წიგნების პირველი თავების წინასწარ გამოქვეყნებითა და სპეც-პრინტების დაწესებით ვერავის გააკვირვებ. მაშ, რით არის "პინგვინი" გამორჩეული, რას უნდა უმადლოდნენ მას თანამედროვე გამომცემლები?

საგამომცემლო საქმის ისტორიკოსების ოფიციალური ტონი რომ შევინარჩუნოთ, პასუხი ასეთი გამოვა: "პინგვინმა", რომლის წიგნებიც პირველად 1935 წელს გამოვიდა, შთამომავლობას რბილყდიანი წიგნებით წარმატებული ბიზნესის პრეცედენტი პირველად შეუქმნა. ანუ რბილი ყდების რეგულაცია მოახდინა. მართალია, ეს საგამომცემლო პრაქტიკა მანამდეც არსებობდა, მაგრამ სწორედ "პინგვინის" ფუძემდებელმა, ინგლისელმა ალენ ლეინმა მოიპოვა პირველი ფინანსური წარმატება მათი საშუალებით - კომპანიის დაარსების პირველივე წელს გამოუშვა ათი რბილყდიანი წიგნი და გაყიდა 3 მილიონი ეგზემპლარად.

თუმცა, მთავარი ხომ ციფრები არ არის. ლეინის ისტორიული მისია, უპირველეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ

ბიურად" და "არაკადემიურად" ილუნება და ხელს იოლად, "უხარისხოსავით" მოჰყვება...

რბილ და მაგარ ყდებს თანაბრად შეჩვეულ საზოგადოებას შეიძლება გაუკვირდეს, მაგრამ 1935 წელს, როდესაც ლეინი საგამომცემლო საქმეში რეგულაციას იწყებდა, ყოველივე ზემოთ თქმულის მტკიცება საჭირო გახლდათ. მაშინ მრავალ სერიოზულ გამომცემელსა და აღიარებულ მწერალს სჯეროდა, რომ ლეინის წამოწყება სრულ ფიასკოს განიცდიდა. ასე რომ, ლეინი აშკარად სარისკო გზას დაადგა - ითამაშა წიგნის მოყვარული საშუალო ფენის თავმოყვარეობასა და სურვილებზე (მათ რა დააშავეს, თუ არ აქვთ რვა შილინგი, ე.ი. ჰემინგუეის ნაკითხვის ღირსნი არ არიან?) და გაუმართლა კიდევც. რბილი ყდების იდეა ასე იმ-

ვა: იმ მშვენიერ საღამოს ალენ ლეინი, პატარა გამომცემლობა "ბოდლი ჰედის" დირექტორი, დევნიდან შინ, ლონდონში მიემგზავრებოდა. ფრიად ალტაცებული გახლდათ - შაბათ-კვირა აგატა კრისტისთან ერთად გაატარა და ცუდ გუნებაზე როგორ იქნებოდა. სადგურში სავაზეთო ჯიხურს მოავლო თვალი, მაგრამ ვიქტორიანული რომანების გარდა ვერაფერს მიაგნო. სწორედ მაშინ მოუვიდა აზრად, რომ გა-

კუბატორიც" - სავაჭრო ავტომატი-მანქანა, ზუსტად ისეთი, თანამედროვე მსოფლიოში ყოველ კუთხე-კუნჭულში რომ დგას: გადააყლაპებ ხურდას, სანაცვლოდ კი "პეპსის" ან "სნიკერსს" დაგიბრუნებს. იგივე პრინციპით, საშუალო ლონდონელები ყიდულობდნენ, უმორჩილესად გთხოვთ, ნუ გალიზიანდებით და - "მდაბიურად დრეკად", მაგრამ ძველებურად "ხარისხიანი" შინაარსის მქონე ჰემინგუეის.

ალენ ლეინმა კიდევ ერთი ხერხი იხმარა. პირველ ჯერზე რბილყდიან გამომცემებად დაბეჭდა სწორედ ის მხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც ლონდონელებში, მაგარი ყდების სახით, დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ.

საგამომცემლო საქმის ისტორიკოსები აცხადებენ, რომ ხელმისაწვდომი ფასის გარდა, ლეინის წიგნებმა შესანიშნავად შერჩეული დიზაინის გამოც გაამართლა. გამომცემელმა ცალკეულ ჟანრებს ცალკეული ფერის ყდები შეურჩია და საგამომცემლო ისტორიაში პირველმა გამოიყენა დღეს ასე პოპულარული ხერხი - დიზაინითა და ფორმატით წიგნების ჟანრობრივი კლასიფიკირება.

წარმატებული ნაბიჯი გამოდგა კომპანიის სიმბოლოდ პინგვინის შერჩევა. დირექტო-

წიგნით მოვაჭრის მოპონებები



ჰორჯ ორაქელი

ჩემდა გასაოცრად, ბუკინის-ტურ მაღაზიაში (ანუ, ზოგიერთის წარმოდგენით, ერთგვარ "პატარა სამოთხეში", სადაც სანდომიანი ბერიკაცი გამუდმებით იქექება ფოლიანტებში) მუშაობისას იშვიათად ვხვდებოდი ჭეშმარიტ ბიბლიოფილებს. მაღაზიაში საინტერესო ფონდები ინახებოდა, მაგრამ მყიდველთა მხოლოდ ათიოდ პროცენტი თუ განასხვავებდა კარგ წიგნს უხეიროსგან. ლიტერატურის მოყვარულთა ჭარბობდნენ პირველ გამოცემათა შექენით დაინტერესებული სნობები. ზოგჯერ აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ჩამოსული სტუდენტები კითხულობდნენ იაფფასიანი ქრესტომათიების ღირებულებას. კლიენტთა ძირითად მასას კი შეადგენდნენ ქალები, რომლებიც ბავშვებისთვის დაბადების დღის საჩუქრებს ყიდულობდნენ.

ბევრი მუშტარი აუტანლად გვაბეზრებდა თავს. მაგალითად, სასიამოვნო გარეგნობის მოხუცებული ქალბატონი ეძებდა "წიგნს ინვალიდისთვის" (ეს ძალზე ხშირად ხდებოდა). ერთ-მა დარბაისელმა მანდილოსანმა 1897 წელს ნაიკითხა "არაჩვეულებრივად საინტერესო წიგნი" და ახლა გვთხოვდა, გვეშოვნა ის. საუბედუროდ, არც სახელწოდება ახსოვდა, არც ავტორი, არც - შინაარსი, მაგრამ იცოდა, რომ წიგნს წითელი გარეკანი

ჰქონდა. ბუკინისტებს განსაკუთრებით ანამებენ ორი ტიპის ადამიანები: ჯერ ერთი, ბეხრეკი, ობოკიდებული ბებრუცუნები, რომლებიც ყოველდღე, ხშირად კი - დღეში რამდენჯერმე მიდიან ბუკინისტებთან და ცდილობენ, გაყიდონ თავიანთი ხარახურა; სხვები კი უკვეთენ უამრავ წიგნს, რომელთა გამოსყიდვასაც არ აპირებენ. ჩვენს მაღაზიაში კრედიტით არაფერი იყიდებოდა, მაგრამ შეგვეძლო წიგნების გადანახვა ან მათი შეკვეთა კლიენტებისთვის. დამკვეთთა თითქმის ნახევარი არასოდეს მოდიოდა წიგნების წასაღებად, რაც ჩემს გაკვირვებას იწვევდა. ისინი გვიკვეთდნენ იშვიათ, ძვირადღირებულ წიგნებს, რამდენჯერმე გვახსენებდნენ თავს, შემდეგ კი სამუდამოდ უჩინარდებოდნენ. ზოგიერთი მათგანი - უეჭველად, ნამდვილი პარანოიკი - მაღალფარდოვანი კილოთი გვიამბობდა ძალზე გულისამაჩუყებელ ამბებს, რაც კი თავს გადახდენოდა, შემდეგ კი გვიხსნიდა, რომ საფულე შინ დარჩა (მგონი, ეს თვითონაც სჯეროდა). ისეთ ქალაქებში, როგორც ლონდონია, მრავლად ნახავთ მოცლილ შერეკილებს, რომელთა ბრტყელ-ბრტყელი გამოთქმების მიღმა უმწეობა და დაბნეულობა შეიგრძნობა. მათ მაგნიტივით იზიდავს წიგნის მაღაზიები, სადაც შეიძლება მთელი დღე გაატარო ისე, რომ ერთი პენსიც კი არ დახარჯო. გარკვეული დროის შემდეგ ასეთ ადა-

მიანებს ადვილად ვარჩევდი ჩვეულებრივი კლიენტებისგან. ხშირად, მორიგი პარანოიკის შემოსვლისთანავე, თაროებიდან ვიღებდით იმ წიგნებს, რომელთაც ის მოითხოვდა, მისი წასვლის შემდეგ კი წიგნებს თავის ადგილას ვდებდით. შევნიშნე, რომ არც ერთ მათგანს არ უცდია, მალულად ან საფასურის გადახდის გარეშე წაეღო წიგნი. ისინი მხოლოდ შეკვეთებს გვაძლევდნენ და ამ გზით საკუთარ თავს უმტკიცებდნენ, რომ შეძლებული, გადახდისუნარიანი ადამიანები გახლდნენ.

ისევე, როგორც ბუკინისტთა უმრავლესობა, ჩვენც ვენოდით სხვადასხვაგვარ დამატებით საქმიანობას: ვყიდდით ნახმარ საბეჭდ მანქანებს ან, მაგალითად, მარკებს - გამოყენებულ მარკებს ვგულისხმობ (მარკების შემგროვებლები - ახირებული, სიტყვაძვირი ადამიანების საგანგებო მოდგმია). ვყიდდით აგრეთვე ჰოროსკოპებს. მათ ადგენდა ერთი სუბიექტი, რომელმაც გამოვიცხადა, იაპონიაში მომხდარი მიწისძვრა წინასწარ განვჭვრიტეო. ჰოროსკოპები დაწებულ კონვერტებში ეწყო. ჩვენი კლიენტები ხშირად გაცვებით გვიმხელდნენ, რომ მათი ჰოროსკოპები "სწორი" იყო (რა თქმა უნდა, ჰოროსკოპი "სწორია", თუ ის გაუწყებთ თქვენი გარეგნული მიმზიდველობის შესახებ, ან კიდევ - იმას, რომ თქვენი ძირითადი ნაკლი - ჭარბი გულუხვობაა). მომგებიანი იყო საბავშვო წიგნებით ვაჭრობაც. თანამედროვე საბავშვო წიგნები მართლაც რომ ამაზრზენია. პირადად მე ბავშვს უფრო პეტრონიუს არბიტრს ნავაკითხებდი, ვიდრე - "პიტერ პენს", მაგრამ თვით ჯეიმს ბარიც გაცილებით გაბედული და თანმიმდევრულია, მის გვიანდელ მიმბაძველებთან შედარებით. საშობაოდ, ათი დღის განმავლობაში, გამალბებით ვაგ-


ზავნიდით ღია ბარათებსა და კალენდრებს (ეს დამლელი, მაგრამ, საბოლოო ანგარიშში, შემოსავლიანი საქმეა), რომელთა გამომშვები ფირმები დაუფარავი ცინიზმით ენეოდნენ ქრისტიანული გრძნობების ექსპლუატაციას. ისინი ჯერ კიდევ იენისში გვიგზავნიდნენ თავიანთ კატალოგებს. დამამახსოვრდა ზედნადები ქვითრის ერთი სტრიქონი: "ოცდაოთხი ჩვილი იესო ბოცვრებით".

ამასთან, ჩვენი დამატებითი საქმიანობის ძირითად საფუძველს წარმოადგენდა ჩვეულებრივი ბიბლიოთეკა, სადაც მკითხველებს არ სთხოვდნენ გირაოს დატოვებას. მხატვრული ლიტერატურის ხუთასი თუ ექვსასი ტომი გვექონდა. ასეთი ბიბლიოთეკები იზიდავს წიგნის ქურდებს. უადვილესი რამაა ერთ ბიბლიოთეკაში ორპენსიანი წიგნის მოპარვა, ფასის ნაშლა და შემდეგ სხვა ბიბლიოთეკაში მისი გაყიდვა ერთ შილინგად. მიუხედავად ამისა, წიგნით მოვაჭრეებს აზრით, უფრო მომგებიანია წიგნების ნაწილის დაკარგვა (ჩვენი მაღაზიიდან ყოველთვიურად თორმეტი წიგნი მაინც იკარგებოდა), ვიდრე - კლიენტების დაფრთხობა გირაოს მოთხოვნით.

მაღაზია ჰემუსტედსა და კედმენ-ტაუნს შორის იყო განლაგებული. უამრავი კლიენტი გვყავდა, ბარონეტებით დაწყებული და ავტობუსთა კონდუქტორებით დამთავრებული. შესაძლოა, ჩვენი ბიბლიოთეკის მკითხველები ლონდონის მკითხველი საზოგადოების ტიპური წარმომადგენლები გახლდნენ. ალბათ, დაინტერესდებით, რომელ ავტორს კითხულობდნენ ყველაზე ხშირად. პრისტლის? ჰემინგუის? უოლპოლს? უოდჰაუსს? არა. პირველ ადგილზე იყო ეტელ მ. დელი, მეორეზე - უორვიკ დიპინგი, ხოლო მესამეზე - ჯეფრი

ფარნოლი. რა თქმა უნდა, დელის რომანებს კითხულობდნენ მარტოოდენ ქალები, მაგრამ - ყველა ტიპისა და ასაკის ქალები, და არა მხოლოდ მარტოობისგან გაბეზრებული შინაბერები ან თამბაქოს მაღაზიების მეპატრონეთა ჩასორსლებული ქვრივები (როგორც ამას ხშირად ფიქრობენ). სწორი არაა შეხედულება, თითქოს მამაკაცები საერთოდ არ კითხულობენ რომანებს, მაგრამ ისინი თავს არიდებენ ხოლმე მათ გარკვეულ სახეობებს. ეგრეთ ნოდებული "საშუალო" რომანი - ესე იგი, ჩვეულებრივი, წყალნარევი ჰოლსუორთი, რომელიც ინგლისური რომანისთვის ნორმად იქცა, - მგონი, მხოლოდ ქალებს იზიდავს. მამაკაცები კითხულობენ სოლიდურ რომანებს ან დეტექტივებს, მაგრამ დეტექტივებს ისინი უჩვეულო რაოდენობით ნთქავენ. ერთ-ერთი მკითხველი ყოველკვირეულად სანსლავდა ჩვენი ბიბლიოთეკიდან წაღებულ ოთხ-ხუთ დეტექტივს (სხვა ბიბლიოთეკიდანაც მიჰქონდა წიგნები), თანაც მაკულატურის ეს უზარმაზარი ნაკადი (ერთი წლის განმავლობაში ნაკითხული გვერდების რაოდენობა, ალბათ, სამ მეოთხედ აკრს დაფარავდა) სამუდამოდ რჩებოდა მის მეხსიერებაში. სახელწოდებები და ავტორები არ ახსოვდა, მაგრამ წიგნის დანახვისთანავე ხვდებოდა, ნაკითხული ჰქონდა თუ არა ის.

ბიბლიოთეკაში ვლინდება ადამიანთა რეალური გემოვნება და არა მათი მოჩვენებითი პრეტენზიები. ინგლისელ კლასიკოსთა - დიკენსის, თეკერის, ჯეინ ოსტინის, ტროლოპის და ა.შ. - რომანები არავის აინტერესებს. მეცხრამეტე საუკუნის რომანები, თანამედროვე მკითხველთა აზრით, "დახავებულია", მაგრამ დიკენსისა და შექსპირის გაყიდვა ძნელი როდია. დიკენსი ის მწერალია,



რომლის ნაკითხვას მკითხველები ყოველთვის "აპირებენ" და რომლის შესახებ (ბიბლიის მსგავსად) მათ გარკვეული წარმოდგენა აქვთ. თანამედროვე ადამიანებმა ყურმოკვრით იციან, რომ ბილ საიქსი ქურდი გახლდათ, მისტერ მიკობერი კი მელოტი იყო, ისევე, როგორც გაგონილი აქვთ, რომ მოსე ლერნის კიდობანში იპოვეს და მან სახე დაიფარა, რადგან ღვთის ხილვისა ეშინოდა... მეორე თვალსაჩინო ტენდენცია - ამერიკული ნიგნების მზარდი არაპოპულარობაა. ნაკლები მოთხოვნაა, აგრეთვე, ნოველებზე. ბიბლიოთეკაში მოსული ადამიანები, ჩვეულებრივ, მაშინვე აცხადებენ: "ნოველები არ მომცეთ" (ჩვენი ერთი გერმანელი კლიენტის ამბობდა, არ მსურს "პანანინა მოთხოვების" კითხვა). თუ მიზეზით დაინტერესდებით, გეტყვიან, რომ დამქანცველია ახალ-ახალი პერსონაჟების დამახსოვრება, მაშინ, როდესაც რომანის პირველივე თავის ნაკითხვის შემდეგ ყველაფერი "წყალივით მი-

დის". ჩემი აზრით, ამაში ბრალი მიუძღვით მწერლებს, და არა - მკითხველებს. ბევრი თანამედროვე ინგლისური და ამერიკული ნოველი უფრო უსიცოცხლო და უფერულია, ვიდრე - რომანები. კარგი მოთხრობები საკმარისად პოპულარულია: მაგალითად, დ. ლოურენსის მოთხრობები ისევე ინტერესით იკითხება, როგორც - მისი რომანები. მინდოდა თუ არა, პროფესიად გამეხადა ნიგნით ვაჭრობა? საბოლოო ანგარიშში - მაღაზიის პატრონის სათნო ხასიათისა და იქ გატარებული ბედნიერი დღეების მიუხედავად, - არა. საკმარისი ოდენობის კაპიტალი, მისი გონივრულად გამოყენების შემთხვევაში, განათლებულ ადამიანს საშუალებას აძლევს, ამის გარეშეც იოლად გავიდეს. მიუხედავად ამისა, ნიგნით ვაჭრობას მიმართავენ "იშვიათი" ნიგნების მოსაპოვებლად. ამ საქმის შესწავლა ადვილია, ხოლო თუ თქვენთვის ნაცნობია გასაყიდი ნიგნების შინაარსი, წარმატებული ვაჭრობა უზრუნველყოფილია (გამყიდ-

ველთა უმრავლესობა ნიგნებს არ კითხულობს. დააკვირდით ჩანანერებს შეკვეთილი ნიგნების შესახებ. თუ იქ არ იპოვით ბოსუელის "დაცემასა და განადგურებას", ყოველ შემთხვევაში, აუცილებლად ნახავთ თ. ელიოტის "ფლორის ნისქვილს"(1)). თანაც, ეს ჰუმანური პროფესიაა, რომლის ვულგარიზება ძნელად თუ მოხერხდება. სინდიკატები ვერასოდეს გამოდეგნიან დამოუკიდებელ ნიგნით მოვაჭრეს, თუმცა მათ გამოდეგნეს ბაყალი და მერძევე. ამასთან, ეს შრომატევადი პროფესიაა. მე მხოლოდ დღის გარკვეული ნაწილის განმავლობაში ვირჯებოდი მაღაზიაში, მაგრამ მისი პატრონი კვირაში 70 საათს მუშაობდა, თუ არ ჩავთვლით ხშირ ვოიაჟებს ნიგნების შესაძენად. ნიგნით ვაჭრობა არაჯანსაღი სამუშაოცაა; როგორც ნესი, მაღაზიაში ცივა, რადგან სითბოსგან ფანჯრები იორთქლება, ფანჯრები კი - ვიტრინაა. ამასთან, არც ერთ საგანზე არ გროვდება იმდენი მაგნე მტვერი, რამდენიც - ნიგნებზე, და

არსად ისე მრავლად არ იხოცებიან ბუზები, როგორც - ნიგნების ყდებზე. მაგრამ მთავარი მიზეზი, რომლის გამოც უარი ვთქვი ნიგნით მოვაჭრის პროფესიაზე, - ისაა, რომ აღარ მიყვარს ნიგნები. კლიენტების მოტყუების შემდეგ გამყიდველს თავისი უსიამოვნო განცდები ნიგნებზე გადააქვს. ამ განცდებს კიდევ უფრო ამძაფრებს ნიგნების პერიოდული განმენდისა და გადაადგილების აუცილებლობა. ოდესღაც მართლაც მიყვარდა ნიგნების (განსაკუთრებით, ძველი ნიგნების) სურნელი, მსიამოვნებდა მათი ფურცვლა. ვნებარები, როდესაც სოფლად გამართულ აუქციონზე ნიგნების დასტას ერთ შილინგად ვიძენდი. მახარებდა მოულოდნელი აღმოჩენები: მეთვრამეტე საუკუნის დავინყებული პოეტები; გაცრეცილი გაზეთები; ძველი რომანების ცალკეული ტომები; სამოციანი წლების ქალთა ჟურნალები. აბაზანაში ყოფნისას, ან უძილო ღამით, ან კიდევ - ლანჩამდე დარჩენილი თხუთმეტიოდე წუ-

თის განმავლობაში არაფერი სჯობს "გოგონათა გაზეთის" უკანასკნელი ნომრის გადათვალიერებას. მაღაზიაში მუშაობისას კი ნიგნებზე გული ავიყარე. როდესაც ყოველდღე უყურებ ხუთ ან ათას ტომს, ნიგნები აღარ გიზიდავენ. ახლა დროდადრო ვყიდულობ თითო-თითო ნიგნს, რომელთა ნაკითხვაც მსურს და რომელთაც არავინ მათხოვებს. და არასოდეს ვიძენ ძველ ნიგნებს. გაცრეცილი ქალაქის საამო სურნელი აღარ მიზიდავს. ჩემს ცნობიერებაში ის განუყოფლად უკავშირდება პარანოიულ კლიენტებსა და მკვდარ ბუზებს.

**თარგმნა
თამარ ლომიძე**

1. აქ მწერალი ქირდავს წიგნით მოვაჭრეთა უმეცრებას. "რომის იმპერიის დაცემა და განადგურება" - ინგლისელი ისტორიკოსის, ე. ვიბონის თხზულებაა, ხოლო რომანი "ფლორის ნისქვილი" ეკუთვნის ჯორჯ ელიოტის კალამს.

მხატვრული ლიტერატურა

ლონდონის ბერები



ნოდარ ლაღარია

აკა მორჩილაძე, "ძირს სიმინდის რესპუბლიკა!", "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა", თბილისი, 2003.

ძალიან ძნელია სხვადასხვანაირად წერო ავტორზე, რომელიც ყოველთვის ერთნაირად წერს. ეს პირველი წინადადება, ერთი შეხედვით, ძალიან ცუდი გამოვიდა. მაგრამ შემდეგ კიდევ უარესი იქნება...

ბოროტი ენები ამბობენ, რომ ეს ერთნაირობა აკა მორჩილაძეს კარგა ათი წელი კიდევ აჭმევს პურს. ჰოი, ძმანო, პურის ჭამა და პურის ჭამა! მე რაც შემეხება, არა მგონია, ლიტერატურული ნაწარმოები მხოლოდ ტექსტი იყოს — ის ტექსტი და მის გარშემო მომხდარ მოვლენათა ერთობლიობაა. ეს მოვლენები ყოველთვის სხვადასხვანაირია, შემთხვევით და გამიზნულად ნაწარმოებ აზრთა და მოქმედებათა მრავალფეროვნება თითქმის ამოუწურავია, ამიტომაც, სანამ არ შეწყდა და არ დაიშრება ტექსტის გარშემო აგორებული რეალობის ტალღა, მანამ ვერავისზე ვიტყვი, რომ ყოველთვის ერთნაირად წერს...

ეს ჩემი ნაწერიც უკვე აკა მორჩილაძის ახალი რომანის ნაწილს თუ არა, ჩვენს მკითხველთა საზოგადოებაში მისი ცხოველქმედების პროდუქტს წარმოადგენს. "ძირს სიმინდის რესპუბლიკა!" — ასე ჰქვია ნიგნს. სათაური მომწონს, — წამოიძახა ერთ-ერთ საჯარო განხილვაზე რატი ამალაძემ. იქ ჩვენი ახალი თაობის ლიტერატორები იყვნენ შეკრებილი და ნიგნი არავის ჰქონდა ნაკითხული, იქ ქვემოთ ხელისმომწერიც სამგზის გამოვიდა სიტყვით, მაგრამ ნიგნი არც მას ჰქონდა ნაკითხული. ახლა კი შემიძლია ვთქვა, რომ გუშინ დავასრულე რომანის კითხვა, მაგრამ შთაბეჭდილებიდან ვერ გამოვსულვარ და ამიტომ რომანიდან კი არ დავინწყებ, არამედ, როგორც უკვე ვთქვი, მის გარშემო აგორებული რეალობის ტალღიდან.

როცა ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ რომანი გამოსცა და ავტორიც ახალდამკვიდრებული ტრადიციის შესასრულებლად "პარნასში" გაყიდულ ეგზემპლარებზე ავტოგრაფებს უტოვებდა თავის მკითხველებს, ტელევიზიით გამოგვიცხადეს, რომ ნიგნი ლონდონში მცხოვრებ ქართველ ლტოლვილებზე იყო. ნიგნი მათ

გრძნობებსა და სიძნელებით აღსავსე ცხოვრებაზეაო, — გვითხრეს, — ძნელიაო უცხო მხარეში გაძლება, აკი რომანშიც წერია, ლონდონი საშლელია და თუ თავს იზოგავ, თუ ათი წუთით მეტი გძინავს, ნაგმლისო. ეჰ, ჩვენები ტელევიზიითაც იმას წუნუნებენ, რომ შრომა ეზარებათ... დიახ, ნიგნი ლტოლვილებზეა, უფრო სწორად კი ლონდონის ქართველ იმიგრანტებზე. ოლონდ ნამდვილი, ესე იგი, ხორციელი სინამდვილიდან აღებული ქართველი სულ ორია — კარგად მოწყობილი და თო ოჯახითურთ და პლესანოველი ჯამბულა. სიძნელებიცა და გრძნობებიც ნაცნობია და მშობლიური: არც მთლად ადვილია ცუდად მოწყობილმა კარგად მოწყობილი მოძებნოს და შემოსავლის, სამომავლო გეგმების, თვით ცხოვრების წილში ჩაუფდეს, წურბელასავით გამოსწოვოს ფული, ძალები, სიცოცხლე. გრძნობებიც ნაცნობია და მშობლიური: შავი რომ კარზე მოგადგება, ოჯახში შემოგეპარება, უბრალოდ შენს მისამართს გაიგებს და იმის ფიქრში მოკვდება, რომ საქართველოში, საკუთარ ოჯახში დატოვებული მშობლები სინამდვილეში მიქვლებია, რომ გამოსავალი მხოლოდ ორია — ან მიწა უნდა გაგის-

კდეს, ან შენ თვითონ უნდა გასკდე, მაგრამ მოიგონო, ვინა გყავს ქურდი ნათესავი, მეგობარი ან ნათლია. ეს ნამდვილია რომანში — ჩვენი გარდაუვალი წყევლა თუ შეჩვენება, რომელსაც ასე სხარტად გამოთქვამს ჯამბულა: "სადაც მე ვარ იქ ყველგან პლესანოვია". მორჩა და გათავადა, ვერ დაუძვრები და შენს ცხოვრებაში ერთადერთი თავგადასვლის არჩევანი გაქვს: თვისტომთა წინაშე როგორ გაამართლო უდიდესი დანაშაული — შრომით მოპოვებული სიფრიფანა კეთილდღეობა.


მაგრამ თავგადასავლები მაინც ხდება რომანში. ეს კიდევ ორი ქართველის დამსახურებაა, მაგრამ ისინი ნამდვილები არ არიან. ერთი, მალხაზ მ., რომელიღაც ზღაპრიდანაა მოსული (აბა, რამდენს გინახავთ ოციოდე წლის ოსტატი მჭედელი სოფელში, სადაც გალოთებული კაცებისა და ხალათმოსხმული უშნო ქალების გარდა არაფერი დარჩა დღეს?). მეორე, უსახელო, რომელიც თავის თავს მაკარლიკს ეძახის (ალბათ ნიორაძე უნდა იყოს), სტივენსონის "განძის კუნძულიდან" გადმოსახლდა ახალ ქართულ რომანში. ერთ მშვენიერ დღეს მასთან ბილი ბონისისა და ჯონათან სილვერის პიბრიდი მოდის,

რომელსაც კონან დოილის ერთი შურისმაძიებლის გენეტიკა გამოპყოლია, აი, იმისი, აორტის გაგანიერებით რომ მოკვდა ციხეში. მხოლოდ ასე შეიძლება მოხდეს თავგადასავალი და შესრულდეს ცხოვრება.

ნამდვილი და გამოგონილი ქართველების ორომტრიალს ზემოდან ორი ღმერთი აკვირდება — არცთუ მთლად წარმატებული ინგლისელი გამომცემლების წყვილი. ისინი მითიური მოიერების თუ ნორნების მსგავსად თავიანთ ნებაზე ჭრიან პერსონაჟთა ცხოვრების ძაფებს და ჩვენს რომანში სიკვდილის შეგრძნება შემოდის. ყოველი ცალკეული ეპიზოდი სწორედ მაშინ წყდება, როცა უკვე შეეჩვიე მის სტილსა და ატმოსფეროს, როცა უკვე შეეთვისე მასში მოქმედ ადამიანებს. მაგრამ მაკრატლის ერთი მოსმა და განშორების წამი დაუკითხავად მოდის, მომავალი შეხვედრა კი სათუთა. ასე რომ, ცხოვრების წარმავლობაზე არაფერს გეუბნება ეს ნიგნი, უბრალოდ, კითხვის პროცესში ჩნდება დაუძლეველი შეგრძნება იმისა, რომ უნდა იჩქარო, რადგან თავგადასავლისა და გამარჯვების შესაძლებლობა შენს სიცოცხლეს ასევე დაუკითხავად და მოულოდნელად დატოვებს.



კონტრასტული შტრიხების პოეზია



ანდრო ბაკრაძე

გაგა ნახუცრიშვილი. გამგზავრება და მოლოდინი. მხატვარი თონა მამფორია. რედაქტორი იასე ცინცაძე. თბ. "საარი", 2002.

გაგა ნახუცრიშვილის ლექსებში ალბეტადილი ვენებათაღელვა, ბოჰემა, სულიერი ფორიაქი 20-იანი წლების ქართული ლირიკის ასოციაციას აღძრავს. შეიძლება ეს კავშირი თუ თანხვედრა ზოგადი და არაფრისმთქმელი იყოს, მაგრამ თუკი ამგვარი რამ ნამდვილად არსებობს, არც აქ არის რაიმე დასაძრახი: "ედგარ პო, ყორანი, / მორალი - / ნარსული მუსიკის / უსიტყვო და ძველი ფორანი".

ნარსული მუსიკის ჰანგები, მართლაც, ხმანებს კრებულში "გამგზავრება და მოლოდინი" და ყოველივე ამას ახლავს თან ავტო-

რის პიროვნულ-ინდივიდუალური შტრიხები. ეს პიროვნული ნიშნები ერთგვარ სიმსუბუქეს, "მინიერებას", პროზაულობას, ირონიანარევ ელფერს სძენს ლექსებს. ასეთია, ვთქვათ, "ძველი" ინტონაციით დანერვილი "ახალი" ლექსი: "ახედვ ვარსკვლავებს, რომელიც არ ჩანან, / ოცნება გეყოფა! / ჩადიხარ კიბეზე, ჰაერი ცივია / სხვა დადგა ეპოქა. / გამქრალი სიზმრები და ლამე მიშველი / ეძახის ფანტომებს / დაცლილი ბოთლები და მარვლის ტოტები / არაფერს გაგონებს".

საერთოდ გაგა ნახუცრიშვილის ლექსებისთვის დამახასიათებელია მაღალის და დაბალის, მინიერის და არამინიერის, ოცნების და ირონიის ნაზავი. ზოგჯერ კი რალაც დიდი, ყოვლისმომცველი სისუფთავის ნყურვილი ტანჯავს პოეტს და ასეთ დროს ამალღებული და არამინიერი სძლევს პროზაულს და იბადება ასეთი სტრიქონები: "ის მოდის ჩუმად, / როგორც ქურდი ან საყვარელი, / ან ნამთვრალევი / გრძობების ჩქამი, / ის მოდის ჩუმად, / უფრო ხშირად / ის მოდის ღამით, / და რომ იცოდეს, - / როგორ გავსვრით, / აქ აღარ მოვა!.. / და იქნება ცამდე მართალი / ის - / მარტოობის თეთრი სარდალი, / სახელად თოვა!.."

ჩემზე პირადად ყველაზე მძაფრ შთაბეჭდილებას ახდენს გაგა ნახუცრიშვილის ის ფრაზები, რომლებიც ემოციურად და ფსიქოლოგიურად ზუსტია. ამგვარი სიზუსტეს ინტუიციით გრძნობს მკითხველი და ამიტომაც არის მნიშვნელოვანი. ვთქვათ ასეთია ამ სტროფის ბოლო სტრიქონი: "ქალები იცვლიდნენ თმის ფერს, / დღიურში ყვავილებს ახმობდნენ, / ეტრფოდნენ ლექსებს თუ ცის ფერს, / უბრალოდ თავისთავს არ თობდნენ".

ნაკითხვისთანავე მენიშნა - ქალები ხშირად იმ უბრალო მიზეზით აკეთებენ რალაც-რალაცებს, რომ საკუთარი თავი გაართონ. რა თქმა უნდა, შეიძლება საამისოდ მათ მოწყენილობა უბიძგებს, მაგრამ ეს ფაქტია.

მომონს ასეთი ფრაზაც: "იყო სულელი ბედნიერება / და სულელურად ბოროტი ჟამი. "სულელურად ბოროტი" ნამდვილად არსებობს - ჟამიც და ადამიანიც. სულელურია ის ბოროტება, რომელიც არაფრით არ არის ნაკარნახევი და ამავ დროს არავითარ მიზანს არ ემსახურება (რა თქმა უნდა, ბოროტება არც სხვა შემთხვევაშია გამართლებული, მაგრამ სხვა დროს შეიძლება იყოს "მზაკვრული", "სასტიკი", "ვერაგი", ოღონდ არა "სულელური").

გაგა ნახუცრიშვილის ლექსთა ერთი ნაწილი განწყობილებისმიერ ქარგაზება აღმოცენებული. განწყობილება რამდენიმე შტრიხით იხატება. სხვათა მორის, ამ მყისიერი მდგომარეობის ლექსში მოქცევას საკმაოდ კარგად ახერხებს ავტორი: "ქალები, ტუზი, / და ისევ ტუზი, / სამწუხაროა გაქცევა მუზის, / როცა გარეთ წვიმს... / ნუ გაშლი ქოლგას, / მოუსმინე, რას ამბობს წვეთი, / წვიმის წვეთი / და ნურაფერი / ნუ გინდა მეტი".

გაგა ნახუცრიშვილის ლექსწერა ზოგჯერ მთლიანად ასოციაციური აზროვნებაზეა აგებული. ასეთია ვთქვათ, ლექსები "ნაცნობი სურათი" და "მთვარის რიტმი". ამ ლექსებში თითქოს წყვეტილი ფრაზებია, მოკლე შტრიხები, მოულოდნელი განათებები. და ამავ დროს: აქ არის რეალობა და ფანტასმაგორია, სინამდვილე და სიზმარი არეული ერთმანეთში.

ცალკე განხილვის ღირსია პოეტის მიძღვნილი ლირიკა. აი, ვთქვათ ლექსი, რომელიც ეძღვნე-

ბა ამერიკელ მწერალს ჯერომ სელინჯერს: "რას ეუბნება კედელი კედელს? / რასა და ვდგავარ უძრავად ასე, / კუთხეში ალბათ შევვდებით შემდეგ, / ასე, ნულარ იკითხავ რაზე. / რას ეუბნება კედელი კედელს? / რასა და, ძმაო, შენთან ვარ თითქმის, გიპოვნე მგონი და მაინც გეძებ... / ტბა გაიყინა, გაფრინდა იხვი".

ამ ლექსში, უშუალოდ, მოთხრობიდან ატეული ფრაზაა გამეორებული. აქ ერთი სტრიქონი: "გიპოვნე მგონი და მაინც გეძებ..." გამოხატავს ლექსის მთელ დედაზრს. ეს სტრიქონი აზრისმიერი ნათელი სხივივით ანათებს მთელ ლექსს. დანარჩენ ნაწილში კი ემოციური ფონია ნარმოჩენილი, მარტოობის ძუნწი შტრიხებით დახატული განწყობილება დაფიქსირებული.

აქვე არის ლექსები მიძღვნილი ეგზოპერიასადმი, მოდილიანი-სადმი, ლორკასადმი. შთამბეჭდავია ესპანელი პოეტის ტრაგიკული ხვედრით ნაკარნახევი ასეთი გამონათქვამი: "მე ამაცი ვარ იმისთვის, რომ თავი დავინდო", ან ასეთი ნამოძახილი: "სადღა რწმენა, როცა მოიქცენს უჭირავს დროშა, / და, როცა მოდის შეგნებული, ტლანქი სიზნულე". ან კიდევ ამგვარი სურათი: "მერე საფლავთან ცრემლიანი კარტს გაშლის ბოშა, / ის იგრძნობს როგორ გადამშალეს და გამიმეტეს".

ძალზე უცნაური მდგომარეობაა დაფიქსირებული ლექსში "მოჩვენებები". ფორმის თვალსაზრისით ლექსი მეკრულია და კონცენტრირებული. რითმა ძალდაუტანებლად, ოსტატურადაა გამართული. არაფერი აღარ არის მოჩვენებების გარდა. ეს, ფაქტობრივად, არყვანაა, ოღონდ მოჩვენებების ნიშნით აღბეჭდილი. სხეული კარგავს შეგრძნების

უნარს, ქრება შიმშილი და ნყურვილი. ყველაფერი დროის და სივრცის მიღმა ხდება. ხდება კი რამე? მე მგონი, არა. სინყნარე სუფევს და სიცარიელე: "სხეული გაქრა. სხვა დროა უკვე. / სილუეტს აღარ სჯერა ვნებების, / აღარც სიბრტყეა და აღარც კუთხე / მოჩვენებები. მოჩვენებები. / აღარც შიმშილი. აღარც ნყურვილი. / აღარც ავდარი და აღარც დარი. / არც სიყვარული, არც სიძულელი. / აღარც მზე. აღარც გიჟური ქარი" და ა.შ.

ვერ ვიტყვი, რომ ეს ლექსი უჩვეულოა გაგა ნახუცრიშვილის პოეზიისთვის, მაგრამ სიკაცურით, ფილოსოფიური წვდომის თხილთ, ყოფიერების მიჯნათა დალაშქრის სურვილით აქ პოეტი თავის სხვა ნაწარმოებებს ამკარად აღემატება. უჩვეულო მდგომარეობა ხელშესახებადაა გადმოცემული.

გაგა ნახუცრიშვილი კარგად ფლობს კონვენციურ ლექსს. ზუსტად არგებს სათქმელს რიტმს, ინტონაციას. კარგი იქნება თუ მეტყურადღებას დაუთმობს ზოგჯერ რითმას, რომელსაც არა უბრალო, არამედ განსაკუთრებული აზრობრივი, მინარსობრივი და სხვა ფუნქციები აქვს ლექსში.

ზოგჯერ პოეტი მელოდრამატულ განწყობილებას ქმნის, მაგრამ ერთი ან ორი ტრაგიკული ტონალობით აღბეჭდილი ფრაზა აქარნელებს მყისიერ სიმსუბუქეს და სილრმისეულობას ანიჭებს სათქმელს.

გაგა ნახუცრიშვილის ლექსებში კონტრასტული შტრიხები, პარადოქსები, ნალველით და ირონიით შეფერილი სტრიქონები, სინათლე და ნყვდიადი ერთმანეთშია გადაქსოვილი. თავისებური სიმბიოზი უჩვეულო შთაბეჭდილებას ქმნის.

На деревню дедушке, Константин Макарычу



სანდრო ახაიძე

სოფიო კირვალიძე, "ბერიკაობა", ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2003.

პირდაპირ ვთქვათ, რომ ახალი ვარსკვლავი დაიბადა? არა, ნუ ვიჩქარებთ... მოდით, უფრო პროზაულ საგნებს მივაქციოთ ყურადღება, მით უმეტეს, რომ საქმე პროზასთან გვაქვს, თუმცა კი ბევრმა შეიძლება არ დაიჯეროს. მამ ასე, საქართველოში უქმი ფსევდონიმების კორიანტი-

ლია: ყველამ იცის, რომ აკა მორჩილაძე გიო ახვლედიანი, ახლა იმასაც გეტყვით, რომ სანდრო ჩხაიძე კი არა, ნოდარ ლადარია ვარ. სარდაფში გამართულ ახალი წიგნის პრეზენტაციაზეც არავინ მოსულა ისეთი, რომელმაც წინასწარ არ იცოდა, რომ სოფიო კირვალიძე სინამდვილეში "24 საათის" მკითხველთათვის საკმაოდ ცნობილი ანა კორძაია-სამადაშვილია.

...რომელიღაც მოთხრობაში ვლადიმერ ნაბოკოვი გამოგონილ მწერალს დაახლოებით ასე მმართავს: რა თქმა უნდა, ქალი ბრძანდებით, მე ამას უცებ ვგრძნობ — ყველა თქვენს წინადადებას მარცხენა მხრიდან აკერია ღილები. მიხვდებოდა თუ არა ნაბოკოვი ტყუილს, ანა კორძაია-სამადაშვილს ფსევდონიმად რომ მამაკაცის სახელი აერჩია? ნაბოკოვისა რა გითხრათ, მე კი დავიბნეოდი. იმიტომ არა, რომ მოთხრობების ტექსტში ხშირად გვხვდება ის, რასაც განათლებული ადამიანები არანორმატიულ ლექსიკას უწოდებენ, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები — უცნუზურო სიტყვებს, ხოლო ეკლესიური მორწმუნენი — უხამსობას. არც იმიტომ, რომ კრებულში მოთავსებული მოთხრობები ნიჭის ყბადაღებული მამაკაცური სიძლიერთაა

აღბეჭდილი. უბრალოდ, სოფიო კირვალიძესთან ერთად ქართულ ლიტერატურაში ერთი უჩვეულო სიახლე შემოვიდა...

ოდესღაც რომის უნივერსიტეტის, "ლა საპინცას" ერთი სტუდენტისათვის დავწერე სადიპლომო შრომა "ლიუდმილა პეტრუშევსკაია — რუსეთის ქალური პროზის თვალსაჩინო წარმომადგენელი". სათაური ამკარად პოლიტიკორექტულობამ (კინალამ პროლეტკულტელობა დავწერე, მაგრამ ეს თითქმის ერთი და იგივეა!) უკარნახა იმ სტუდენტის ნომინალურ ხელმძღვანელს. ჩვენი ავტორის მისამართითაც გაისმა რამდენიმე მსუბუქი ღრენა — ფემინისტიაო. არ ვიცი, რამდენად სამართლიანია ეს თვალსაზრისი, მაგრამ სიახლე, რომლის შესახებაც წინა აბზაცის ბოლოს გაუწყეთ, შემდეგია: სოფიო კირვალიძის მოთხრობებით ქართულ ლიტერატურაში ქალური კი არა, უფრო unisex ლიტერატურა შემოვიდა. მის წინადადებებს ღილები არც მარცხნივ აკერია და არც მარჯვნივ — მისი წინადადებები ელვა-შესაკრავებითაა აღჭურვილი.

მაინც რატომ უღრენდნენ ავტორს, ფემინისტიაო? ჩემი აზრით, ავტორი მხოლოდ სწორუპოვარი მოთხრობელია, რომელსაც სიტყვები საგნებზე მეტად

უყვარს. საგნები საერთოდ მხოლოდ ავტორის ნებას ემორჩილებიან, სინამდვილე, თუნდაც მტრული, მხოლოდ მაშინ მოჩანს სიტყვათა საფარველიდან, როცა ამას ავტორის გრძობილება და ახირებები მოითხოვს. აი, ამუშავდა ყველასათვის ცნობილი ახირება, რომელიც ქვეყნად ყველაზე დარჩაგულ ადამიანად გახდომას გვიბრძანებს ხოლმე და მოხრობელის ცხვირწინ გაჩნდება მაღაზია, სადაც მოხრობელი ყელამდე ვალეშია ჩაფლული. მოხრობელს ვიღაც არ ევასება? — იმწამსვე იმ ვიღაცის ხელში აღმოჩნდება პურის საჭრელი დანა, რომლითაც ის ვიღაცა ფრჩხილებს ინმენდს. საგნები უხმოდ ჩნდებიან და უკვლავად ქრებიან ავტორის და მასთან ერთად ჩვენი ცხოვრებიდან. მაგრამ ეს არაა მთავარი. ჩვენი მკაცრი შემფასებლების გალიზიანება კი ნამდვილად იმან გამოიწვია, რომ ამ საგნებზე ჩნდებიან და ქრებიან ავტორის ნებას დამორჩილებული მამაკაცებიც. ეს არ უნდა გაეხედვა სოფიო კირვალიძეს!

მაინც ვის მიმართავს, სოფიო კირვალიძის უწყება?

ჩვენი ემპირიული ავტორი, ანა კორძაია-სამადაშვილი თავისი პირველი სპეციალობით რუსისტია (არ ავეერიოს რუსოფილში). ახლა მას უფრო გერმანისტი

ეთქმის. პროფესიით, ალბათ, ჟურნალისტია. სამივე ამ ასპექტმა თავისი შესაფერი გამოხატულება პოვა მის პროზაში. და მაინც, სოფიო კირვალიძე რაც მას სხვაა, არის ერთი რამ, რაც მას ასხვავებს ანა კორძაია-სამადაშვილისაგან — ამ მუდამ სიხარულითა და თუ აუტანელი არა, ნარმოუდგენელი სიმსუბუქით აღსავსე არსებისაგან. სოფიო კირვალიძე ისეა ჩამწყვდეული ჩვენს ბერიკაობა-სინამდვილეში, როგორც ჩეხოვის ვანკა — ხარაზის სახელოსნოში. იგი ამ სინამდვილედან თავის ამოყოფას ღამობს, იმ ცხოვრებისაკენ ისწრაფვის, სადაც ჩვენი ბერიკაობა იმათი კარნავალის სიმალღემდეა ასული და გაკეთილმობილებული.

ამიტომ სოფიო კირვალიძე განწირულია: ის ვერასოდეს იპოვის გამოძახილს, როგორც ჩეხოვის ვანკას წერილი — ბაბუას. მისი ტექსტი უხილავის დამახასავისთვისაა განკუთვნილი. სოფიო კირვალიძე მოკვდა. დაიბადა ანა კორძაია-სამადაშვილი. აი, ამის თქმა შეგვიძლია.

ჩვენ? — ჩვენ კი ადამიანური განცდების მიმართ მუდმივი სიყრუე გველოდება, თუ კვლავ ბერიკაობის თამაშს გადავწყვიტოთ და ვერ მივხვდებით, რომ დრო დადგა კარნავალის ცეცხლოვან სამყაროში შებიჯებისა.

ძველი, კეთილი კრიტიკა



ბაბა ლომიძე

მარსიანი. კრიტიკა. რედაქტორი შოთა იათაშვილი. "კავკასიური სახლი", 2002.

ალბათ, ასეც უნდა მომხდარიყო, სიჩუმე უნდა დარღვეულიყო - ნიგნით. მართალია, ბოლო, დაახლოებით 10 წლის მანძილზე იბეჭდებოდა სხვადასხვა ავტორის არაერთი კრიტიკული წერილი, მაგრამ ერთად თავმოყრილს, გარკვეულ სისტემაში მოქცეულს თითქმის არ შევხვედრივარ. ამდენად, სასიამოვნო იყო მარსიანის (იგივე გია ბენიძის) "კრიტიკის" გამოჩენა ნიგნის მაღაზიის თაროებზე. ვფიქრობ, ყველას ახსოვს ამავე სახელწოდების მქონე ჟურნალი, რომელიც უკვე კარგა ხანია აღარ გამოდის. სხვათა შორის, მარსიანის ნიგნი თავისუფლად შეიძლება ჟურნალ "კრიტიკის" რუბრიკებად დაიყოს, ვთქვათ პირობითად: ქართული მწერლობა 1990-იან წლებამდე; 1990-იანი წლების ქართული მწერლობა; და პოლემიკა. რუბ-

რიკა "პოლემიკა" თავის დროზე, შესაძლოა, ყველაზე პოპულარულიც კი იყო ჟურნალ "კრიტიკაში".

ჩვენ მიერ პირობითად დაყოფილ პირველ რუბრიკაში კრიტიკოსი (რომელიც ამავე დროს პოეტი და პროზაიკოსიცაა) მიმოიხილავს გურამ დოჩნაშვილის, გიორგი კორნაპელის, ოთარ ჭილაძის, ნაირა გელაშვილის, ჯემალ ქარჩხაძის ნაწარმოებებს. განსაკუთრებით დამაინტერესა გიორგი კორნაპელის შემოქმედების ანალიზმა, სადაც ავტორი კორნაპელს გენიოსად აღიარებს და საკმაოდ დამაჯერებლად ასაბუთებს თავის მოსაზრებებს, თუმცა ეს შეფასება, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებული მეჩვენება. კორნაპელის აპოლოგიის საუკეთესო ნიმუშად შეიძლება ერთადერთი ფრაზაც მოვიტანოთ: "იყვნენ "ცისფერყანწილები" და გალაკტიონი; არიან "სამოციანელები" და გიორგი კორნაპელი".

ჩვენ მიერ პირობითად დაყოფილ მეორე ნაწილში მარსიანი მიმოიხილავს 1990-იან წლების - ირაკლი კაკაბაძის, დიანა ვაჩნაძის, დავით ქართველიშვილის, ლაშა ბუღაძის, დათო ტურაშვილის, ზურა მესხის, ესმა ნოზაძის, ცირა ყურაშვილის, ბესო ხვედელიძის, მადი სერგერიაკოვას, აკა მორჩილაძის, შალვა ბაკურაძის, ირმა ტაველიძის, თინიკო ხუტურაძის, რუსუდან კაიშაურის და ზაზა ბურჭულაძის ნაწარმოებებს. აქვეა მარსიანის რეცენზია საკუთარ რომანზე "ანამაისი". ყველაზე მეტად ამ "რუბრიკამ" დამაინტერესა და რუბრიკების დაყოფის ამოსავლად ამიტომაც ავირჩიე 90-იანი წლები. ამას გარდა, საკმაოდ ხშირია ამ პერიოდის ავტორებზე აპრიორული მსჯელობა, მაგრამ კრიტი-

კული ანალიზი - იშვიათი. მარსიანის ამ კრიტიკული წერილებიდან გამოვარჩევდი რეცენზიებს ზურა მესხის მოთხრობაზე და მადი სერგერიაკოვასა და ბესო ხვედელიძის ერთობლივ ნიგნზე (რეცენზია, რომელიც ალაგ-ალაგ რიტმული პროზითაა დაწერილი). ამ შემთხვევაში მომეწონა ავტორისეული ხედვის კუთხე (ექსტრატექსტობრივ თუ ნიგნის გარეგან მხარეებზე ყურადღების გამახვილების ჩათვლით).

მარსიანი, საერთოდ, 90-იანელ პოეტებს შემოქმედებითი ინდივიდუალობის ნაკლებობას საყვედურობს; არაერთხელ აღნიშნავს, რომ მათი ნაწარმოებები "ყველას და არავის" სტილითაა დაწერილი, ასე რომ გავრცელდა ბოლო პერიოდის ქართულ პოეზიაში. ინდივიდუალური სტილის საჭიროებას თითქოს ნაკლებად გრძნობენ ახალგაზრდა ავტორები, უმეტესობა ხალხური მითქმელებით "ერთ ჰანგზე გალობს". მარსიანი გამოავლენს ბოლო პერიოდის ტენდენციას ქართულ პოეზიაში: "ტემპერამენტი თუ აღმაფრენა, ნაზი ლირიზმი, ტრადიციული პათეტიკა - მოძველდა თითქოს ეს ყოველი, ცუდ ტონად იქცა და დარჩა ლექსი გაძარცვული და მოწყენილი"... მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვან მიგნებად მიმაჩნია სიტყვა, რომელსაც მარსიანი არაერთხელ იყენებს 90-იანელთა, ამ პოსტ-თაობის მისამართით. ესაა სიტყვა "პოზა", იქნება ეს ნონკონფორმისტული, დემოკრატიული თუ ანტიბურჟუაზიული, თუმცა კრიტიკოსი შორსაა სკეპტიკური დასკვნებისგან. პოზა, თავისთავად, არაგულწრფელობას გულისხმობს, რაც დამლუპველია ლიტერატურისთვის. თვით მარსიანის წერილებში ამ მხრივ

საპირისპირო ვითარებაა. გულახდილობა მისი წერილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირსებაა, რაც ავტორისადმი დადებითად განგანწყობს. აღსანიშნავია ისიც, რომ თვითონ პოეტი და კრიტიკოსი - მარსიანი, ახალგაზრდა მწერლებისადმი კეთილგანწყობილია და შედარებით ნაკლებად მხატვრული ღირებულების მქონე ტექსტებშიც ცდილობს იპოვოს დადებითი. ერთგან თავის, როგორც კრიტიკოსის ავტოპორტრეტს გვთავაზობს: "მე იმათ რიცხვს არ ვეკუთვნი, კრიტიკა რომ თვითკმარი ღირებულების მქონე დარგად მიაჩნიათ და მხატვრულ ტექსტებზე დაყრდნობით თავიანთ კრიტიკულ სისტემებს თუ სტრუქტურებს აგებენ; ფაქობრივად, ეს არის მხატვრული სამყაროს მსგავსი რეალობის შექმნის მცდელობა, ოღონდ თუ მხატვრული ლიტერატურისთვის საშენი მასალა, ძირითადად, ცხოვრებისეული სინამდვილეა, ამგვარი კრიტიკისთვის თვით მხატვრული ლიტერატურა იქცევა საშენ მასალად". მარსიანის წერილებში იგრძნობა მითოლოგიური კრიტიკის გავლენა, თავისი ცნებით აპარატით (არქეტიპები და ა.შ.), რომელიც განსაკუთრებით პოპულარული იყო 1970-80-იანი წლების ქართულ კრიტიკასა თუ ლიტერატურათმცოდნეობაში. მეორე მხრივ, ნიგნში, ზოგჯერ დღეს გავრცელებულ, თითქმის სალიტერატურო ენაში დამკვიდრებულ ჟარგონებსაც შევხვდებით (თინეჯერი, დაფიქსირება), რასაც ქართულ მთლიანობაში და ჟურნალისტურ დისკურსს უნდა "ვუმადლოდეთ".

ზოგადად, კრიტიკა შუამავლის ფუნქციას ასრულებს მკითხველსა და ნაწარმოების ავტორს შორის. ნორთოპ ფრია

საუბრობს სხვადასხვა მიზეზზე, რომელთაც შეიძლება კრიტიკის იგნორირება გამოიწვიოს. ერთ-ერთი მათგანია პოპულარული კულტურა და ის მოსაზრება, რომ კრიტიკა - ხელოვნური, მეორადაა, ხოლო საზოგადოებრივი გემოვნება - ბუნებრივი. ერთგან მარსიანი წერს: "დღეს მწერლები ერთეულებისთვისაა წერენ და ეს ერთეულები ისევე ინტელიგენციის რიგებშია საძიებელი", რაზეც ვერ დავეთანხმები. ვფიქრობ, დასავლეთში უკვე დიდი ხანია ავტორები, მათ შორის ცნობილი ავტორებიც, ორიენტირებულნი არიან მასობრივ მკითხველზე. ერთმნიშვნელოვნად ძნელია ითქვას, ეს ცუდია თუ კარგი, მაგრამ პროცესი, უდავოდ, ჩვენთანაც დაწყებულია. დღეს უკვე ნაკლებსავარაუდოდ მეჩვენება, რომ კრიტიკული შეფასების გამო მომხმარებელმა არ შეიძინოს თავისი საყვარელი ავტორის ნიგნი, აუდიო/ვიდეო კასეტა თუ კომპაქტ-დისკი. ამიერიდან, ალბათ, კრიტიკა თანდათან სახეს შეიცვლის. საფიქრებელია, რომ ამ საკითხშიც კომერციული ინტერესები იქნება განმსაზღვრელი (როგორ გაიხარებდა "კაპიტალის" ავტორი, დღეს რომ ეცხოვრა!), ანუ პროდუქცია მასების გემოვნების შესაბამის სტანდარტებს დააკმაყოფილებს. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მარსიანის "კრიტიკა" სკივრში შენახული ნივთივით მოგვაგონებს "იმ ძველ, კეთილ დროებას". პირიქით, სანამ მწერლები (და ზოგადად, შემოქმედნი) იარსებებენ, მანამ ყოველთვის აქტუალური იქნება თუ, უშუალოდ, მკითხველის არა, მწერლის გემოვნების დახვეწა მაინც, რაც საბოლოოდ ისევე მკითხველის სასარგებლოდ იმოქმედებს.

თარგმანი

ქვეყნიერების უძველესი ამბები



ანდრო ბუაჩიძე

რადიარდ კიპლინგი. სწორედ ასეთი მოთხრობები. მთარგმნელი ანი მოსულიშვილი. "დიოგენე" 2003.

"ჩემო პატარა უსაყვარლესო მეგობარო", ასე იწყებს თავის ერთ საბავშვო მოთხრობას რადიარდ კიპლინგი. მეც ასე დავიწყებ, მხოლოდ

ერთს დავამატებ: გულითადად მეგობრობამ ასაკი არ იცის, ამიტომაც მინდა ჩემს მეგობრებს, პატარებს, მაგრამ დიდი გულის მქონეთ ვამცნო, რომ მათი ნიგნის თაროს ჩემ მიერ უკვე ხსენებული მწერლის მოთხრობების კრებული შეემატა.

ამ მოთხრობებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მოზრდილები და პატარები კითხულობენ. მათ უკვე ისიც იციან, რომ "მაუგლის" გარდა რადიარდ კიპლინგმა არაერთი შესანიშნავი ნაწარმოები შექმნა.

მამ ასე, გადაფურცლოთ ეს ნიგნი.

რაზე გვესაუბრება მწერალი?

"რატომ აქვს ვეშაპს ასეთი ხახა", ასე ჰქვია მოთხრობას, სადაც საუბარია თევზიყლაპია ვეშაპზე. ეს ვეშაპი "ნთქავდა ქამბალესა და ქაფშივებს, ქამაყებსა და ქარიყლაპიებს, სკაროსებსა და სკუმბრიებს". ბოლოს ყველა თევზი რომ გადაყლაპა, ზღვაში ერთადერთი სულდგმულია დარჩა, ამ სულდგმულმა, "ციცქნა და ქვეშეშეშა" თევზმა ვეშაპს ურჩია ადამიანის ხორცი გაესინჯა. "გემრიელია?" - ჰკითხა ვეშაპმა - "სასიამოვნო,

მაგრამ ძნელად მოსანელებელი". - უპასუხა თევზმა. მართლაც, უტყუარი გამოდგა თევზის წინასწარჭერება - ვეშაპმა ადამიანიც გადასანსლა, მაგრამ ამას არცთუ სასურველი შედეგი მოჰყვა. ადამიანმა ვეშაპის სტომოქში ისეთი ამბები დაატრიალა, რისი წარმოდგენა ყველაზე დიდ ფანტაზიორსაც კი გაუჭირდებოდა.

ეს ადამიანი ირლანდიელი მეზღვაური გახლდათ. მან აიძულა ვეშაპი მშობლიური ნაპირებისკენ აელო გეზი. როცა ნაპირზე ფეხი დადგა, მინისაკენ მოკურცხლა, ვეშაპს კი პიროში თავისი ხელით გამოთლილი ცხაური ჩაუტოვა: "და აი, სწორედ ამიტომ ვერ ყლაპავენ დღესდღეობით ვეშაპები კაცებს, ბიჭებს და პატარა გოგონებს".

იქნებ იმანაც დააინტერესოს პატარა მკითხველი, თუ როგორ შეიძინა აქლემმა კუზი? ცხენი, ძალი და ხარი გამუდმებით სთავაზობდნენ აქლემს სამუშაოს, თითქოს უნდოდათ უქნარობისგან დაეხსნათ იგი და ამავე დროს ხელის წამველებსაც სთხოვდნენ. მაგრამ ნურას უკაცრავად! აქლემი ყურსაც არ იბერტყავდა და თან

გაიძახოდა, კუზი, კუზიო. ისე აიხირა ეს სიტყვა, რომ საბოლოოდ ჯადოქარმა უქნარობისთვის დასაჯა და კუზით "დააჯილდოვა".

ჩემო პატარა უსაყვარლესო მეგობარო! რას აღარ შეხვდები ამ ნიგნში. აქ ხომ ათასგვარი ამბებია მოთხრობილი. ეს ამბები სამყაროს უძველეს და უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება, სათაურებიც შესაბამისად შეურჩევია მწერალს: "როგორ იშოვა მარტორქამ ასეთი ტყავი", "რატომ აქვს ლეოპარდს ლაქები", "როგორ დაინერა პირველი წერილი", "როგორ შეიქმნა ანბანი" და ა.შ.

მე, რა თქმა უნდა, არ მინდა წინასწარ მოვუთხრო მომავალ მკითხველებს ამ ნიგნში მოთხრობილი ამბები. უბრალოდ, ნაკითხვამდე ჩემს შთაბეჭდილებებს ვუზიარებ და თუ მოთხრობას ზოგჯერ ბოლომდეც ვყვები, ეს იმიტომ, რომ თავს ველარ ვიკავებ ან სხვაგვარად რომ ვთქვა, ენა წინ მისწრებს და მაიძულებს ჩემი გრძნობა მკითხველსაც გადავდო.

ჰო, მართლა, მე უკვე ორი ამბავი მოგყვები, ის კი დამავიწყდა მეთქვა, რომ რადიარდ კიპლინგის

მოთხრობილი ამბები ლექსებით ბოლოვდება. ალბათ, იციან პატარებმა - კიპლინგი პროზაიკოსთან ერთად შესანიშნავი პოეტიც იყო. ამიტომაც კარგი იქნებოდა, ეს ლექსები უკეთესად აჟღერებულიყო ქართულ ენაზე. ისე კი არ გამიგოთ, თითქოს მთარგმნელის კეთილშობილ საქმიანობას უმადური მუშტარივით ვეპყრობოდე. არა, რა თქმა უნდა! უბრალოდ, იმას ვამბობ, რომ კიპლინგისეული ხელწერა პროზაულ ნაწილში უფრო მეტად იგრძნობა, ვიდრე პოეტურში.


"მას შემდეგ, როცა ზღვა გაანჩხლდება, / გემის სარკმლებს მწვანედ დაბინდავს, / ხოლო ხომალდი აფარფატდება, / ველარ გაიგებ, საით წაგიყვანს". ეს პირველი სტროფია იმ ლექსისა, რომელიც ვეშაპის ამბავს ახლავს. თარგმნილი ლექსის ხარვეზი მაშინ იჩენს თავს, როცა სარიტომო სიტყვები არ თანხვდება ერთმანეთს, ან, უბრალოდ რომ ვთქვათ, რითმა არ ჟღერს. ასეა ჩვენს შემთხვევაშიც. "განჩხლდება" და "აფარფატდება" და შესაბამისად - "დაბინდავს"

E7 გვარდიანე

და "ნაგყვანს" რითები არ არის. ეს მით უფრო თვალსაჩინოა, რომ პროზაულ ნაწილში არა ერთი და ორი პასაჟია კარგად თარგმნილი.

მშვენიერი მოთხრობაა "სპილოს შვილი". "დიდი, ძალიან დიდი ხნის წინათ, სპილოს, ჩემო უსაყვარლესო, ხორთუმი არ ჰქონდა. მხოლოდ ერთი მოშავო, ოდნავ ამობურცული, ღილივით ცხვირი გააჩნდა, ისეთი პატარა, რომ ვერც აქეთ გაიქნევადა, ვერც იქით და ვერც ვერაფერს აიღებდა იმით". - წერს კიპლინგი.

ამ პატარა სპილოს კიდევ ერთი თვისება ჰქონდა: მოულოდნელ და ზოგჯერ უადგილო შეკითხვებსაც სვამდა. ერთ-ერთი ასეთი შეკითხვა ნიანგს ეხებოდა. პატარა სპილუკა აღმა და დაღმა დაეხეტებოდა და გულმოდგინედ ეძებდა ნიანგს. გზად ვინც შეხვდებოდა, ყველას ეკითხებოდა, რომელია ნიანგი? სად არის ნიანგი? ეს ხომ არ არის ნიანგი? ამ კითხვებით მიაღწა იგი მდინარის ნაპირს, სადაც ნიანგი დაცურავდა. "ამ მიდამოებში ნიანგი ხომ არ გინახავთ?" - ასე შეეხმინა სპილო, უშუალოდ, ნიანგს, რომელმაც ზრდილობიანადვე უპასუხა, მაგრამ ამავე დროს ცხვირში, ე.ი. იგივე ხორთუმი სტაცა პირი.



დიდხანს ექაჩებოდა ნიანგი სპილოს და ცხვირის ნაცვლად სწორედ ასე შერჩა სპილოს ხორთუმი. ერთხანს იგი ამ ნაგრძელეული ცხვირის დამოკლებას ელოდა, მაგრამ ამაოდ.

ჩემო პატარა, უსაყვარლესო მეგობარო, იქნებ იმის შესახებ მაინც გსმენია რამე, თუ რატომ აქვს ლეოპარდს ლაქები? იმიტომ, რომ ეთიოპელმა დაადო თავისი ხუთი თითი და იმისი ანაბეჭდებია. ეს ანაბეჭდები შეუმჩნეველს ხდის ამ ცხოველს და მტრის თვალთაგან იფარავს. დიხააც ასეა. ავ თვალს კი მუდამ უნდა ერიდოს ყველა სულდგმული.

"სწორედ ასეთი მოთხრობები", ასე ჰქვია რადიარდ კიპლინგის ნაწარმოებების კრებულს. ამავე ავტორის ნახატებია გამოყენებული მოთხრობაში "როგორ შეიქმნა ანბანი". კოტე სულაბერიძის ილუსტრაციები არაჩვეულებრივად ზუსტად გადმოგვცემს მოთხრობათა პერსონაჟების სახეებს. სპილოს, ბეჰემოტის, კენგურუს, ნიანგის, ლეოპარდის, აქლემის, პეპელას (რომელიც ფეხებს აბაკუნებდა) ყოველი მოძრაობა, ყოველი მიმოხრა, ელფერი და განწყობა კარგად აღბეჭდა მხატვარმა. პატარა მკითხველი მადლიერი დარჩება ანი მოსულიშვილისა.

პოლიტიკა, კულტურა, რელიგია

ინტელიგენტ-ინტელექტუალთა ყოფიარების აუტანელი სიმსუბუქე



სოსო ტახუცაძე

საზოგადოება და პოლიტიკა IV. მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი 2002.

წელიწადნახევრის წინ კავკასიურ ინსტიტუტში გაიმართა სემინარი, სადაც ინტელიგენციისა და ინტელექტუალთა წარმომადგენლებმა იმსჯელეს თემაზე - "ძველი ინტელიგენცია და ახალი ინტელექტუალები". აღმანახ "საზოგადოება და პოლიტიკის" მეოთხე ნომრის ძირითად ბირთვს სწორედ ამ სემინარის მასალები წარმოადგენს, რომელიც ტრადიციული ფორმებითაა გამოქვეყნებული: წინასწარ მომზადებულ მოკლე მოხსენებებს მოსდევს დისკუსიაში გამომსვლელთა მოსაზრებები. წინათქმამი ისიცაა აღნიშნული, რომ მონაწილეთა უმრავლესობას თავიანთი გამოსვლების ტექსტები აღარ მიუწოდებია აღმანახისათვის და, სამწუხაროდ, ეს ნაწილი არასრუ-

ლია. მაგრამ კარგი ისაა, რომ კრებულში შესული ყველა მასალა, როგორც იტყვიან, სულმოუთქმელად იკითხება და თუ ეს გადაჭარბებდა მოგეჩვენებოდა, თავადვე გადაამოწმეთ. ეს არის პირველი მცდელობა ამ მეტად წინააღმდეგობრივი და მნიშვნელოვანი პრობლემის სისტემური განხილვისა და, სხვა რომ არაფერი, ამგვარი კვლევებისადმი ყურადღების მიქცევა ამიტომაც ღირს.

აღმანახი საკმაოდ სოლიდურია, სამასამდე გვერდს შეადგენს და, ცხადია, ყველა სტატიის მიმოხილვას ვერ შევძლებ და ვერც მიზნად დავისახავ, ამიტომ ვერ მხოლოდ ნაშრომთა ჩამონათვალს შემოგთავაზებთ. პირველ ბლოკში წარმოდგენილია გია ნოდის, რისმაგ გორდეზიანის, ზურაბ ჭიაბერაშვილის, ზაზა შათირიშვილის და დათო ზურაბიშვილის სტატიები. აქვეა დისკუსია აღნიშნულ თემაზე, რომელშიც მონაწილეობენ მარინა მუსხელიშვილი, გია არემიძე, ივლიანე ხაინდრავა და გია ნოდია. მეორე ბლოკი - "დასავლური დისკუსია ინტელექტუალებზე" - გვამცნობს 1998 წელს გერმანიაში პიპერის გამომცემლობის მიერ დასტამბულ "ფართოდ გავრცელებულ მცდარ წარმოდგენათა ლექსიკონიდან" მოტანილ სიტყვა-სტატიას "ინტელექტუალები", რომელსაც ორი ავტორი ჰყავს - ვალტერ კრემერი და გიოც ტრენკლერი. ისინი ეჭვის თვლით უყურებენ ინტელიგენციისა და ინტელექტუალების, როგორც საზოგადოების მიმართულებათა განმსაზღვრელების პრეტენზიას; სტატიის ავტორები ცდილობენ დაამსხვრიონ მათი მორალური აღმატებულების მითი და ამ სოციალური ჯგუფი-

დან უფრო მეტ ხიფათს ელიან. აქვეა ნიკოლაი ბერდიაევის ჩვენთვის უკვე ცნობილი სტატია "ფილოსოფიური ჭეშმარიტება და საინტელიგენციო სიმართლე". მას მოჰყვება ინტელექტუალებზე კლასიკური სოციოლოგიური გამოკვლევის ავტორის - ლუის ქოზერის "იდეების ადამიანები", სადაც იგი დიდი სიმპათიით, მაგრამ ამავე დროს მეცნიერის ფხიზელი თვლით უყურებს და აფასებს ინტელექტუალებს. უნგრელი მწერლის, დიერ კონრადის წიგნი "ინტერპოლიტიკა", რომლის ნაწყვეტიც ("სახელმწიფო ძალაუფლება და სულის ძალაუფლება") აღმანახშია შესული, - წარმოაჩენს ჩვენი საზოგადოებისთვისაც კარგად ნაცნობ იდეას იმის თაობაზე, რომ პატიოსანი ინტელიგენტი პოლიტიკას არ უნდა გაეკაროს. საინტერესო დაკვირვებებს გვთავაზობს ავთო ჯოხაზე "რელიგია და სახელმწიფო"-ს რუბრიკით დასტამბულ წერილში "სიკვდილი ბიზანტიურად", სადაც ავტორი აანალიზებს ეკლესიის როლს ქართული სახელმწიფოებრიობის სხვადასხვა ეტაპზე. წიგნებს (ედვარდ ჰელეტ კარი - "რა არის ისტორია?" და Theodor Hanf and Ghia Nodia. Georgia Lurching to Democracy. From agnostic tolerance to pious Jacobinism: Societal change and peoples' reactions. - Baden-Baden: Nomos Verlag, 2000) მიმოიხილავენ დავით ლოსაბერიძე და ზაზა შათირიშვილი. დაბოლოს, რუბრიკა "ხედვის კუთხე", გვაცნობს ქრის ჰანის გამოკვლევას "ეთნიკურობა, ენა და პოლიტიკა ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში", რომელიც ჩვენი ნათესავი ლაზების ეთნიკური იდენტობის საკითხს


ეხება. ამავე რუბრიკაშია ბელგიელი პოლიტოლოგის, ბრუნო კოპიტერის სტატია, რომელიც მეტად აქტუალურ თემას - ქართველი და აფხაზი ინტელიგენციის როლს ეხება აფხაზეთის კონფლიქტის გაჩაღებაში.

აი, თითქმის მთლიანად და პატიოსნად გადმოვიწერე მთელი წინათქმა, რომელიც სრულწარმოდგენას შეგიქმნით ალმანახის თემატურ და პრობლემურ სიფართოვეზე, მაგრამ, როგორც აღვნიშნე, უფრო "ცოცხალი" თემაა ჩვენი ძველი და მუდამ ჩვენთანა მყოფი ინტელიგენციისა და ასევე ძველი და ახალი ინტელექტუალების ურთიერთობისა და ურთიერთმიმართების საკითხი. ამ "ძველისა" და "ახლის" ტრადიციული ჩანაცვლების ანუ პარადიგმის რეალური ცვლის საეჭვოობა გია ნოდის სტატიის სათაურშივე გამოსჩანს: "ძველი ინტელიგენცია და ახალი ინტელექტუალები საქართველოში: პარადიგმის ცვლა?" ავტორი ყურადღებას მიაქცევს "შეუიარაღებელი" თვალისთვისაც აღქმად და შესამჩნევ სიტუაციას - რომ საქართველოში ჩამოყალიბდა რეალური წყვეტა, დაპირისპირება ძველსა და ახალ ინტელიგენციას, ან, სხვა სიტყვებით, ძველ ინტელიგენციას და ახალ ინტელექტუალებს შორის. ამ წყვეტას რამდენიმე განზომილება აქვს. "ძველებსა" და "ახლებს" აქვთ განსხვავებული დისკურსი. ისინი მკვეთრად განსხვავდებიან თავიანთი ინსტიტუციური გარემოთი, ეკონომიკური და პოლიტიკური ორიენტაციით. შემდეგ ავტორი ჩამოთვლის ძველი ინტელიგენციის ტიპურ ინსტიტუტებს - ტრადიციულ აკადემიურ დაწესებულებებს, შემოქმედებით კავში-

რებს და სახელმწიფო დიქტატურაზე მყოფ ყურნალ-გაზეტებს. ახალი ინტელექტუალები, ძირითადად, გამაგრებულნი არიან არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ახალ, საბაზრო პრინციპებზე დამყარებულ მედიაში. "ძველები" ეკონომიკურად ისევ სახელმწიფოსაგან ელიან შევლას, "ახლები" კი გრანტებზე ჰკიდებიან. "ძველებმა" უფრო რუსული იციან, ახლებმა - ინგლისური. "ძველები" შევარდნაძეზე არიან ორიენტირებულნი, ახლები - ყვანია-სააკაშვილზე. ახლები ტერმინოლოგიურადაც ემიჯნებიან "ძველებს": თუ ეს უკანასკნელი ამაყად ატარებენ "ინტელიგენციის" საპატიო ნოდებს, "ახლებს" უყვართ იმის ხაზგასმა, რომ ინტელიგენცია ტიპოლოგიურად რუსული მოვლენაა და ამიტომ დასაძლევია და უფარგისი, ხოლო თვით ისინი დასავლური ტიპის ინტელექტუალები არიან.

მე, რასაკვირველია, სიმოკლისათვის ვაუბრალაობ სტატიასში წარმოდგენილ ნიუანსებს, კერძოდ, "ახლების" "ახალ მემარჯვენეებთან" მიმართებას, "ძველების" აბაშიძესთან დამოკიდებულებას და სხვა. გია ნოდია მოკლე ისტორიულ ექსკურსსაც მიმართავს და "შვილებსა" ("თერგდალეულებსა") და "მამებს" შორის ბრძოლასაც იხსენებს და ამბობს, რომ ანალოგიის წესით "ახლებს" შეიძლება "პოტომაკდალეულები" ვუნოდოთ ვაშინგტონში ჩამომავალი მდინარის სახელით. ამავე პრინციპიდან გამომდინარე, შესაძლებელი ხდება მაშინდელ "შვილებსა" და დღევანდელ "ახლებს" შორის სტრუქტურული მსგავსების აღმოჩენა: ორივენი უტყვენ რიტუალური და რომანტიკული

ჭეშმარიტი რწმენის სასწაული



მიქაელ ირემაძე

ქ.ს. ლუისი, "უბრალოდ ქრისტიანობა", მთარგმნელი: ზეინაზ სარაძე, გამომცემელი: "მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი", თბილისი, 2002.

ქლაივ ლუისი უაღრესად ავტორიტეტული ლიტერატურათმცოდნე (ოქსფორდისა და, შემდეგ, კემბრიჯის პროფესორი) და ერთობ უჩვეულო ფანტაზიის სახელმწიფოებრივი ბელეტრისტი იყო. მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, XX საუკუნის დიდი მსოფლმხედველობრივი ომების ისტორიაში დაიკვიდრა ადგილი, როგორც ქრისტიანობის დაუღალავმა აპოლოგეტმა - რწმენის ყველაზე უდრეკი და უანგარო რაინდების ღირსეულმა მემკვიდრემ. ალბათ, ნიშანდობლივია, რომ მისი თანამემამულის, თავისი დროისთვის უაღრესად "პროგრესული", ათეისტური სარკაზმის ნაპერკლებით მოელვარებერტრან რასელის მქუხარე სახელი (რაც გინდა თქვი და, ეს ფილოსოფოსი 1950 წლის ლიტერატურული "ნობელის" ლაურეატი იყო) XX საუკუნის დასრულებამდე კარგა ხნით ადრე თითქმის გაქრა სააზროვნო სივრციდან, ხოლო ძველმოდური და "გულბრყვილო" ქ.ს. ლუისის მნიშვნელობა კი სულ უფრო იზრდებოდა და, ყველა ნიშნით, კიდევ გაიზრდება.

ეს მნიშვნელობა კი ორმა ფაქტორმა განსაზღვრა - ქრისტიანობის მდგომარეობამ ტექნიკური ცივილიზაციის ეპოქაში და ავტორის პიროვნებამ.

XX საუკუნეში ქრისტიანობამ კონფესიებად დაქსაქსულმა შეაღწია. თავისთავად, დაყოფა და მძაფრი დაპირისპირება კი დიდი უბედურება არ იქნებოდა, ეს ჭეშმარიტებისკენ მსწრაფველ სულთა უკომპრომისო, მაგრამ კეთილმოსურნე კამათი რომ ყოფილიყო. სამწუხაროდ, ასეთ ვითარებაში ყველაზე ადრე სწორედ ჭეშმარიტებას ივიწყებენ ხოლმე. დროის მოტანილ რეგიონულ ან კულტურულ თავისებურებებს ეწირება მარადიული, ჩვეულებით დეტალებს - არსი. ჭეშმარიტების სავალალოდ, სჯულისკანონის გუშაგები მზად არიან ქრისტიანობის "სინმინდის" დასაცავად დაივიწყონ... ქრისტე (სწორედ ამ მიზეზის გამო სურდა დოსტოევსკის დიდ ინკვიზიტორს კიდევ ერთხელ მიესაჯა სიკვდილი ამქვეყნად ხელახლა მოსული იესოსათვის); მკვდარი წესების კრებულთა ჩაანაცვლონ ცოცხალი რწმენა, ისე, რომ არც გაახსენდეთ, რატომ სძულდა მაცხოვარს ფარისეელები.

რიტუალების ფარისევლური გაფეტიშების დიამეტრულად საპირისპირო პოლუსზე კი მოქცეულია რელიგიის მეორე უბოროტესი მტერი - კეთილმოსურნე ურწმუნო ინტელექტუალთა გულწრფელი მცდელობა ჭეშმარიტური იგავებისა და მაღალეთიკური ნორმების ერთგვარ კრებულად წარმოგვიდგინონ ქრისტიანობა. ეს ადამიანები სინანულს მხოლოდ იმ მიზეზით გრძნობენ, რომ დღევანდელი სირთულეებთან ბრძოლაში ფსიქოთერაპიულ საშუალებად და სოციალურ მედიატორად ესოდენ გამოსადეგი ინსტრუმენტი (თუ მედიკამენტი) ერთიანად სასწაულებზე დაფუძნებული სამინლად არქაული რელიგია და არა რაციონალიზმის მოთხოვნებით აგებული თანამედროვე მოძღვრება. ილუზიები არ უნდა გვექნდეს: ეს "მოქნილი" და შემწყნარებელი ლიბერალური შეზღუდულობა უკვე ძნელი დასაძლევია და ქრისტიანობის არსის იხვევ დაცილებულია, როგორც ფარისევლთა აგრესიული რიტუალური ფანატიზმი.

ასეთ ვითარებაში, ქრისტიანობის საერთო პრინციპების ქადაგება არა სასულიერო პირის, არამედ ინტელექტუალი ერისკაცის, სამწყსოს რიგითი წევრის მიერ იმით აღმოჩნდა მნიშვნელოვანი, რომ ქლაივ ლუისი კარგად ხედავდა კონფესიათა შორის განოლილ ნაპრალებს (ხშირ შემთხვევაში, ნამდვილ უფსკრულებს!) და არასოდეს მიუფუჩჩებია რიტუალური და, მით უფრო, დოგმატური განსხვავებების მნიშვნელობა (თვით ლეთისშობლის თავანისცემაშიც კი, რაც მართლმადიდებლობისა და კათოლიციზმის, არა უბრალოდ სამკაულს, შეიძლება ითქვას, ხელისგულს წარმოადგენს, და რაშიც პროტესტანტები პოლითეიზმის ალორძინების საფრთხეს ხედავენ). ქ.ს. ლუისი ანგლიკანური ეკლესიის წევრი იყო და ანიდან ჰოემდე იღებდა როგორც მის მრწამსს, ისე რიტუალურ თავისებურებებს. ის იყო უაღრესად მორჩილი ქრისტიანი და აზრად არ მოსდიოდა, გონების ლაბორატორიაში ემოციები რწმენის მონაცემები.

და ყველაფერ ზემოთქმულის მიუხედავად (უფრო კი, სწორედ ამის წყალობით) ქლაივ ლუისმა ისიც თვალნათლივ დაგვანახა, რომ, თუკი ნამდვილი ქრისტიანი ხარ, "მშობლიური" კონფესიიდან ყველაზე დაშორებული დენომინაცია კი, რომელიც ქრისტეს ღმერთობას აღიარებს, უკვე მხოლოდ ამ ფუძემდებელი მიზეზის გამო ათასჯერ უფრო ახლობელი ხდება შენთვის, ვიდრე ყველა სხვა ნიშნით, - ეთიკურად, მსოფლმხედველობრივად ან თუნდაც რიტუალურად (ცნობილია, მაგალითად, რაოდენ დიდი გავლენა მოახდინა მუსულმანობამ კოპტებზე, ტაძარში თავდაპირველი და ფეხშიშველნი რომ შედიან), - შენს კონფესიასთან ყველაზე ახლოს მდგომი სხვა რელიგია.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქ.ს. ლუისს შესანიშნავად ესმოდა - ქრისტიანობის ეს საერთო საფუძველი მხოლოდ მოსამზადებელი ეტაპი, ერთგვარი მოსაცდელი ჰოლია, საიდანაც ნეოფიტებმა კონფესია უნდა აირჩიონ, თავ-თავის ოთახში (დენომინაციაში) შევიდნენ; რომ "ჰოლი მოსაცდელი ადგილია, აქედან შეიძლება ამა თუ იმ ოთახში შესვლა, მაგრამ საცხოვრებლად არ ვარგა. სწორედ ოთახებშია ბუხარიც, სკამებიც, საჭმელიც. ამ აზრით, ყველაზე ცუდი

ოთახიც კი ჰოლს სჯობია"; და რომ, უმთავრესია ახალმოქცეულმა ქრისტიანმა აღმსარებლობა იმის გამო კი არ აირჩიოს, რომ ოთახის მორთულობა მოენონა (ტაძრის მხატვრულმა გაფორმებამ ან რიტუალებმა მოხიბლა) ან წესებისკენ გაუნია გულმა ან კიდევ მღვდელმსახური ესიპათიურება, არამედ ერთადერთი მიზეზის გამო: სწორედ აქ, - ამ ოთახში, ამ კონფესიაში, - ხედავს იგი ჭეშმარიტების სისავსეს.

ადამიანისთვის, ვინც თავისი ეკლესიის შვილად ბრმად და გაუცნობიერებლად კი არა, სწორედ ცნობიერი და მყარი პოზიციის გამო რჩება, არა უბრალოდ მისაღება, შეიძლება ითქვას, ქცევის ერთადერთ შესაძლებელ წესს გამოხატავს ავტორის სიტყვებით: "თქვენს ოთახში რომ შეხვალთ, კეთილი იყავით იმის მიმართ, ვინც სხვა კარი შეაღო (ე.ი. სხვა აღმსარებლობის მიმდევარი გახდა, - მ.ი.) და იმათ მიმართ, ვინც ჯერ კიდევ ჰოლშია. თუ ისინი ბოროტნი არიან, თქვენი ლოცვა მათ უფრო სჭირდებათ. თუ თქვენი მტრები არიან, ნაბრძანები გაქვთ მათთვის ილოცოთ. ეს ერთი იმ წესთაგანია, რომელიც მთელი სახლისთვის საერთოა".

თუ კაცს სჯერა, რომ ჭეშმარიტებაში მყოფობს, სხვაგვარად არ უნდა იქცეოდეს, რადგან შეუწყნარებლობა და სიძულვილი მხოლოდ ავი ზნის ან, კიდევ უარესი, ფუნდამენტური ურწმუნობის გამოვლენა იქნებოდა.

ქლაივ ლუისმა თვითონ იცხოვრა ნამდვილი და ურყევი ქრისტიანის ცხოვრებით. იშვიათია ადამიანი, რომელსაც ასე უდრტვინველად, მოვალეობის ასეთი მეგნებით და მზადყოფნით მიეღოს ტანჯვა. ერთადერთი მაგალითით შემოვიფარგლები: მან მხოლოდ 60 წელს მიღწეულმა იქორწინა და ცოლად მოიყვანა ძვლის კობით დაავადებული ქალი, რომელიც ახლო მომავალში ტანჯვით სიკვდილისთვის იყო განწირული. და ეს ჩაიღინა არა სენტიმენტალური "კეთილშობილების", არამედ სწორედ სიყვარულის გამო. საერთოდ კი, XX საუკუნის ცნობილ სახელებში ძნელია მოიძებნოს ბიოგრაფია, რომელშიც ესოდენ მცირე დოზით იყოს სიამოვნება და ესოდენ უხვად ჭეშმარიტი სიხარული მთელ არსებობასა და სამყაროს კიდითკიდემდე რომ ავსებს. და ეს სიხარული ღმერთის არსებობის ყველაზე უტყუარ ნიშნად მიაჩნდა ქლაივ ლუისს.

კონფესიებად დანაწევრებულ ქრისტიანობაში იმდენად ცოტაა გამაერთიანებელი სახელი, რომ ამაზე სულ უმნიშვნელო მინიშნებაც კი სიხარულს იწვევს. მაგალითად, გასულ საუკუნეშივე ერთი ურყევი მართლმადიდებელი მოითხოვდა, რუსეთის ეკლესიას თავის წმინდანადაც ელიარებინა ფრანცისკ ასიზელი.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლო მომავალში ქლაივ სთეიფლ ლუისის სახელი გამაერთიანებელ ძალად იქცევა ქრისტიანული კონფესიებისთვის - ჯერ კიდევ გადამტერებული ძმებისთვის. ხოლო მანამდე ყველაზე ორთოდოქს მართლმადიდებლებსაც კი შეუძლიათ თამამად იკითხონ "უბრალოდ ქრისტიანობა" - ურყევი ანგლიკანის მიერ დანერგილი ეს წიგნი მხოლოდ ქრისტიანობის არსში წვდომას კი არ გაუადვილებს მათ, არამედ სწორედ მართლმადიდებლობაში განამტკიცებს... ასეთია ჭეშმარიტი რწმენის სასწაული.

ხოლო ჩვენ, ამ უაღრესად სასარგებლო წიგნის მკითხველებს ისლა დაგვრჩენია, გულითადი მადლობა ვუთხრათ ზეინაზ სარაძესა და "კავკასიურ ინსტიტუტს" მისი გადმოქართულებისა და გამომცემისთვის.



ინტელიგენტ-ინტელექტუალთა ყოფიარების აუტანელი სიღსუბე

EB გვარდიონა

პატრიოტიზმისა და პოლიტიკური კონფორმიზმის შეხამებას, რომელიც ძველებს ახასიათებს. ამგვარ უკრიტიკო პატრიოტიზმს ახლები ანუ თერგ-პოტომაკდალეულები უპირისპირებენ საკუთარი ერის გამათრახების, მისი ფურთხის ღირსად ჩათვლის პათოსს, და მონინავე დასავლურ სიბრძნეზე დამყარებულ სოციალურ-პოლიტიკურ აქტივიზმს მოითხოვენ. მოკლედ, ძველად, რუსულ უნივერსიტეტებში განსწავლულ და ახლა ევროპა-ამერიკულ უნივერსიტეტებში განსწავლულ ან იმავე ევროპა-ამერიკული ფულით ჩატარებულ ტრენინგებზე ნავარჯიშევ "ახლებს" შორის პრინციპული სხვაობა არ არის.

ამ პირველი რიგის განყოფილება-განწევლების შემდეგ, გია ნოდია ჩაღრმავებით ჩასდევს საკითხს და ინტელიგენციასა და ინტელექტუალებს შორის ფუნდამენტური განსხვავებებიც ხელზე შემოადნება. ინტელიგენტის სოციალური ძირების მოჩხრეკვისას ავტორი სასულიერო პირებს - მღვდელსა და ქურუმს გამოქეპავს და ინტელიგენტიც მათ მოდერნულ ექვივალენტად ესახება; ოღონდ, თუ სასულიერო პირი ტრადიციიდან მომდინარე სიბრძნის მატარებელია, ინტელიგენტი განმანათლებლობის შვილია.

შემდგომ გია ნოდია მოიხმობს ინგლისელი ისტორიკოსის პოლ ჯონსონის ცნობილ წიგნს, რომელსაც "ინტელექტუალები" აქვს სათაურად და სადაც იგი სარკასტულად აღწერს ევროპულ ინტელექტუალებს, მათ შორის - ჟან-ჟაკ რუსოს, პერსი-ბიში შელის, კარლ მარქსს, ლევ ტოლსტოის, ერნესტ ჰემინგუეის, ჟან-პოლ სარტრს და სხვებს. მოკლედ, გია ნოდიასული "ინტელიგენციისა" და პოლ ჯონსონისული "ინტელექტუალის" განსაზღვრება, არსებითად ემთხვევა ერთმანეთს და ასე ჟღერს: "ეს ის ხალხია, ვინც თვლის, რომ სამყაროს (საზოგადოების) რეცეპტს ფლობს და ამის საფუძველზე მეტ-ნაკლებად უპირისპირდება იმ სამყაროს წესებსა და ღირებულებებს, რომელშიც ცხოვრობს". გამოდის, რომ როგორც ინტელიგენტები ეფლირტებთან ჭკვიან მეფესა და ხელისუფლებას, ინტელექტუალებიც ასევე კეკლუცობენ თავისი გამიჯვნა-ჩახუტებებით ძალაუფლებასთან და ამის დასტურად გიას ალბერ კამიუს სიტყვები მოჰყავს, ძალაუფლებისადმი ინტელექტუალების ლტოლვის თაობაზე რომ უთქვამს ფრანგ ინტელექტუალს: "ყოველი ინტელექტუალი ოცნებობს, განგსტერი იყოს და ძალადობის გზით იბატონოს ადამიანებზე".

ერთი სიტყვით, ამ სტატიის ანალიტიკოსი მკითხველი ნამდვილად მოიხრბობს გზას ნამოჭრილი პრობლემური საკითხებისაკენ და ავტორიც სწორედ ამ მიმართულებით ფიქრისათვის გვგვაშვებს.

საგულისხმო ექსკურსს

გვთავაზობს ბატონი რისმაგ გორდენიანი წერილში "ინტელიგენციის და ინტელექტუალთა შესახებ". საზოგადოების ის ფენა, რომლისთვისაც გონებრივი, შემოქმედებითი შრომაა დომინანტური, ევროპული კულტურის ისტორიაში ჯერ კიდევ ძვ.წ. VIII საუკუნეში ჰომეროსთანაა დაფიქსირებული და საკმაოდ მკაფიოდაც. "ოდისეას" მიხედვით პოეტები, წინასწარმეტყველები, ექიმები, ხუროთმოძღვრები, შიკრიკები წარმოადგენენ საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც ხალხს სჭირდება და რომელსაც ხალხი პატივს მიაგებს. ჰომეროსი მოკვდავთა ამ ფენას განმაზოგადებელი ტერმინით დემიურგოსი (=დემიურგი) აღნიშნავს, რაც შეიძლება გააზრებულ იქნას როგორც "ოსტატი, შემოქმედი ხალხში ან ხალხისათვის".

ამგვარი ფენის არსებობის საკითხი, როგორც ბატონი რისმაგი აღნიშნავს, აშკარა ყოფილა მთელი ანტიკურობის განმავლობაში.

საკითხის სხვა მხარეა ამ ფენის აღსანიშნავად განმაზოგადებელი სახელწოდების შერჩევა. და აი, XIX ს-ის სამოციან წლებში ამგვარი ტერმინი გამოუნახავს რუს მწერალს პ.ბ. ბობორიკინს და ტერმინ "ინტელიგენციის" გავრცელების წყაროდაც ის ითვლება. ლათინური წარმოშობის ტერმინი რუსეთის წინა პოპულარულ გავრცელებას არა მხოლოდ რუსული გავლენის არეალში მყოფ ქვეყნებში, არამედ დასავლეთ ევროპასა და ამერიკაშიც.

რაც შეეხება ჩვენს სინამდვილეს, ბატონ რისმაგს არამართებულად მიაჩნია "ინტელიგენტისა" და "ინტელექტუალისათვის" ოპოზიციური მნიშვნელობის მინიჭების ტენდენცია. ამ საკითხის ჩაძიებით განხილვის შემდეგ, მეცნიერი გამოაცალკევებს ჩვენს დღევანდელს თუ სახვალეო თავის სატიკვარ პრობლემას: "საქართველოში დღეს შექმნილ ვითარებაში ... მთავარი პრობლემა არა ძველ ინტელიგენციასა და ახალ ინტელექტუალებს შორის დაპირისპირებაა, არამედ წინააღმდეგობა ინტელიგენციის ფორმირების საშუალებათა არნახულ მასშტაბურობასა და ინტელიგენციის რეალური გამოყენების სფეროების თანდათანობით შეზღუდვას შორის. საქართველოში ... რამდენიმე ასეული უმაღლესი სასწავლებლები ფუნქციონირებს... დღეს ამ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს ვითარცა სტუდენტი, და მოღვაწეობს, ვითარცა პროფესორ-მასწავლებელი, ჩვენი ქვეყნის რეალური მოსახლეობის იმდენად დიდი პროცენტი, რაც ნებისმიერი სხვა ქვეყნისათვის აშკარა ანომალიად ჩაითვლებოდა. ამის შედეგები შეიძლება სულ რამდენიმე წლის შემდეგ კატასტროფული აღმოჩნდეს: ქვეყანას ეყოლება უამრავი ე.წ. ინტელიგენტი, რომელთა გონებრივი შრომის მხარდაჭერის არავითარი შე-

საძლებლობა არ იარსებებს. ეს კი გამოიწვევს გონებრივი, ინტელექტუალური შრომის გაუფასურების ინტენსიური პროცესის დაწყებას". ჩემი მხრივ დავძენ, რომ ეს პროცესი უკვე დაწყებულია, რადგან საუნივერსიტეტო კურსის გავლამ რიტუალური ხასიათი შეიძინა და დიდ ვერაფერ შვილ ინტელიგენტებს აცხობს ორლობის უნივერსიტეტთა ქსელი. ამ რიგის ინტელიგენტები, პატივმოყვარეობის დაშოშინების შემდეგ, წარმატებით ართმევენ თავს ელიავას ბაზრობაზე ალებ-მიცემობის ოპერაციებს და, ილუზიებს თავდაღწეულნი, სადავი ყოფის მორევში პოულობენ ასპარეზს. თუმცა, ამ საკითხს საკამათოდ მაინც არ ვაქცევ, რადგან ბატონი რისმაგის მიერ მონიშნული პრობლემა გაბიაბრუებას ნამდვილად არ იმსახურებს და ჩვენ სოციალურ სატიკვართა რიგს განეკუთვნება.

სრულიად კონკრეტულ "მესიჯებზე" დაყრდნობით, ქართულ საბჭოთა ინტელიგენციის ჩამოყალიბებული სტერეოტიპის ანალიზს აკეთებს ზურაბ ჭიაბერაშვილი სტატიაში "Vita activa". ამთავითვე ვიტყვი, რომ ინტელიგენტობის ცნების ჭიაბერაშვილისეულ ანალიზს და მთელ მის პათოსს სრულად ვიზიარებ. ქართული საბჭოთა ინტელიგენტობის არსებობის ფორმა იყო, რაც ყოველთვის იძლევა საკუთარი აზრის დამალვის საშუალებას. მეტიც - დასძენს ავტორი - "მხოლოდ კოლექტიურობა იძლევა საშუალებებს, დამალო საკუთარი აზრების არარსებობა". არ ყოფილა არც ერთი ფაქტი, როდესაც საბჭოთა რეჟიმისათვის კრიტიკულ მომენტში ერთ ან რამდენიმე ქართველ ინტელიგენტს ამოედოს ხმა. ან იყო კოლექტიური დუმილი, ან იყო კოლექტიური ქმედება: ერთობლივი წერილი (თვითმფრინავის საქმე) თუ საერთო-სახალხო მღვდვარება (ენის საკითხი). ქართულ ინტელიგენციას პროტესტის ინდივიდუალურად გამოხატვის არც ტრადიცია აქვს და არც სურვილი. კოლექტიურია მისი ზრუნვის საგანი - კულტურა და ეს იმავე ბუნების კოლექტიურობაა, რაზედაც კოლმეურნეობაა დაფუძნებული. აქედან გამომდინარე, კოლექტივის სახით არსებული ინტელიგენცია ისეთივე ტოტალიტარულია, როგორც პროლეტარიატის დიქტატურა. "მას შეიძლება პროლეტარიატისაგან განსხვავებული აზრი ჰქონდეს, მაგრამ ასევე მოუშადადებელია სხვისი აზრის მოსასმენად და, მით უმეტეს, გასაზიარებლად" - წერს ავტორი.

ყურადსაღებია ზ. ჭიაბერაშვილის მიერ რეფლექსირებული ეთნიკური ნაციონალიზმისა და პროვინციული ფაშიზმის კონოტაციები; ნარცისისტული ინდივიდუალიზმისა და რეპრესიული კოლექტივიზმის ის გამოვლენილები, რომლებიც სპობს სამოქალაქო სივრცის შექმნის შესაძ-

ლებლობას. მაგრამ მკითხველი, ჩვენში ჩამოყალიბებული სტერეოტიპის მიხედვით, ისე ნუ წარმოიდგენს, თითქოს ახალგაზრდა მკვლევარი ზურაბ ჭიაბერაშვილი თავზე ხელს უსვამს ე.წ. დასავლური ტიპის ინტელექტუალებს ანუ, ძირითადად, მაინც თავისი თაობის წარმომადგენლებს: "დემოკრატიის კოლაფსში არანაკლები წვლილი ახალ ინტელექტუალებსაც მიუძღვით, რომელთა დიდი ნაწილისათვის დასავლური გრანტები ისეთივე ტკბილი საწოვარა აღმოჩნდა, როგორც ძველი ინტელიგენციისათვის - ცეკას მდივნის კეთილგანწყობა და ცეხავიკებთან მეგობრობა. და თუ რამე გადმოჰყვით ახალ ინტელექტუალებს ძველი ინტელიგენციისაგან, ესაა სამოქალაქო სიზარმაცე და "შინაგანი ემიგრაციით" ნეტარება". ან: "ახალმა ინტელექტუალებმა ჯერ ვერ მოახერხეს საზოგადოებისათვის იმის ჩვენება, ვინ არიან ისინი. ისინი უფრო იმას ახერხებენ, საზოგადოებას აჩვენონ, ვინ არ არიან ისინი" - წერს ზურაბი და, ვფიქრობ, ასევე ზუსტად აღწერს სიტუაციას, როდესაც ამბობს, რომ ახალი ინტელექტუალები მხოლოდ ძველ ტრადიციას იმეორებენ: "ასე იყო ქრისტიანობა, დღეს ასეა დემოკრატია და ლიბერალიზმი" და, როგორც ყოველთვის, გაუთავისებლად გადმოღებული ხელგნურების და არაბუნებრივობის შთაბეჭდილებას ტოვებს. დაბოლოს, ახალი ინტელექტუალების ტრაგედია ისაა, რომ არც ახლაა vita contemplativa-ს დრო და რომ მათ უწევთ vita activa-თი ცხოვრება - პროექტების წერა, გრანტების მიღება, დემოკრატიის დამკვიდრება და ახალი ქართული სახელმწიფოს შენება. პრობლემაც ისაა - დასკვნის ზურაბ ჭიაბერაშვილი, რომ ინტელექტუალების ყოველ ახალ თაობას საქართველოში სახელმწიფო ისევე ასანყობი, ხოლო ქართული ტრადიცია დასავლურ ღირებულებებთან შესახამებელი ხვდება.

ზაზა შათირიშვილის სტატიის - "მარგინალური კონტრკულტურის ხიბლი" - დასკვნები და, თუ შეიძლება ითქვას, ესენცია თვითონ ავტორსა აქვს შესანიშნავად ჩამოყალიბებული და ამიტომ მის ფართო მიმოხილვას აღარ შეუუდგები. სტატიის ძირითადი თეზისი ასეთია: ინტელიგენცია თავისი არსით პრინციპულად სხვა მოვლენაა, ვინემ ევროპული (საზოგადოდ, დასავლური) "ინტელექტუალიზმი". მის აღმოცენებას რუსეთში საფუძვლად დაედო XVIII ს-ის მარგინალური სასულიერო კულტურა (და არა საუნივერსიტეტო განათლების სივრცე). აქედან ინტელიგენციის მარგინალური ხასიათი. იგი, როგორც კონტრკულტურა, უარყოფს ელიტურ არისტოკრატიულ ეტიკეტს და მას ახალ ქვეით ეტიკეტს უპირისპირებს.

ქართულ ნიადაგზე სასულიერო კულტურა მარგინალური

არასდროს ყოფილა. XVIII ს-ის "ალორძინება" სწორედ სასულიერო წოდების დამსახურებაა. თუკი მარგინალური კულტურა საქართველოში არსებობდა, პირველ რიგში, ეს იყო XVIII-XIX სს-ების თბილისური პლებსის კულტურა.

"თერგდალეულები" და მათი შთამომავლები არ წარმოადგენდენ ინტელიგენციას რუსული გაგებით, ისინი უფრო ევროპულ ინტელექტუალებს ენათესავებიან საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის არქონის მიუხედავად. ქართულმა სინამდვილემ იცის მხოლოდ სტალინიზმის ხანაში დანერგილი ნომენკლატურული ინტელიგენცია (მეცნიერებათა აკადემიის სისტემისა და შემოქმედებითი კავშირების სახით), რომელიც დღემდე არსებობს. ესაა "ძველი ინტელიგენციის" ერთადერთი რელიქტი.

დათო ზურაბიშვილს ("ძველი ინტელიგენციიდან ახალ ინტელექტუალებამდე") სადისკუსიოდ შემოთავაზებული თემა პრაქტიკულ აქტუალობას მოკლებულ საკითხად ეჩვენება და, ძირითადად, ძველ ინტელიგენციაზე საუბრობს. გამოყოფს ქართული ინტელიგენციის სამ მახასიათებელს: პირველი - რომ ეს იყო თავისებური სიმბიოზი ნომენკლატურული ინტელიგენციისა და ე.წ. "პატიოსანი" ანუ "ნამდვილი ინტელიგენციისა". ეს განწავლება, პირველ ყოვლისა, ხელისუფლებასთან სიახლოვის ხარისხის მიხედვით კეთდება. ინტელიგენციის ამ ორ ტიპს შორის ანტაგონიზმი მაინც არ არსებობდა, რადგან არანომენკლატურული ინტელიგენციის "პატიოსნება", მისი გამიჯნულობა კომუნისტური რეჟიმისაგან, უზრუნველყოფილი იყო სწორედ ნომენკლატურული ინტელიგენციის მიერ. სხვაგვარად: ნომენკლატურული ერთგვარი "სახურავის" როლს ასრულებდა.

მეორე და, ალბათ, ძალზე მნიშვნელოვანი: საქართველოს ინტელიგენციის იდეოლოგია იყო მითოპოეტური ნაციონალიზმი. საბჭოთა პერიოდის ქართული ლიტერატურა, კინო, თეატრი მთლიანად გამსჭვალული იყო ამგვარი ნაციონალიზმის სულსკვეთებით. სწორედ მითოპოეტურით, რადგან ეს არ იყო ნაციონალიზმი ჩვეულებრივი, "კლასიკური" გაგებით.

და მესამე: ტიპური ქართველი საბჭოთა ინტელიგენტი შეიძლება დახასიათდეს როგორც კონფორმისტი. შემთხვევითი არ იყო, რომ ქართულ ინტელიგენციაში ნაკლებად იყვნენ პოლიტიკური დისიდენტები. დისიდენტი არღვევდა სიმბიოზური ყოფის თამაშის წესებს. ამიტომ, დათო ზურაბიშვილის აზრით, გამსახურდიასთან დაპირისპირება მოგვიანებით სულაც არ იყო გამოწვეული პირველი პრეზიდენტის იდეოლოგიით. უზრუნველად, გამსახურდიამ უხეშად დაარღვია ერთიანი ჰარმონია სიმბიოზური სისტემის შიგნით.

ზვიად გამსახურდიას ფენო-

მენი სწორედ მითოპოეტურმა ნაციონალიზმმა შვა. შეიძლება ითქვასო, ბრძანებს ბატონი და-თო, რომ გამსახურდია იყო ქართული საბჭოთა ინტელიგენციის "გამოხდელი კვინტესენცია". ეს იყო კაცი, რომელიც შეეცადა ინტელიგენციის იდეოლოგიის - მითოპოეტური ნაციონალიზმის - პრაქტიკულ განხორციელებას. ვერაფერს იტყვი, საკმაოდ სა-გულისხმო მოსაზრებებია ჩვენს

გუშინდლობაზე, მაგრამ ახალი ტალღის ინტელექტუალებზე ავტორი არ მსჯელობს, რადგან ამ პროცესებს ჯერ არ მიუღიათ დასრულებული სახეო. ერთადერთი, რაც დღეს ახალი ინტელექტუალების მახასიათებლად შეიძლება გამოდგეს, ეს არის უკურეაქცია ქართული ინტელიგენციის სტერეოტიპებზე, ერთგვარი პროტესტი მათი იდეოლოგიისა და ცხოვრების წესის მიმართ.

დაბოლოს, შეჯამების სახით, დათო ზურაბიშვილი წერს, რომ დღეს საქართველოში შექმნილია სიტუაცია, როცა ძველი მიდის, მაგრამ ჯერ არ წასულა, ახალი კი მოდის, მაგრამ ჯერ არ მოსულა. ეს განზოგადებული რიტორიკა მშვენივრად აღწერს ჩვენს სადღეისო ვითარებას და სწორედ ამიტომაცაა საჭირო და აუცილებელი ინტელიგენტთა (რომ-

ლის იმედი აღარ მაქვს) და ინტელექტუალთა (რომელთა იმედი ჯერ არა მაქვს) ძალისხმევას. ალმანახის სადისკუსიო ბლოკიც ადასტურებს, რომ ამ (და არამხოლოდ "ამ") პრობლემების წამოწევა და მათზე რეფლექსირება აუცილებელია და საჭირო, რადგან იგი ხელს უწყობს ჩვენში უკვე ყბადაღებული სამოქალაქო საზოგადოე-

ბის ფორმირებას, ჩვენი მენტალური სივრცის ნახნაგთა რამენაირად შეცვლას და აქ ასპარეზი ისევე ჭკუასა და გონებას უნდა დაეთმოს. ასე რომ, სამკალი, მართლაც, ფრიად არს და მომკელსაც არ უნდა მოვისაკლისებდეთ ჩემი აზრით. სწორედ ისინი უნდა იყვნენ "ბრძენნი და მძენნი", ანუ ანდაზისეული სიბრძნის მიმდევარნი, ჯერ გადახტი და "ჰოპლა" მერე დაიძახე!

ნარსული

"მაგრამ ნოე ვერ იყო კაი კაცი"

ჭულიან ბარნსი, "მსოფლიოს ისტორია 10 1/2 თავად"



ბისა. ბატონი ბარნსის უფრო ადრეული ნაწარმოების "ფლობერის თუთიყუშის" მთხრობელი, სულ სხვაგვარად სვამს გამოგნებულ კითხვას - "ვითარდება და წინ მიიწევს მსოფლიო? თუ მხოლოდ ბორანივით მიდმოდის წინ და უკან?".

გამეორებების, გადანაცვლებებისა და კომბინაციების პრინციპის გამო, გარდაუვალია, რომ ბატონი ბარნსის ზოგიერთი ნაკვთი უფრო წარმატებულია, ვიდრე დანარჩენები. გამოგიტყდებით, გული შემეკუმშა, როცა მივხვდი, რომ პირველი თავი იყო *Anobium domesticum* ჯიშის (ხის მღრღნელისა თუ თერმიტის) - კიდობანში მალულად შეპარული შვიდეულიდან ერთ-ერთის ლაქლაქი, სამასხარაო ისტორია ნოეს კიდობნისა, რომელსაც ავსებდა ცხოველე-

ბის - ბეჭემოთის, სალამანდრას (ნამდვილი სალამანდრას, ცეცხლში რომ ცხოვრობს), ვასაკის, მარტორქის და ასეთების - ფანტაზია და ნოეს სახის რევიზიონისტული ინტერპრეტაცია: "არ ვიცი, ივარგებს თუ არა თქვენთვის ამის გამხელა, მაგრამ ნოე ვერ იყო კაი კაცი. ვხვდები, რომ ეს უხერხული ნათქვამია, რაკილა ყველა მისი შთამომავლები ხართ; მაგრამ ასეა. ურჩხული იყო; გაფუყული პატრიარქი, რომელიც დღის პირველ ნახევარში ღმერთის წინაშე მუხლებზე ხოხავდა და მეორე ნახევარში ამას ცხვირში ძმრად გვადენდა".

ეჭვს აღძრავს ასევე მეორე ნაკვთის "სტუმრების" უამური პროზა, სადაც მოთხრობილია, როგორ გაძარცვეს არაბმა ტერორისტებმა სამოგზაურო გემი

ხმელთაშუა ზღვაში; ეს ეპიზოდი მთლიანად დაუჯერებელია, ტერორისტების მეთაური თეატრალური, მასხრულ-ჰოლივუდური ჟარგონით ლაპარაკობს: "ქვეყანა სამხიარულო ადგილი კი არ არის. ძველი ცივილიზაციების კვლევით ეგ უნდა გესწავლათ. მაგრამ... მგზავრებს ჩვენ ავუსხნით, რა ხდება. როგორ მონაწილეობენ ისტორიაში. და რა არის ეგ ისტორია". მაგრამ "მსოფლიოს ისტორია 10 1/2 თავად" გრძელდება, ლეიტმოტივები ისევე და ისევე მეორდება, ხშირად კომიკურად გონებამახვილური კომბინაციებით, წიგნი სულ უფრო და უფრო გიტაცებთ, გიპყრობთ და თუ გავითვალისწინებთ ხელოვნების ჩვეულ დამახინჯებებს,


ბაბრქილება E12 გვირდოვა

ჰონის კაროლ ოუტსი

პოსტ-მოდერნისტულად ჩაფიქრებული, მაგრამ მისანდლო-მი სისადავითა და უბრალოებით შესრულებული ჯულიან ბარნსის მეხუთე წიგნი არც რომანია, როგორც იხსენიებენ და არც მსუბუქი, პოპულარული ენით დანერგილი მსოფლიოს ისტორია, როგორც სათაური გვაფიქრებინებს. XX საუკუნის წარმომადგენლების - უცილობლად ბორხესის, კალვინოსა და ნაბოკოვის, ასევე როლანდ ბარტისა და, შესაძლოა, მიშელ ტურნიეს გავლენით დანერგილ წიგნზე "მსოფლიოს ისტორია 10 1/2 თავად" უპირანი იქნება ითქვას, რომ ესაა ერთად თავმოყრილი პროზაული ნაკვთები, ერთგვარი პროზა, სადაც ზოგიერთი ნაკვთი ესეს უფრო ჰგავს.

ბატონი ბარნსის საფიქრალი თავიდან ბოლომდე აბსტრაქტულია და ფილოსოფიური,

თუმცა ტონი უპრეტენზიო აქვს; მთავარი თემები - ნოეს კიდობანი, ხმელთაშუა ზღვაში სამოგზაურო გემის ძარცვა არაბი ტერორისტების მიერ, ფრანგული გემის "მედუზას" დაღუპვა, იონა ვეშაპის მუცელში, მძინარე ქალი, ფილმის გადამღები ჯგუფის თავს დამტყდარი ამბავი ვენესუელაში, არაჩვეულებრივი გამოცდილებით გადასხვაფერებული ამერიკელი კოსმონავტი, ზეცის კომიკური ხედვა - მხოლოდ და მხოლოდ განსჯის სანჯისი წერტილებია. ბარნსი ძალიან ჰგავს ბორხესს იმით, რომ მოსწონს სხვადასხვანაირ მეტამორფოზებში ლეიტმოტივების გავლება. მარქსის ცნობილი აზრი ჰეგელის იდეის შესახებ - "ისტორია საკუთარ თავს იმეორებს, ჯერ ტრაგედიის და შემდეგ კომედიის სახით" - ბატონ ბარნსს რომ აქვს მოტანილი, ერთ-ერთი მთავარი პრინციპია წიგნის "მსოფლიოს ისტორია 10 1/2 თავად" აგებულებ-



111 გვერდიდან

ინფორმაციასაც განვდით. ესე- ისტის მკაფიო ხმა სულ უფრო და უფრო ფარავს პროზაიკოსის გაურკვეველ ხმას - "როცა ვამბობ "მე", მოისურვებთ, ერთი-ორი აბზაცის შემდეგ იცოდეთ, ვის ვგულისხმობ - ჯულიან ბარნსს თუ გამოგონილ პიროვნებას", - ამ წიგნში ავტორი ინტონაციის ისეთივე გენიალურ ოსტატად წარმოგვიდგება, როგორც "ფლობერის თუთიყუშში".

ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური თავია "გემის დაღუპვა", რომელშიც ფაქტობრივი აღწერილობაა 1816 წელს ფრანგული გემის "მედუზას" დაღუპვისა და დაწვრილებითაა განხილული ჟერიკოს ცნობილი სურათი "გემის დაღუპვის სცენა" (გემი "მედუზას" სახელით რომ მოიხსენიება), რომელიც 1819 წელს დასრულდა. "როგორ აქცევთ ხელოვნებად კატასტროფას?" - კითხულობს ბატონი ბარნსი; და თვითონვე საკმაოდ დამაჯერებლად პასუხობს ამ კითხვას. შესაძლოა, მხატვრობაზე მისმა მსჯელობამ ხელოვნების ისტორიკოსები ორიგინალობით ვერ გააკვირვოს, მაგრამ არაპროფესიონალებისთვის, განსაკუთრებით, ლიტერატურის მოყვარულებისთვის, იგი ჭეშმარიტების ბეჭდითაა აღბეჭდილი. ბატონი ბარნსი ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვება ჟერიკოს ფერწერული ტილოს ხატვისას, თვალს ადევნებს, თუ როგორ იცილებს მხატვარი იდეებს - როგორც წარმოსახვით მხატველ ხელოვანს შეჰფერის - თუ როგორ მუშაობს "შთაგონებით", აყალიბებს დეტალებს, როცა ეს აუცილებელია, უარს ამბობს "ცხოვრებისეულ სიმართლეზე" "ხელოვნების სიმართლის" გამო. სინამდვილე მითად იქცევა ისე, როგორც სხვა დროს მითი იქცევა სინამდვილედ. "დროის მემკვიდრით ერწყმის და უერთდება ამბავი ფორმას, ფერს, გრძობას".

მხოლოდ ისტორიის "ლუზის" აშვებაა მიზეზი, რომ სურათი, რომელიც ჩვენთვის "გემი" მედუზას" სახელითაა ცნობილი, ტრანსცენდენტურ აღეგორიად წარმოგვიდგება "სურათის საიდუმლო მისი ენერჯის მუხტია. კიდევ ერთხელ შეხედეთ: გამანადგურებელ თავსხმაში ერთმანეთს მიჯრილი, დაკუნთული ზურგები პანანინა წერტილებად ჩანან, ხომალდის გადარჩენას რომ ცდილობენ. ასეთი დაძაბულობა - და როგორი დასასრული? უპასუხოდ რჩება სურათზე ამტყდარი დღევა, ისევე, როგორც უპასუხოა ადამიანის გრძობათა იმეტესობა. არა მხოლოდ იმედი, არამედ ნებისმიერი უსაზღვრო გრძობა: პატივმოყვარეობა, სიყვარული (განსაკუთრებით, სიყვარული) - რარიე იშვიათად პოულობენ ჩვენი გრძობები ისეთ ობიექტს, როგორსაც იმსახურებენ". კატასტროფა ხელოვნებად იქცევა. იქნებ, სწორედ ესაა ხელოვნების მიზანი.

თუმცა, ბატონი ბარნსი სასხვათაშორისოდ შენიშნავს: "ირონიის განსაზღვრებისთვის შეიძლება ითქვას, რომ ეს ისაა, რაც ადამიანებს ენატრებათ". სწორედ დახვეწილი, კეთილგანწყობილი, თვითგამომხატველი ირო-



ჯულიან ბარნსი

ნიით სავსე ქვეტექსტი განსაზღვრავს წიგნის "მსოფლიოს ისტორია 10 1/2 თავად" ინტონაციას. ირონია და იუმორი: იონას ამბისა და ხელოვნებაში მისი იკონოგრაფიული ასახვის ანალიზში მოცემულია განსხვავებული დამოკიდებულება ძველი აღთქმის ღმერთისადმი, რომელიც დღევანდელ გონიერებას მითიური ლოგიკის წინააღმდეგ ამხედრებს: "დიდი ვერაფერი ამბავია, არა? ძველ აღთქმაში ჭარბობს დამანგრეველი არარსებობა თავისუფალი ნებისა - ან თუნდაც თავისუფალი ნების ილუზიისა. ღმერთს ყველა კარტი ხელში უჭირავს და ყველა ხრიკს იგებს. გაურკვეველი მხოლოდ ისაა, ამჯერად თუ როგორ აპირებს უფალი თამაშს: კოზირის ორიანი თ დაიწყებს და ტუზამდე ავა, ტუზით დაიწყებს და ორიანამდე ჩამოვა, თუ ერთმანეთში აურევს. და რაკი ვერასოდეს იტყვი, რას იზამს შიზოფრენიული პარანოიკი, ეს ელემენტითი თხრობას გეზს ვერ აძლევს".

"შესავალ სიტყვაში" მთხრობელი უძილობისას, მძინარე ცოლის გვერდით წევს და სიყვარულზე ფიქრობს. აღმოაჩენს, რომ კარგად ვერ ხვდება, რა არის სიყვარული და თან მოთმინებას კარგავს, როცა საქმე "ირიბად ნათქვამ პროზას" ეხება. მონოლოგი არეულია, დაუსრულებელი, არტისტული მეტიწრობის გარეშე, გულწრფელი: "არ ვიცი, ანგარიშიანი სიყვარული ჯობია თუ უანგარო, მდიდრის სიყვარული უფრო მტკიცეა თუ ლატაკისა, ჰეტეროსექსუალური სიყვარული უფრო ვნებიანია თუ ჰომოსექსუალური, ქორწინება აძლიერებს სიყვარულს თუ დაუქორწინებლობა. შეიძლება, დიდაქტიზმმა მომხიბლოს, მაგრამ ეს რჩევების სვეტი არ არის". ფაქტობრივად, ცოტათი მაინცაა რჩევების სვეტი: "უნდა გვწამდეს (სიყვარულის), თორემ დავიღუპებით. შეიძლება სიყვარული ვერ გამოვცადოთ, ან გამოვცადოთ და უბედურება

მოგვიტანოს; მაინც უნდა გვწამდეს, თუ არ ვინამეთ, მაშინ მხოლოდ ქედს მოვუხრით მსოფლიოს ისტორიას და სხვის ჭეშმარიტებას". თავში "დინების წინააღმდეგ!" ეპისტოლარული ფორმით, მართალია, ქაოსურად, მაგრამ მღელვარედაა აღწერილი ამბავი, რომელიც ამერიკელთა ფილმის გადამღებ ჯგუფს შეემთხვა ვენესუელას ჯუნგლებში. ესეც "სინამდვილეზე" განსჯად წარმოგვიდგება. როგორები არიან გადამღები ჯგუფის მიერ დაქირავებული ინდიელები - პრიმიტულები თუ, გარკვეულწილად, უფრო დახვეწილები, ვიდრე თეთრკანიანები, რომლებიც საკუთარ უპირატესობას დამსახურებულ ჯილდოდ მიიჩნევენ? თავიანთი ძალადობით საკუთარი ისტორიის ლეგენდარულობას ასხამენ ხორცს თუ ასე არ ეპუებთან ამ ისტორიას? ვინც სანდო ჩანდა, სინამდვილეში ნუთუ მართლა მოღალატე ოპორტუნისტი გამოდგა, და


მხოლოდ კინოვარსკვლავების სიკვდილის მიზეზი კი არ გახდა, არამედ ბანაკის აღჭურვილობაც გააყოლა ხელს? გადარჩენილი - მთავარი როლის ერთ-ერთი შემსრულებელი ლამის ნერვიულად დაავადდეს ამ კითხვებზე პასუხის ძიებისას.

"ყველაფერი ერთმანეთზეა გადაბმული, ის ნაწილებიც კი, რაც არ მოგვწონს, - ფიქრობს პერსონაჟი ქალი, - განსაკუთრებით ის ნაწილები, რაც არ მოგვწონს". ახალგაზრდა ქალის საზრუნავი გადარჩენაა ამ ნაბილწულ ქვეყანაში, რომელსაც ყოველ წამს ომის საფრთხე ემუქრება, მაგრამ ერთიანობის თემა ყოველ თავს ლეიტმოტივად გასდევს და ისევ და ისევ წარმოგვიდგენს მჭიდროდ შეკავშირებულ სახეებს, იდეებს, ფრაზებს, ირონიულ პასაჟებს - იმ საბავშვო, სასაცილოდ თავსატეხი ნახატებივით, სადაც ადამიანის ან ცხოველის ფიგურები შეიძლება ფოთლების, ღრუბლების, პეიზაჟების სადა მოხაზულობაში აღმოვჩინოთ. ვინმემ შეიძლება ოდნავ უკან დაიხიოს, როცა პირისპირ აღმოჩნდება სიმწარესთან - ეს შეიძლება იყოს ნოეს კიდობანი, წარღვნა, გადარჩენა - ან სიკვდილი - ზღვაში, გემი, არსებათა დაყოფა "სუფთებდა და უსუფთაობდა". ბატონი ბარნსის რბილი ტონი რომ არა, ვინმე შეიძლება დაეჭვებულიყო, სტრუქტურალისტური აზროვნების პარადიას ხომ არ გვთავაზობს; მაგრამ საერთო მიზანი გაცილებით უფრო კომიკური ჩანს, ესაა იდეების კომედია, "ფაბულაცია" (ფაბულაცია: "რამდენიმე რეალური ფაქტის გარშემო ახალი ამბის შექმნა"). სამოთხის ესოდენ ნაცნობი ხილვა - მატერიალური სურვილების დაუსრულებელი განხორციელება, მერე გარდაუვალი მოწყენა და სიკვდილის სურვილი შეიძლება მაინცდამაინც ეფექტური დასასრული ვერ იყოს პროვოკაციული ნიგნისთვის, მაგრამ ბოლო აბზაცი იდეალურია: "დამესიზმრა, რომ გავიღვიძე. ეს ყველაზე ძველი სიზმარია და სულ ახლახან ვნახე".

"მსოფლიოს ისტორია 10 1/2 თავად" იდუმალების საბურველს ჩამოხსნის საკუთარ თემებს და მათ თითქმის ჩვეულებრივ ელფერს ანიჭებს: "როგორი სკეპტიკურებიც არ უნდა ვიყოთ, მითი სინამდვილედ უნდა იქცეს". ამგვარად იგი ანადგურებს, იქნებ ამასხარავეებს კიდევ საკუთარ პატივმოყვარეობას. თუკი მკითხველს ამ წიგნის ხელში აღებისას არ ეცოდინება, რა სახის პროზას, გამონაგონს უნდა ელოდეს, იდეები ისეთი თხრობით წარმოუდგება, დაივინყებს კიდევ, რომ ეს "იდეები" და სრულყოფილი სამყარო გაცოცხლდება პროზით, რომელშიც - სადავო აქ არაფერია - ხალისიანი, მახვილგონივრული და თავშესაქცევი მოსაზრებებისთვის თავი მოუყრია კაცს, ვისთვისაც იდეები აშკარად ყველაზე მნიშვნელოვანი რამ არის; კაცს - თითქოსდა პრეპოსტ-მოდერნისტა მოდგმის კვინტესენციურ ჰუმანისტს.

ინგლისურიდან თარგმნა ნინო ქაჯაია

2003



გიუნტერ გრასი, "კიბორჩხალას სვლა" Crabwalk By Gunter Grass Faber 234 გვ.

კაცმა არ იცის, რა ბედი ელის ადამიანს ომში? ბოლო პერიოდში ომის თემატიკა ხელოვნებაში განსაკუთრებით აქტიურად გახდა (თუმცა როდის არ იყო აქტიურად). რომან პოლანსკიმ გადაიღო "პიანისტი" - ვარშავის გეტოს მემუარი, გიუნტერ გრასმა კი რომანი "კიბორჩხალას სვლა" დაწერა, ყველაზე საზარელი საზღვაო კატასტროფის ამბავს რომ მოგვითხრობს.

1945 წლის 30 იანვარს ლტოლვილებითა და დაჭრილი ჯარისკაცებით სავსე გერმანული გემი - "ვილჰელმ გუსტლოფი" დაიღუპა. ამ გემის ისტორია უფრო ტაბუირებული იყო, ვიდრე დრეზდენის დაბომბვა. გემზე, სავარაუდოდ, 6 ათასიდან 10 ათასამდე ადამიანი დაიღუპა, ზუსტი ციფრი დღემდე არაა ცნობილი. გემი სამმა ტორპედომ ჩაძირა. 1200-ზე მეტი ადამიანი გადარჩა.

ეს ისტორია დღემდე ბნელით არის მოცული. გემი 30 იანვარს აიგო - შტილერის ხელისუფლებაში მოსვლიდან მე-12 წლისთავზე. მას იმ ფაშისტი აქტივისტის სახელი დაარქვეს, 1936 წელს ებრაელი ერის სახელით რომ მოკლა დევიდ ფრანკფურტერმა. გემი ფაშისტურ ორგანიზაციას ეკუთვნოდა და იავ კრუიზებს აკეთებდა მუშახელის შესაგროვებლად.

რომანი პირველ პირობა დაწერილი, ამბავს პოლ პოკრიფკე გვიყვება. კატასტროფაში დაღუპულ გემზე მისი დედა იმყოფებოდა, რვა თვის ორსული ქალი, რომელიც სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. ცოტა ხანში პოლიც დაიბადა.

გიუნტერ გრასს საკუთარი თავიც შეჰყავს ამ ისტორიის გმირად: გამოჩნდება ბებერი მწერალი, რომელიც ამ ამბის დაწერას სთავაზობს პოლს, პროფესიონალ ჟურნალისტს, რადგანაც ეს ისტორია მის მშობელთან და მის დაბადებასთან არის დაკავშირებული. შესაძლოა, ეს მწერალი პოლის მამაც იყოს. ყოველ შემთხვევაში, პოლს ასეთი ეჭვი ებადება (მიუხედავად იმისა, რომ სხვა პოეტური მამაც გამოუჩნდება), დედამისი ხომ მსუბუქი ყოფაქცევის ქალი გახლდათ. სხვათა შორის, პოლის დედას გრასის მკითხველები ადვილად იცნობენ. "კატა და თავისი" გმირი, თინეიჯერი

ტულა პოკრიფკე, ტრამვაის კონდუქტორად რომ მუშაობდა დანციგში, ახლა უკვე პოლის დედაა.

რომანი საოცარი ოსტატობით არის დაწერილი. სახელი "კიბორჩხალას სვლა" ნაწარმოების დახლართულ სიუჟეტზე მიანიშნებს, თანაც ეს პირველი შემთხვევა არაა, როდესაც გრასი უსახურ არსებას იღებს ემბლემად: ვირთხას, ლოკოკინას... კიბორჩხალა უგვანო ცხოველია - "ქვეწარმავლები და მსგავსი გამოჩნდებიან ისტორიისა", - ამბობს პოლი და კიბორჩხალაც ცოცხალს იწყებს. პოკრიფკე ერთმანეთის პარალელურად გვიამბობს სხვადასხვა ამბებს: გუსტლოფის ისტორია, მისი მკვლელობა, გემის კატასტროფა, რუსი კაპიტანი მარინესკი, რომელმაც ჩაძირა გემი, გუსტლოფის მკვლელის დაპატიმრება, თანამედროვე ყოფა... აი ასეთია ნაწარმოების კიბორჩხალისებური ირიბი კონსტრუქცია, ხან ერთი ამბავი ამოტივტივდება, ხან - მეორე. და ბოლოს, გერმანიის ისტორიის საკმაოდ უხეში შეფასება: "გაფუჭებული ტულაღეტი, რომელსაც, რამდენიც არ უნდა ჩამოუშვა წყალი, მაინც ვერ ჩარეცხავ."

რატომ ვიხსენებთ გუსტლოფს? - ის აქამდეც უნდა გავიხსენებინა, ეს ხომ ტიტანიკზე უფრო საზარელი ტრაგედია იყო. გიუნტერ გრასი გუსტლოფის ამბავს გერმანიის იგავად ჰყვება, იგავის მორალი კი ასეთია: ქვეყანამ ვერ შეძლო კომპარტიზან წარსულს გაქცეოდა, იმიტომ რომ დღესაც ვერ უსწორებს ამ წარსულს თვალს.

უილიამ ბოიდი, "ნებისმიერი ადამიანური გული" Any Human Heart By William Boyd New York: Alfred A. Knopf, 498 გვ.


უილიამ ბოიდის რომანი ნამდვილად დიდ სიამოვნებას მიანიჭებს მკითხველს. საინტერესო ამბები, ინტრიგები, ისტორიული ფაქტები, მწერლის დახვეწილი ლიტერატურული გემოვნება. რომანის მთავარი გმირი ლოგან მონსტიუარტია. ლოგანი 1906 წელს დაიბადა. არცთუ ხელსაყრელი დროა იმისათვის, რომ დაიბადო, - წერს მწერალი. და მისი გმირიც იზიარებს ამ აზრს. თუმცა, დარწმუნებით თვითონაც არ იცის, როდის ჯობდა დაბადებულყოფი, იქნებ ოციოდ წლით ადრე, რომ ჭკუმიარტი ლიტერატურული ცხოვრებით ეცხოვრა, ან იქნებ საუკუნის ბოლოს, სექსუალური რევოლუციის აქტიური მონაწილე რომ გამხდარიყო.

მაგრამ როგორც არ უნდა იფიქროს მწერალმა თუ გმირმა, ლოგანი მაინც 1906 წელს დაიბადა ურუგვაიში, მონტევიდეოში. ჰყავდა ბრიტანელი მამა და ურუგვაელი დედა. მამა ლირსეული კაცი იყო, ზნეობრივი, ის ადრე გარდაიცვალა. დედა ლამაზი ქალი იყო, სიცოცხლით სავსე, მაგრამ საოცრად არაპრაქტიკული. იშვიათი შემთხვევაა - შვილი მშობლებს ყველაფერ კარგში დაემსგავსა. სწავლობდა კოლეჯში, კოლეჯში დაწერა პირველი წიგნი "მელის ბიოგრაფია" და კოლეჯშივე დაიწყო მისი პირველი სასიყ-

ვარულო ისტორია, მეგობრის შეყვარებულთან.

ლოგანი ხან პარიზში იყო, ხან - ლონდონში; მისი ოჯახური იდილია მეორე მსოფლიო ომმა დაარღვია; ლოგანი ომში წავიდა, ტყვედაც ჩავარდა. ომის შემდეგ მან ახალი ცხოვრება დაიწყო.

ლოგანის ცხოვრება შეიძლება აბსურდულიც მოგეჩვენოს. განა აბსურდი არაა, 60 წლის კაცი რევოლუციურ ტერორისტულ ჯგუფში რომ გაერთიანდება; ძირითადი მიზეზი მონეცილობაა. ლოგანი ქარიზმატული პერსონაჟია, რომლის ცხოვრების აღწერა რომანში კულტურის ისტორიის აღწერის პარალელურად მიდის. მთავარი გმირი ხელოვანთა წრეში ტრიალებს. რომანში რამდენჯერმე ვხვდებით, მაგალითად, მწერალ ვირჯინია უულფს, რომელიც ლოგანის აზრით, "სულელი მწერალია" (უულფისტების წყრომა გარდუვალია!). პარიზში ლო-



განი პიკასოსთან ერთად სვამს, ჰემინგუეისთან სადილობს. "მშვიდობით, იარაღს" ავტორი მას ესპანეთის სამოქალაქო ომის წინა ხაზზეც კი გააცვილებს...

რას გვეუბნება ლოგანის ცხოვრება საერთოდ ცხოვრებაზე - ან ხელოვნების არსებობაზე მე-20 საუკუნეში? საყურადღებო ფაქტია, ლოგანი მწერალია, არცთუ ურიგო მწერალი, მაგრამ თავს ნახატების ყიდვა-გაყიდვით ირჩენს. მწერლობა მას არაფერში გამოადგა. კარგად გაიყიდა მხოლოდ მისი ერთადერთი წიგნი, რუს მეძავთან შეხვედრაზე რომ გვიამბობს. მწერალი ხვდება, რომ წერას აზრი არა აქვს და აღარც კი ძალუძს კალმის ხელში აღება. საუკუნე მიდის და მწერლობა თავის ფასს კარგავს, თითქოს თავისი თავი ამოწურა. "ყველაფერი შეიცვალა, - გულსტკივილით ეუბნება ლიტერატურული ავენტი ლოგანს 1969 წელს, - ხალხს მართო ყიდვა-გაყიდვა და ავანსი აინტერესებს." ლოგანი თავის ადგილს ველარ იმკვიდრებს. თვითდამკვიდრების ადგილები გაქრა - აი, რა გამოიწვია სამყაროს დეცენტრალიზაციამ.

დაბოლოს, ვინ არის ლოგანი? წიგნის დასასრულს მისი გერი, ჭკვიანი ამერიკელი თინეიჯერი გელი მას ასე ახასიათებს: "ინგლისელია, ხელოვნების სფეროში მუშაობს, ყველა მაგარ ხელოვანს იცნობს, სად აღარ უცხოვრია, რომანებს წერს, ციხეშიც იჯდა." ლოგანს ასეთი დახასიათება გადაჭარბებულიადაც კი მიიჩნია: "კინალამ ვიფიქრე, რა დიდებული ადამიანი ვარ-მეთქი", მაგრამ

მკითხველი აცნობიერებს, რომ ყველა ეს ატრიბუტი გარემოებიდან გამომდინარე და ყალბია. არავინ ლაპარაკობს იმაზე, თუ რა კაცია სინამდვილეში ლოგანი, საუკუნის დასაწყისში დაბადებული მდიდარი, წარმოსადეგი და თვითკმაყოფილი კაცი, რომელიც მორიდებული, კეთილი და ბრძენი ტოვებს ამ ქვეყანას. ლოგანი ადამიანია, რომელსაც დრომ და საუკუნემ თავისი დალი დაასვა.


ჩარლზ სიმისი, "ხმა დღის 3 საათზე" (ძველი და ახალი ლექსების რჩეული) THE VOICE AT 3:00 A.M. Selected Late & New Poems. By Charles Simic. Orlando, Fla.: Harcourt. 177 გვ.

ცოტა თუ მოიპოვება ისეთი ამერიკელი პოეტი, რომლის ლექსებიც ისე ჟღერდეს, როგორც ჩარლზ სიმისი პოეტური ქმნილებები. ნაწილობრივ ეს, ალბათ, იმითაც არის განპირობებული, რომ სიმისმა უჩვეულო, მძიმე ცხოვრების გზა გაწვლო. ის 1938 წელს დაიბადა იუგოსლავიაში, სამი წლის იყო, როცა გერმანელების ჩამოგდებული ბომბი მისი სახლის სიახლოვეს აფეთქდა - სანოლიდან ნამომხტარი ნახევრად მძინარე ბავშვი თვალეზგავართებული უყურებდა ნანგრევებად ქცეულ ქუჩას. ყოველი ფეხის ნაბიჯზე ძალადობას ხვდებოდა. 16 წლის იყო, როცა აშშ-ში ჩავიდა, სადაც მისი სამწერლობო მოღვაწეობა დაიწყო. ამერიკაში გამოსცა პირველი პოეტური კრებული.

სიმისს, ჩვეულებრივ, სიურეალისტ პოეტად მოიხსენიებენ ხოლმე, მისი სიურეალიზმი ფანტასმაგორიდან იღებს სათავეს: მუდმივი ცვალებადობა, ავისმომასწავებელი ზმანებანი. ეს პოეტური სახეები იმ ეგზისტენციალურ კითხვებზე გვაძლევს პასუხს, ნებისმიერ ადამიანს რომ ალექსებს - სიკვდილი და ბედისწერა, სულის უკვდავება, ეჭვი, ცხოვრების საზრისი...

ცხოვრების უაზრობაზე ორი მიმდინარეობის პოეტები წერდნენ: მკაცრი აბსურდისტები და სასონარკვეთილი რომანტიკოსები. სიმისი პოეტია რომანტიკოსის გულით და აბსურდისტის გონებით, - ასე ახასიათებენ ამერიკელ პოეტს კრიტიკოსები.

სიმისი სკეპტიკოსია, ოღონდ სკეპტიკოსი ზომიერების გრძნობით; ის დასცინის, მაგრამ არ



უარყოფს ფილოსოფიას, შესაძლოა, თეორიების არ სწამს, მაგრამ სჯერა ადამიანებისა, და სწორედ ეს რწმენა ასაზრდოებს სიმისის პოეზიას, სწორედ ამიტომ უწოდებენ მას "სიყვარულის პოეტს". სიმისის სამყაროში სიყვარული ძალიან რეალური, ყოველდღიური განცდაა. ყოველდღიური სიხარული კი ისეთივე ღირებულია, როგორც დიდი ვნებები.

თუმცა, მაინც უნდა ითქვას, რომ დროდადრო პოეტს ღალატობს რწმენის ერთგულების გრძნობა, ამიტომ ხშირად სიმისის ლექსები წინააღმდეგობრივია, ირონიულიც, რომანტიკულიც, სენტიმენტალურიც. ახალი კრებული, რომელშიც ჩარლზ სიმისის ძველი და ახალი რჩეული ლექსებია შესული, უთუოდ დააინტერესებს პოეზიის მოყვარულებს.

კურტის კეიტი, "ფრიდრიხ ნიცშე" Friedrich Nietzsche By Curtis Cate Hutchinson, 689 გვ.

ლოცვის მაგივრად ადამიანმა ჯობს ყოველი დღე ასე დაიწყო: როცა გაიღვიძებ, იმაზე უნდა იფიქრო, როგორ მიანიჭო სიხარული ერთ ადამიანს მაინც, - ასე ფიქრობდა ფრიდრიხ ნიცშე.

კურტის კეიტის თხზულება ნიცშეს პირველი ბიოგრაფია არ არის, მაგრამ შეიძლება ითქვას,



რომ ეს ყველაზე სრულყოფილი ბიოგრაფიული ნაშრომია, სადაც დიდი გერმანელი მოაზროვნის ცხოვრება და მოღვაწეობა შეძლებისდაგვარად მთელი სისრულით არის წარმოდგენილი. რაში მდგომარეობს ნიცშეს გენიალურობის არსი? რატომ იზიდავს მისი ნაწერები მკითხველს? ამ კითხვებზე კეიტი მარტივად უპასუხებს: ნიცშეს ნაშრომები მრავალფეროვანია და იმ კონფლიქტებითა და წინააღმდეგობებითაა სავსე, ნებისმიერი მრწამსის ადამიანს რომ დააინტერესებს.

თავის პირველ წიგნში - "ტრაგედიის დაბადება", რომელიც 1872 წელს გამოიცა, ავტორი ამტკიცებდა, რომ ბერძნული ტრაგედიის თავისებურებას მხოლოდ აპოლონიური თავშეკავება კი არ განაპირობებდა, არამედ, როგორც კეიტი ამბობს, "ძირითადი ადამიანური ინსტინქტების პრიმიტიული, პირველქმნილი ძალა, ამ ძალამ თავისუფალი გამოხატულება ჰპოვა დიონისეს მიმდევ-

რების რიტუალებში, რომელთა მთავარ ელემენტებს სიმღერა და ცეკვა წარმოადგენდა.


“დიონისური ვულკანური ძალის აღმოჩენას, რომელიც ადამიანის “ფსიქეს” ბნელი, ინსტინქტური სიღრმეებიდან ამოიფრქვევა”, ნიციშვილი ფილოსოფიური აზრის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მას ეს აღმოჩენა ისე ცხადად ჩაეხედება გონებაში, რომ როდესაც განდევნილი დაიწყო ცხოვრება, მართოსული ზეკაცია საათობით დაბორილობდა ხოლმე ოთახებში. ერთ ოთახში პატარა ღუმელი ჰქონდა. ამ ღუმელს ცეცხლის კერპს ეძახდა, ხტუნვა-ხტუნვით უვლიდა გარს კერპს წარმართობის იდეით ატაცებული, - გვიამბობს კეიტი. ეს იყო 1887 წელს. 1889 წლის დეკემბერში ტურინში შეესწრო, როგორ გამწარებით სცემდა ტაქსის მძღოლი ცხენს, ის ცხენს ჩაეხუტა და გონება დაუბნელდა. ამის მერე მძიმე სენისგან ველარასოდეს გათავისუფლდა. რამდენიმე დღის შემდეგ მეგობარმა მოინახულა ნიციშვილი და ასეთი სანახაობა დაუდგა თვალნინ. სრულიად გამიშვლებული, დიონისური ექსტაზით შეპყრობილი უგზოუკვლოდ დარბოდა ოთახში. “ასეთი იყო კონტრასტი მისი აზრის გრანდიოზულობასა და მისი ცხოვრების სევდას შორის. ნიციშვილს კიდეც 10 წელი იცოცხლა ჩამქრალი ვულკანით...”

ტურინში ნიციშვილს ეცა, შეხედა თავს, გატრიალდა, და ისევ სარკეში ჩაიხედა. ესეც 1889 წელს იყო. ნიციშვილს აღარ იცოდა, ვინ იყო, შეპყრუებდა სარკეში საკუთარ თავს, მაგრამ სარკეში აღარ ჩანდა ზეკაცია.

კურტის კეიტი თავის ნაშრომში დეტალურად აღწერს მოაზროვნის ცხოვრებისა და შემოქმედების ძირითად მომენტებს. და ერთი ნუთითაც არ აძლევს მკითხველს მოდუნების საშუალებას, ან კი როგორ უნდა მოდუნდე, მწერალი ხომ ფხვდაფხვ მიყვება ნიციშვილს ცხოვრებას.

“კეტრინ მენსფილდის ჩანაწერები” (სრული გამოცემა) The Katherine Mansfield Notebooks Complete Edition Edited by Margaret Scott Minneapolis: University of Minnesota Press. Cloth, 708 გვ.

1923 წელს, როცა კეტრინ მენსფილდის სიკვდილის ამბავი გაიგო, ტომას ელიოტმა სამიძირის წერილი გაუგზავნა მის მეუღლეს



- კრიტიკოს ჯონ მიდლტონ მიურის და ისიც მისწერა, რომ კეტრინის მოთხრობებზე კრიტიკული ნარკვევის დაწერას აპირებდა. მისი სტატია არასოდეს გამოქვეყნებულა, თუმცა ელიოტმა მოიხიდა და გადაიკითხა მენსფილდის ბოლო ნიგნის ეგზემპლარი. “მე ვფიქრობ, რომ ამ მწერლის რეპუტაცია გაბერილია, და ეს უნდა ითქვას” - წერდა იგი თავის თანაშემწეს.

მიური ცყვილუბრალოდ ელოდა, რომ ელიოტი მის ცოლს უკვდავთა რიგებს მიაკუთვნებდა. თუმცა, ეს საქმე თვითონვე ითავა. მეუღლის გარდაცვალებიდან ერთი წელიც არ იყო გასული, რომ ცოლის ლექსები გამოცა, ეს პოეტური ნიმუშები 34 რვეულიდან და სხვადასხვა ჩანაწერებიდან აარჩია. ეს იყო 1927 წელს. 1928 წელს ამას მოჰყვა კეტრინ მენსფილდის წერილები. 1939 წელს გამოჩნდა კეტრინ მენსფილდის გადაყრილი ხელნაწერებიც.

მართალია, ფართო აუდიტორია დიდი ინტერესით ხვდებოდა ყველაფერს, რასაც მიური გამოსცემდა, პუბლიკას, რა თქმა უნდა, აინტერესებდა უდროოდ დალუპული ლამაზი ხელოვანი ქალის ცხოვრების ყველა დეტალი. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მიურისა და მენსფილდის მეგობრებს აღეგებდათ ქვრივის საქციელი, ერთმა მათგანმა ასეთი ცოტა არ იყოს უხეში შედარებაც კი გააკეთა: “მიური კეტრინის ძვლებს ხარშავს და ამ ძვლებისგან ამზადებს სუპსო”. დ.პ. ლორენსი, რომელიც ყოველთვის დიდი ინტერესით ეკიდებოდა და მაღალ შეფასებას აძლევდა მენსფილდის ნაშრომებს, სერიოზულად შეუფოთდა კეტრინის მეუღლის საქციელით: მიური პირდაპირ კეტრინის ნაგვის ყუთიდან იღებს ქალაღებს და ამ გადაყრილ ნაწერებს აქვეყნებსო.

ასეა თუ ისე, მენსფილდის მიუსაფრობის განცდითა და სენტიმენტალობით გაჯერებული ნაწერები დღეს კრიტიკოსთათვის და მკითხველისთვისაც საინტერესოა. შეიძლება მენსფილდი საუკეთესო მწერალი ქალი არ ყოფილა, შესაძლოა, ის არც ყველაზე ლამაზი იყო, მაგრამ კეტრინ მენსფილდი ნამდვილად იყო თავისი დროის ყველაზე სიმბოლური ქალი, რომელიც რომანტიკული, ბოჰემური ცხოვრებით ცხოვრობდა და რომელსაც ბაძავდა 20-იანელთა თაობა, ისევე როგორც ცოტა მოგვიანებით სილვია პლათს. ამ ორ მწერალს ნამდვილად ჰქონდა საერთო: დიდი ნიჭი, სილამაზე, პრეტენზია, მგრძნობიარობა და ტრაგიკული სიკვდილი...

კეტრინ მენსფილდი ნუთების დღიურის გაკეთებაზე ოცნებობდა: “სულ ესაა. არც რომანები, არც პრობლემატური მოთხრობები, არ გვინდა არაფერი, რაც მარტივი არაა.”


ჰქონდა კიდეც თავისი ნუთების ნიგნი: “მე მცეცა, მოიტანეთ ქალაღი, რომ ცეცხლი დავანთო... შეშა... ალი... ძალა... დაანთეთ ცეცხლი... აღარ გვინდა ცეცხლი.” “დღიურების” ბოლო თავი ასე მთავრდება: “დღე იყო ისეთი ნათელი, ისეთი წყნარი, ისეთი მშვიდი, თითქოსდა ყველაფერი გაჩერდა საკუთარი სილამაზით გაოცებული.”

ეს კეტრინ მენსფილდის სილამაზის უკანასკნელი გაელვება იყო.

ახალი ნიგნი მწერლის ჩანაწერების სრულ კრებულს წარმოადგენს.

რობერტ ლუის უილკენი, “ადრექრისტიანული აზრის სული” (ქიე სახე ღვთისა) The Spirit Of Early Christian Thought Seeking the Face of God By Robert Louis Wilken. New Haven: Yale University Press, 368 გვ.

ცნობილ გერმანელ კლასიკოსს - ედვარდ ფრენკელს უთქვამს: ლათინური პროზის უდიდესი წარმომადგენლები არიან ციცერონი, პეტრონიუსი და ტერტიულიანო. ამ სამ ადამიანს თითქმის არაფერი აქვთ საერთო ერთმანეთთან, მაგრამ სამივე მათგან-



ნის შემოქმედებაში კლასიკური კულტურა ჩანს. აი, სწორედ ეს კლასიკური კულტურა აერთიანებს ამ სამ ავტორს.

ახალი ნიგნი (მისი ავტორი რობერტ ლუის უილკენი ვირჯინიის უნივერსიტეტში ქრისტიანობის ისტორიას ასწავლის.) “ადრექრისტიანული აზრის სული” ამ სამი მოაზროვნედან მხოლოდ ერთს შეეხება - ნაშრომი ქრისტიანი მამების ცხოვრებასა და მოღვაწეობას ასახავს, იმ მამებისას, რომელთაც ავტორი ახლად ჩამოყალიბებული რელიგიის ინტელექტუალურ არისტოკრატიას უწოდებს. ზოგნი, მაგალითად, ტერტიულიანე და ავგუსტინე ლათინურად წერდნენ, ზოგნი - ბერძნულად, ყველა მათგანი თავისი დროის ტრადიციული კლასიკური კულტურით საზრდოობდა. იცოდნენ პლატონი, ისევე როგორც პლატონის მიმდევართა ნაზრევი, საკუთარ მოძღვრებაში იყენებდნენ თანამედროვე რიტორიკის გამომსახველობით საშუალებებს, და დაუსრულებლად დავობდნენ თეოლოგიურ პრობლემათკაზე.

პირველ რიგში, რა თქმა უნდა, წარმართი მოსახლეობა აღელვებდათ. თავიდან მამები უმცირესობაში იყვნენ, რადგან ხმელთაშუა ზღვის მოსახლეობა წარმართი იყო, კონსტანტინეს მმართველობის დროს კი უკვე სახელმწიფო რელიგიის წარმომადგენლების პოზიციიდან საუბრობდნენ. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ შიდა ბრძოლები გაამძაფრა. ისტორიკოსი ამიანე მარცელინე წერს: “იმპერატორი იულიანე ქრისტიანად გაიზარდა, მაგრამ თავგამო-

დებული წარმართი გახდა, იცოდა ცხოვრებისეული გამოცდილებიდან, რომ არცერთი ველური მხეცი არ იყო ისეთი დაუნდობელი ადამიანის მიმართ, როგორც ქრისტიანების უმეტესობა ერთმანეთის მიმართ.” თუმცა, ამ შემთხვევაში, იულიანემ მამების მიმართ გადააჭარბა. ისინი თეოლოგიის საკითხებში ვერ თანხმდებოდნენ, თორემ ქრისტეს მოძღვრებას ერთად იცავდნენ.


ქრისტიანმა მამებმა უდიდესი განძი დაგვიტოვეს - ბერძნული და ლათინური პატროლოგია. მათ ნაწერებს საუკუნეების მანძილზე სწავლობდნენ. მამებმა წმინდა წიგნს ბერძნული ახალი აღთქმა და აპოკრიფული ტექსტები მიუმატეს. უილკენის ნაშრომში ქრისტიანი მამების ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან ერთად განხილულია ის მოძღვრებებიც (პლატონური ფილოსოფია, ნეოპლატონიზმი...), რომლებმაც დიდი გავლენა მოახდინეს მათი ნაზრევის ჩამოყალიბებაზე. თუმცა, ავტორი ცდილობს მამების მოძღვრებაში ბიბლიის უწინარესობა დაამტკიცოს.

თხზულების ქვესათაური ფსალმუნადან მოდის - “ქიე მისი სახე.” ნაშრომში განხილულია პატრისტიკის მნიშვნელოვანი საკითხები - ღვთის ხატება და მსგავსება, მიზეზისა და რწმენის ურთიერთდამოკიდებულება, ქრისტეს დუალიზმი... კრიტიკოსები ერთხმად აღიარებენ, რომ აღნიშნული ნაშრომი უდავოდ ბრწყინვალეა, თანაც დღეს ჩვენ განსაკუთრებით გვჭირდება დავინახოთ სამყარო ორიგენეს, გრიგოლ ნაზიანზელის, ავგუსტინესა და სხვათა თვალით, დავინახოთ განსხვავება კლასიკურ აღმოსავლურ და დასავლურ კულტურებს შორის, რადგან, როგორც ავგუსტინე აღიარებდა, ერესს მარტო თეოლოგიური საფუძველი კი არ ჰქონდა, ის კულტურული კონტექსტიდან აღმოცენდა.

ბერნარდ ლუისი, “ისლამის კრიზისი” (საღვთო ომი და უღვთო ტერორი) The Crisis Of Islam Holy War and Unholy Terror. By Bernard Lewis. New York: The Modern Library, 184 გვ.

მას შემდეგ, რაც მთელ მსოფლიოში უდიდესი ტრაგედია დატრიალდა, არაერთხელ დაისვა შეკითხვა: რატომ მოხდა ეს? რატომ დადგა 11 სექტემბერი? ეს კითხვას კი არა, რიტორიკულ გამოწვევას უფრო ჰგავს - რა არის ამის მიზეზი? - “არაფერი. არც იდეოლოგია, არც თეოლოგია, არც წარსული უსამართლობა და არც ძველი ტკივილი, ასეთ არაპუშმანურ შურისძიებას გამართლება არა აქვს”, - ასეთი მრისხანე და უკომპრომისო განაცხადი ვადმოისროლა მწერალმა ბერნარდ ლუისმა და მკითხველს თავისი ბესტსელერი დაუდო ცხვირწინ - “რა იყო არასწორი?” What Went Wrong?

ახლა კი, როცა მოვლენები მიზეზთა გამო ისევ ტრაგიკულად განვითარდა, დროა, სხვა კითხვებზე გავცეთ პასუხი: რატომ იყო ეს არასწორი? რა შეიძლება მოვიმოქმედოთ ასეთ სიტუაციაში? სად არის გამოსავალი? და კიდე



ერთხელ მოექცა ბერნარდ ლუისი მკითხველის ცენტრში ახალი ნიგნით: “ისლამის კრიზისი: საღვთო ომი და უღვთო ტერორი”.

ყველა იმ სიტყვაში, რასაც ლუისი წერს, დიდი სიბრძნე დევს. ახალი ნიგნიც არა გამოინაკლისი. მასში ახალ მასალებთან ერთად უკვე გამოქვეყნებული, მასალებსაც შეხვდებით. ფაქტობრივად, თავის ახალ ნიგნში ლუისმა ხორცი შეასხა იმ ჩონჩხს, რომელიც მოცემული იყო სტატიაში “ისლამის ამბოხი” (The Revolt of Islam), და რომელიც გასულ წელს ჟურნალ “ნიუ-იორკერში” დაიბეჭდა. სტატია იმთავითვე დიდი გამოხმაურება ჰპოვა.

ლუისის ახალ თხზულებაში ავტორისათვის დამახასიათებელი დიდი მჭევრმეტყველებითა და ერუდიციით (რასაც ყოველთვის აფასებენ მისი კრიტიკოსები) წარმოჩენილია ისლამური საზოგადოების ისტორია, წესჩვეულებები, ისტორიოგრაფიისა და იურისპრუდენციის საკითხები. ნაწარმოების ერთი თავი მთლიანად ჯიჰადის თეოლოგიურ საფუძველს ეძღვნება. რაც მთავარია, ლუისის მოსაზრებათა უმრავლესობა საფუძველიანად არის არგუმენტირებული. ლაპარაკია იმ თემაზეც, რომელიც დღეს ალ ქაიდას ტერორიზმის ისლამური ფუნდამენტალიზმის უკან და აიათოლა ხომეინის ისლამური რესპუბლიკის მიღმა. ლუისი განმარტავს, რომ აღმოსავლური ტერორიზმის რიგი თავისებურებები, მაგალითად, ჯიჰადისკენ მოწოდება, ისლამური დოქტრინისგან იღებს სათავეს, მაგრამ ისეთ ძირითად ელემენტებს, როგორცაა უმწეოთა ჩაგვრა, ქალებსა და ბავშვებზე ძალადობა, თვითმკვლელობა - არავითარი კავშირი არა აქვთ ისლამის წმინდა წიგნთან. ლუისი ხმას იმაღლებს “ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის” წინააღმდეგაც, რომელსაც განუწყვეტლივ შეაქვს საჩივრები, როცა საქმე ქრისტიანთაგან მუსულმანთა ჩაგვრას ეხება და დუმს, როცა მუსულმანი ჩაგვრავს მუსულმანს. მაგალითად, მან დაგმო ისრაელის ქმედება, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს ჰუსეინის მიერ ჩადენილ მკვლელობათა სერიის შესახებ.


ასე რომ, “ისლამის კრიზისი” დღესდღეობით ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ თხზულებადაა მიჩნეული.

მოამზადა თამარ სუხივილი

გივი ალხაზიშვილი: "გამოსცემლავი ერთმანეთს იმაში ეჭიბრიან, ვინ უფრო მატ წიგნს გაყიდის"

იგი არ გამორიცხავს, რომ ბაზარმა, შესაძლოა, სერიოზული გამომცემლობა "ჩაძიროს"

ნანა კობახიძე



გივი ალხაზიშვილი

აი, გივი ალხაზიშვილამდეც მივედით. თუ იმ გამომცემლებს, რომელთა შესახებაც ჩვენს რუბრიკაში აქამდე მოგიხსობდით, საზოგადოება მეტ-ნაკლებად იცნობდა, გივი ალხაზიშვილი იმ სასიამოვნო გამონაკლისებს მიეკუთვნება, რომელთაც ყველა იცნობს. იცნობს, პირველ რიგში, მის პოეზიას, ბოლო წლებში - პროზასაც, დღეს კი გამომცემლის ამპლუაში წარმოგიდგინებ. ამ საქმიანობას მან თითქმის 25 წელი შეაღია, ანუ, თავისუფლად შეიძლება ითქვას, "სტაჟიანი" გამომცემელია. შეესწრო ავადსახსენებელი კომუნისტების პერიოდსაც, რომელიც გამომცემლობებისთვის არცთუ ავადსახსენებელი იყო, და საქმიანობას აგრძელებს ნანატრი თავისუფლების ეპოქაშიც, რომელმაც ამ სფეროს წარმომადგენლებს ძალზე ბევრი ცვლილება მოუტანა. გარდა ამისა, იგი პოეტი-გამომცემელია, ამიტომ ორმაგად საინტერესოა მისი თვალთ დასახული გამომცემლის საქმიანობის საკმაოდ არაპოეტური პერიოდები. და ბოლოს, ეს წერილი პირადად ჩემთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან გივი ალხაზიშვილი ჩემთვის უბრალოდ, გივი ბიძიაა, ჩემი მეგობრის მამა. იმ, მართლაც, სამინელო გარდაამავალ პერიოდში, როდესაც ყველას ძალიან უჭირდა, მათ ოჯახში ხშირად მიწევდა ყოფნა. და თუ რამე კარგად მახსენდება იმ არარომანტიკული წლებიდან, მათ შორის გივი ბიძიას საუბრებიც ლიტერატურაზე. ეს მცირე ლირიკული გადახვევა, ახლა კი, საქმეზე გადავიდეთ.

გივი ალხაზიშვილი გამომცემლობა "მერანში" 1988 წელს მივიდა. როგორც აღნიშნა, ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ასეთი დიდი გამომცემლობის მთავარ რედაქტორად უპარტიო და აპოლიტიკური პიროვნება დანიშნეს. თავიდან შეშინებია, რადგან პასუხისმგებლობა საკმაოდ დიდი იყო. მას ისეთი პროექტები უნდა განეხორციელებინა, რომელნიც უკვე საკმაოდ ცნობილ გამომცემლობას სახელსაც მოუტანდა და შემოსავლიც გამოდიოდა არ ჰქონდა, თუმცა არ გასაჭირვებია, რადგან მთელი სტუდენტობა აკრძალულ წიგნებს კითხულობდა - ისეთებს, რომელთა გამოც აპატიმრებდნენ და საკმაოდ დაუფროვდა იმ ავტორთა სია, რომელთა გამოცემაც უკვე შეიძლებოდა.

და მართლაც, "მერანმა" უამრავი გამოცემა განახორციელა, რომელთაც დიდი გამოხმაურება ჰქონდა. გამოსცეს ტიციან ტაბიძისა და პაოლო იაშვილის ლექსები - არა საბჭოური ცილილებებით, არამედ დედნისეული ტექსტებით. გამოვიდა შალვა დადიანის "უბედური რუსი," რომელსაც მანამდე "გიორგი რუსის" სახელით იცნობდ-

ნენ. ყველას ჩამოთვლა შორს წავიყვანს, რადგან ასეთი გამოცემები საკმაოდ ბევრი იყო, თუმცა, პარალელურად, გამოდიოდა ცუდი წიგნებიც. "სამწუხაროდ, საბჭოთა პერიოდში გეგმიური სისტემა მოქმედებდა და მწერალთა კავშირის თითქმის ყველა წევრს გარკვეული ინტენსივობით უნდა გამოეშვა წიგნი. ამდენად, საინტერესოსთან ერთად იყო სავალდებულო და ნაცრისფერი გამოცემებიც" - იხსენებს გამომცემელი.

საბჭოთა კავშირის დასასრულთან ერთად დასრულდა ცენტრალიზებული დაფინანსებაც, რამაც მაშინდელი გამომცემლები აიძულა დამოუკიდებლად ეძებნათ სახსრები. ზოგმა ალლო ვერ აულო ახალ დროს და დაიხურა, ზოგიერთმა, მათ შორის, "მერანმაც," თავის გადარჩენა შეძლო. დღეს იგი პრივატიზებული, დამოუკიდებელი გამომცემლობაა, თუმცა გივი ალხაზიშვილის თქმით, მაინც ძველი ინერციით მიდის, რადგან მწერალთა უმეტესობას, ისევე, როგორც საბჭოთა პერიოდში, ჰგონია, რომ სწორედ "მერანია" ვალდებული უფასოდ გამოუცეს მათ წიგნები. "ევროპის, ანდა, შესაძლოა, ყველა კონტინენტზე ერთად არ არსებობს 400 მწერალი, საქართველოში, და კერძოდ, თბილისში კი - არის და ყველა მიიჩნევს, რომ მისი წიგნი, ისევე, როგორც ადრე, აუცილებლად "მერანში", თანაც, უფასოდ უნდა გამოვიდეს. პირობას გაძლევთ, ამისგან მალე გავთავისუფლებთ. უკვე განვუცხადე კი-

დეც ჩემს თანადამფუძნებლებს, რომ ვიმუშავებთ თანამედროვე დასავლური სტანდარტებით" - დაგვიპირდა გივი ალხაზიშვილი.

რას ნიშნავს მუშაობა თანამედროვე დასავლური სტანდარტებით? "ეს ნიშნავს, როგორმე შეათავსო კომერციული და კარგი წიგნი, რაც ხშირად არ ხერხდება. ძალიან ცნობილი გამომცემლობები დასავლეთში მასკულტურას მიმართავენ, თუმცა, აქაც არსებობს გამორჩეულად საინტერესო წიგნები. ამით შოულობენ ფულს და მოგებული თანხის 30-40 პროცენტს წამგებიან ლიტერატურას, ანუ პოეზიას, ლიტერატურულ კრიტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობას ახმარენ. ერთი ფრანგი გამომცემელი წერდა, როგორც კი ამ ტიპის ლიტერატურის გამოცემას თავს დავანებებ, აკადემიურობის ხარისხი, რითაც ჩემი გამომცემლობა სახელს ინარჩუნებს - გაქრებაო. ამიტომ იგი მაქსიმალურ ყურადღებას უთმობდა სერიოზულ ლიტერატურას. საქართველოში ამას ცდილობენ "დიოგენე," "ლოგოს-პრესი" და, ნაწილობრივ, "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა", თუმცა, მას ძირითადი აქცენტი კომერციულ წიგნებზე აქვს გადატანილი. "მერანი" მეორე უკიდურესობაშია გადავარდნილი, რასაც გამართლება არა აქვს: ჩვენ გამოცემით აბსოლუტურად ყველა წამგებიან წიგნს. ეს შესანიშნავად ვიცი. ვიცი, რომ უნდა დაგებქდოთ ისეთი წიგნები, რომლებიც კარგად გაიყიდება და წამგებიან ლიტერატურას

გამოგვაცემინებს, მაგრამ ამას არ ვაკეთებთ. მიზეზი სწორედ ზემოთხსენებული ინერციაა" - ამბობს გამომცემელი.

როგორც უკვე მოგახსენეთ, გივი ალხაზიშვილს საბჭოთა პერიოდში მუშაობის "ბედნიერებაც" ხვდა წილად, ამიტომ საინტერესოა ამ ორი პერიოდის მისეული შეფასება. მისი აზრით, პირველი, რაც მაშინდელ გამომცემლობებს დღევანდელისგან განასხვავებდა, არის რედაქტორის, თარგმანისა და კორექტორის ინსტიტუტი, რომელიც საბჭოთა პერიოდში, დღევანდელისგან განსხვავებით, საკმაოდ მაღალ დონეზე იყო. მხოლოდ ნოდარ ებრაღიძისა და გიორგი ბაქანიძის დასახელება საკმარისი იმისათვის, რომ მივხვდეთ, რა რანგის პროფესიონალებზეა საუბარი. ეს იყო ხალხი, რომელთაც ავტორები ჭკუას ეკითხებოდნენ. სამწუხაროდ, დღეს ასეთი რედაქტორები თითო-ორიოლაა - მიიჩნევს ბატონი გივი.

"დღევანდელისგან განსხვავებით, იმ პერიოდში გამომცემლობებს ფინანსური თვალსაზრისით პრობლემა არ ჰქონდა. გაყიდული წიგნების რაოდენობაზე არ იყვნენ დამოკიდებული, ამიტომ თამამად შეეძლოთ გამოეცათ ის, რაც უნდოდათ. ახლა ეს ცოტა ძნელია, რადგან წიგნი ძნელად იყიდება. გამომცემლო პოლიტიკაზე იზრუნოს. იმ დროს კი მსგავსი პრობლემა არ ჰქონდათ. ეს იყო აბსურდულად საინტერესო პერიოდი, როდესაც ჯოისის "ულისეს" 80

ათასი ეგზემპლარი გაიყიდა. ეს მაშინ, როდესაც მისი მკითხველი საქართველოში შეიძლება 80 კაციც არ იყოს. საბაზრო ეკონომიკამ მოიტანა ისიც, რომ რეკლამირებული სისულელე შეიძლება გაიყიდოს, გენიალური, მაგრამ არარეკლამირებული გამოცემა კი, თუნდაც, ეს იყოს "ნეტარი ავგუსტინეს აღსარებანი" - არა. დღეს ბაზარს რეკლამა, პრეზენტაციები და მასმედია განაპირობებს. ადრე წიგნი არ იყო ბიზნესის საგანი, მაშინ ეს ცნება არც არსებობდა, რადგან იმ პერიოდში სხვა სტრუქტურა მუშაობდა, ახლა კი გამომცემლები იმაში ეჯიბრიან ერთმანეთს, ვინ უფრო გაყიდის წიგნს" - ასე ფიქრობს გივი ალხაზიშვილი.

კიდევ ერთი განსხვავება, რომელზეც გამომცემელმა ისაუბრა, არის იდეოლოგიური წნეხი, რომელიც საბჭოთა სივრცეში მძლავრად მოქმედებდა. ბატონი გივის თქმით, ეს წნეხი, ანუ ცენზურა, გარკვეულწილად, ეშმაკობის საშუალებას იძლეოდა. ბევრი რამ იგავურად, მინიშნებით ითქმებოდა. დღეს ამის აუცილებლობა აღარ არის. შეგიძლია თავისუფლად დაწერო და თქვა ყველაფერი. სწორედ ასეთ დროს არის საჭირო ის, რასაც შინაგან ცენზორს უწოდებენ. მწერალმა ანგარიში უნდა გაუწიოს იმასაც, რომ ლიტერატურა არ არის გამოყენებითი ხელოვნება გარკვეული მიზნის მისაღწევად. "სლენგის გამოყენება თავის დროზე ფრანგულ ლიტერატურაში სელინმა დაიწყო. აკადემიური წრეები მას დღემდე არ იღებენ, რადგან მიიჩნევენ, რომ ანატოლ ფრანსისეული ლიტერატურული ფრანგული შერყვნა. თუმცა, ესეც უკიდურესობაა. ძალზე ბუნებრივია, როდესაც პროზასა და პოეზიაში სლენგი შემოდის, მაგრამ ამას აუცილებლად უნდა ჰქონდეს მხატვრული გამართლება" - მიიჩნევს იგი.

დღეს სლენგიცა და ეპატაჟიც, ძირითადად, იმიჯის შესაქმნელად სჭირდებათ. თუმცა, საზოგადოებრივი აზრი ნელ-ნელა ყალიბდება და ის, რაც დღეს შედევი გვგონია, ერთ მშვენიერ დღეს აღმოვაჩენთ, რომ მხოლოდ ნაბიჯები იყო სულ სხვა ლიტერატურული სივრცეში გადასასვლელად. გივი ალხაზიშვილმა, ბევრისგან განსხვავებით, თავისი ლიტერატურული სივრცე უკვე აღმოაჩინა და ცდილობს, სხვებსაც, განსაკუთრებით კი ნიჭიერ ახალგაზრდებს გაუკვალოს გზა ამ სამყაროში. გამომცემლობა "მერანი" ერთადერთია, რომელიც წლების განმავლობაში გამოსცემდა ახალგაზრდა, ხშირად ყველასათვის უცნობ ავტორთა წიგნებს. მათ უმეტესობას დღეს საზოგადოება კარგად იცნობს. რამდენიმე მათგანს ჩამოგიო-

მსატვრული ლიტერატურა

| | | | | | |
|----|-----|---------------------|--------------------------------|---------------------------------|------|
| 1 | new | გურამ დოჩანაშვილი | ლოდი ნასაყდრალი | "მარსი" | 24.1 |
| 2 | new | რატი ამალალობელი | თუ | "საარი" | 21.5 |
| 3 | new | გაგა ნახუცრიშვილი | გამგზავრება და მოლოდინი | "საარი" | 11.4 |
| 4 | 10 | გურამ დოჩანაშვილი | ვატერ(პო)ლოო | "სანი" | 6.6 |
| 5 | 9 | გურამ დოჩანაშვილი | სამოსელი პირველი | "სანი" | 5.7 |
| 6 | 1 | აკა მორჩილაძე | ძირს სიმინდის რესპუბლიკა | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 4.9 |
| 7 | new | რატი ამალალობელი | ზმნა | "საარი" | 4.7 |
| 8 | new | დათო მალრაძე | ნიკალა | "საარი" | 4.5 |
| 9 | 2 | ვახუშტი კოტეტიშვილი | ალმოსავლურ-დასავლური დივანი | "დიოგენე" | 4.4 |
| 10 | new | გურამ დოჩანაშვილი | ძნელი | "მარსი" | 3.6 |
| 11 | 5 | ყურბან საიდი | ალი და ნინო | "დიოგენე" | 3.1 |
| 12 | new | გურამ დოჩანაშვილი | ხორუმი ქართული ცეკვაა | "მარსი" | 3.0 |
| 13 | 3 | ჯ.კ. როულინგი | ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 3.0 |
| 14 | 6 | კოტე ვუბანიშვილი | ლექსები | "სანი" | 3.0 |
| 15 | new | გურამ დოჩანაშვილი | ძმისავ | "მარსი" | 2.4 |
| 16 | new | ზაალ სამადაშვილი | ბოშები | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 2.0 |
| 17 | 13 | აკა მორჩილაძე | ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 2.0 |
| 18 | 8 | ჰერმან ჰესე | ტრამალის მგელი | "ოთარ ყარალაშვილი" | 1.9 |
| 19 | new | ალბერ კამიუ | ქორწინება/ზაფხული | "სანი" | 1.9 |
| 20 | new | სოფიო კირვალიძე | ბერიკაობა | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 1.8 |

მეცნიერება/კუბლიცისტიკა

| | | | | | |
|---|-----|---------------|--------------------------------|---------------------------------|------|
| 1 | new | | მსოფლიოს ატლასი მოსწავლეთათვის | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 25.0 |
| 2 | 2 | | მსოფლიოს უდიდესი საოცრებანი | "გლობუსი" | 2.5 |
| 3 | 3 | | საბავშვო ენციკლოპედია | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 0.8 |
| 4 | new | | უკანასკნელი ხუთასი წელი | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 0.7 |
| 5 | new | რევაზ თვარაძე | ქართული ლიტერატურის ისტორია | "საქართველოს მაცნე" | 0.6 |

პერიოდიკა

| | | | | | |
|---|-----|--------------|------------------------------|--|-----|
| 1 | 1 | "არილი" | ლიტერატურული ჟურნალი | | 5.1 |
| 2 | 2 | "24 საათი" | დამატება: ნიგნები-ლიტერატურა | | 4.0 |
| 3 | new | "კალმასობა" | სალიტერატურო გაზეთი | | 0.9 |
| 4 | 5 | "საგურამო" | ლიტერატურული ჟურნალი | | 0.8 |
| 5 | 3 | "XX საუკუნე" | ლაშა თაბუკაშვილის ჟურნალი | | 0.7 |

გივი ალხაზიშვილი:
"გამომცემლები ერთმანეთს
იბაზი ეჭიბრაბიან, ვინ
უფრო მეტ ნიბნს ბაყიდის"

EIS ბპარდიდან

ვლით: ირინე ბაქანიძე, ზაზა თვარაძე, ზაზა ბურჭულაძე, ბესო ხვედელიძე, ალექო შულაძე, ლაშა იმედაშვილი, ეკა ლალანიძე, გიორგი ლობჯანიძე, ანდრო ბუაჩიძე, თეონა ბექიშვილი, მია სარიშვილი, ზვიად რატიანი, ლელა სამნიაშვილი, შალვა ბაკურაძე, დათო ჩიხლაძე, დათო ბარბაქაძე და კიდევ სხვები. მათი უმეტესობა პოეტებია. ეს ის ჟანრია, რომლის გამოცემასაც დღეს ბევრი გამომცემლობა ერიდება, გივი ალხაზიშვილს კი ახალგაზრდა პოეტების ხელშეწყობა თავის უპირველეს მოვალეობად მიაჩნია და ღიად აცხადებს, სანამ "მერანში" ვიმუშავებ, მათ ყოველთვის დავხმარებო. წელს შედგება კიდევ ერთი ავტორის, ალექო ცქიტიშვილის პოეტური დებიუტი, გამოვა სპარსი პოეტის, სოჰრბ სეფეჰრის გიორგი ლობჯანიძისეული თარგმანი, გამოსაცემად მზადდება ელა გოჩიაშვილის, ანდრო ბუაჩიძის ლექსებისა და ირაკლი ლომოურის მოთხრობების კრებული. გამოვიდა ჯემალ თოფურაძის მოთხრობების შედარებით სრული კრებული - ეს მნიშვნელოვანი გამოცემაა. მთავრდება საქართველოს მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის ოთხტომეულის მეოთხე ტომის გამოცემა, რომელიც მეუფე ანანია ჯაფარიძემ დანე-

რა. მალე გამოვა გივი ხორნაულის მიერ შედგენილი - "კიდევაც დაიზრდებიან." ეს არის ქართული ხალხური საბავშვო ფოლკლორი, ანუ, ენის გასატყეხები, სხარტულები, იგავები, ზღაპრები, ლექსები, შეძლებისდაგვარად კარგად დასურათებული და ილუსტრირებული. ნოდარ დუმბაძის იუბილესთან დაკავშირებით გამოიცემა მისი ორი რომანი. აპირებენ დალი ფანჯიკიძის მოთხრობებისა და გულაგელი ქალბატონის, მარი აბრამიშვილის ლექსების კრებულის გამოცემასაც. ერთი სიტყვით, გეგმები ბევრია.

და ბოლოს, უკანასკნელ პერიოდში საქართველოში საკმაოდ ბევრი გამომცემლობა გაიხსნა. როგორ აფასებს გივი ალხაზიშვილი ამ პროცესს? "ამ კითხვაზე მარტივად პასუხობენ: ბაზარი განაპირობებს, ვინ იარსებოს - ვინ არა, მაგრამ მე არ გამოვიცხადებ, რომ ბაზარმა შეიძლება სერიოზული გამომცემლობა გააუქმოს და კომერციული დაამკვიდროს, ამიტომ, ვისურვებდი, რაც შეიძლება განათლებული და გემოვნებიანი ადამიანები იყვნენ გამომცემლები, რომელთაც კომერციასთან ერთად აუცილებლად ეცოდინებათ სერიოზული ლიტერატურის მნიშვნელობა და დანიშნულება" - ასეთია მისი პოზიცია. ძნელია, არ დაეთანხმო.

ნიგნის საერთაშორისო ბაზრობები

47th International Book Fair
15/05/2003 - 18/05/2003 **Warsaw**
Janusz Fogler
President
Ul. Krakowskie Przedmiescie 7
00 - 068 Warsaw
POLAND
Phone: +48 (0) 22 826-1201/-9712
Fax: +48 (0) 22 826-9256
E-mail: ktk@arspolona.com.pl
> www.bookfair.pl

Fiera del Libro Torino
15/05/2003 - 19/05/2003 **Turin**
On. Enzo Ghigo
President
Palazzo Bricherasio -Via Lagrange 20
10123 Torino
ITALY
Phone: +39 (0) 011 5184268
Fax: +39 (0) 011 5612109
E-mail: info@fieralibro.it
> www.fieralibro.it

World Education Market (WEM)
20/05/2003 - 23/05/2003 **Lisbon**
Elaine Legault
WEM Director
11, rue du Colonel Pierre Avia - BP 572
75726 Paris Cedex 15
FRANKREICH
Phone: +33 (0) 1 41904420
Fax: +33 (0) 1 41914960
E-mail: elaine.legault@reedmidem.com
> www.wemex.com

The Bucharest International Book Fair-
The Bucharest International Book Fair
21/05/2003 - 25/05/2003 **Bukarest**
Mihai Oroveanu
Managing Director
2-Bd. N.Balcescu No.2 Sector 1
Bucharest
ROMANIA
Phone: +40 (0) 1 3125147 or 3146401
Fax: +40 (0) 1 3121502 or 3136308
E-mail: artexpo@artexpo.ro
> www.artexpo.ro

22nd Kuala Lumpur International Book Fair
23/05/2003 - 01/06/2003 **Kuala Lumpur**
Sir Sha'ari Bin Abdullah
Chairman Organising Committee
20 Jalan Gurney Dua
54000 Kuala Lumpur
Malaysia
Phone: 603-2583 115 or 2553 535
Fax: 603-255 3535
E-mail: mbkm@po.jaring.my
> www.KLBookFair.com.my

BookExpo America
30/05/2003 - 01/06/2003 **Los Angeles**
Greg Topalian
Event Director
383 Main Avenue
Norwalk, CT 06851
USA
Phone: +1 (0) 203 8405485

Fax: +1 (0) 203 8409485
E-mail: gtopalian@reedexpo.com
> www.bookexpoamerica.com

Seoul International Book Fair
04/06/2003 - 09/06/2003 **Seoul**
Choon Ho Na
Managing Director
105-2, Sagan-dong, Chongno-gu
Seoul 110-190
KOREA
Phone: +82 (0) 2 7352701-4
Fax: +82 (0) 7 7385414
E-mail: kpa@kpa21.or.kr
> www.sibf.co.kr

ALA Conference 2003
19/06/2003 - 25/06/2003 **Toronto**
Deidre Irwin Ross
Managing Director, Conference Services
50 E. Huron Street
Chicago, IL 60611-2795
USA
Phone: +1 (0) 312 280-32-23
Fax: +1 (0) 312 28032-24
E-mail: confs@ala.org
> www.ala.org

BookExpo Canada
19/06/2003 - 25/06/2003 **Toronto**
Jennifer Sickinger
Show Manager
3761 Victoria Park Avenue, Unit 1
Toronto, ON M1W 3S2
CANADA

Phone: +1 (0) 416 491-3999 ext. 232
Fax: +1 (0) 416 491-7096
E-mail: jsickinger@reedexpo.com
> www.reedexpo.ca/bookexpo

APA Australian Book Fair
19/06/2003 - 20/06/2003 **Sydney**
Rick Green
Exhibition Manager
P.O. Box 295
Brookvale NSW 2100
AUSTRALIA
Phone: +61 (0) 2 99394445
Fax: +61 (0) 2 99394229
E-mail: info@expertiseevents.com.au
> www.bookfair.com.au

Jerusalem International Book Fair
23/06/2003 - 27/06/2003 **Jerusalem**
Zev Birger
Chairman and Managing Director
13 Safra Square
P.O.Box775
Jerusalem 91007
ISRAEL
Phone: +972 (0) 2 6297922
Fax: +972 (0) 2 6243144
E-mail: jerfairs@jerusalem.muni.il
> www.jerusalembookfair.com

Hong Kong Book Fair
23/07/2003 - 28/07/2003 **Hong Kong**
Daniel Lam
Manager

38th Floor, Office Tower
Convention Plaza
Harbour Road
Wanchai
HONG KONG
Phone: +852 (0) 25844333
Fax: +852 (0) 28240249
E-mail: hktde@tdc.org.hk
> www.hkbookfair.com

Zimbabwe International Book Fair
26/07/2003 - 03/08/2003 **Harare**
David Brine
Zimbabwe International Book Fair (ZIBF)
London Office
P.O. Box CY 21303
London WC2E 8PH
Great Britain
Phone/Fax: +44 (0) 20 78368501
E-mail: zibf.kingstreet@dial.pipex.com
> www.zibf.org

14th Philippines Book Fair
30/08/2003 - 07/09/2003 **Manila**
Irene Lioren
President
Unit 302 Villa Building
78 Jupiter Street
Bel-Air, Makati City
PHILIPPINEN
Phone: +632 (0) 8960661 oder 8960682
Fax: +632 (0) 8960695
E-mail: ptrade@philonline.com
> www.philippinebookfair.com